ზ) qatīl (at) მიმლ. მოქმ. ფუნქ. ზედს.—kabrīd : kibār 'დიდი', marīd : mirād 'ავადყოფი';

თ) qatīl მიმლ. და ვასუბსტ. მიმლ. qāʾim : qīām 'მდგომარე', ṣaḥīb : ṣiḥāb 'მეგობარი';

ი) qatlānu, qatlānuu და qatlānuu ინტ.—ḡadibān : ḡidāb 'მრისხანე', nadmān : nidām 'მომნანიებელი', ḡumṣān : ḡimāṣ 'შშიერი';

კ) იშვ. qatlā არს.—ʾuḡā : ʾiḡā 'ქალი'.

ო) qutāl

ა) qatl(at), qitl(at), qutl(at) არს.—naḡm : nuḡm 'ვარსკვლავი', ḡiml : ḡumāl 'ტვირთი', ḡuṣu : ḡuṣū 'ტოტი';

ბ) qatal(at), qatil არს.—ʾasad : ʾusūd 'ლომი', malik : mulūk 'მეფე';

გ) qātil მიმლ.—ḡālis : ḡulūs 'მჯდომარე'.

ქ) qitlat

ა) qatl, qatal არს.—ḡaur : firat 'ხარი', fata : fitiāt 'ყმაწვილი';

ბ) qatīl არს.—ṣabīj : ṣibiāt 'ბიჭი';

გ) qatāl, qutāl არს.—ḡazāl : ḡizlat 'ქურციკი', ḡulām : ḡilmāt 'ბიჭი'.

ღ) qatalat

ა) qātil პიროვნ. მიმლ.—makir : makarat 'მზაკვარი';

ბ) იშვ. qatil არს. და ზედს.—ḡabīḡ : ḡabaḡat 'უკეთური', sajjīd : sādat 'ბატონი'.

შ) qutalat

(იხ. ლ, ა) III u-i-qādī : quḡāt 'ყადი'.

ბ) qitalat

ა) qatl, qitl, qutl არს.—*taur* : *tijarat* 'ხა-
რო', *hirr* : *hirarat* 'კატა', *gush* : *gishamat* 'ტო-
ტი';

ბ) იშვ. qatal, qatul არს.—*dakar* : *dika-
rat* 'მამაკაცი', *ragul* : *rigalat* 'კაცი'.

ლ) qatla

ა) qatil, ^აqatal, qatlānu ზედს., ინტ.—
zamin : *zamnā* 'დადამბლავებული', ^ა*ahmaq* :
hamqa 'სულელი', *kaslan* : *kasla* 'ზარბაცი';

ბ) qatil მიმღ., ზედს.—*gharih* : *gharha* 'და-
კრილი', *da'if* : *da'fa* 'სუსტი';

გ) იშვ. qatil მიმღ., ზედს.—*halik* : *hal-
ka* 'დაღუპული', ^ა*ail* : ^ა*ajla* 'ლარიბი'.

პ) qitlān

ა) qatl, qitl, qatal, qutal არს. უმათე-
რესად ცხოველთა სახ.—*farh* : *firhān* 'ბარტ-
ყი', *ghinn* : *ghinnān* 'ქინკა', *fatā* : *fitjān* 'ყმა-
წვილი', *nigaz* : *nigzān* 'ბულბული';

ბ) qutl II უ არს.—*sūr* : *sirān* 'კედელი';

გ) qāl II უ არს.—*ghār* : *ghirān* 'მეზობელი';

დ) qatāl, qitāl, qutāl, qatīl, qatūl არს.
უმთ. ცხოვ. სახ.—*ghazāl* : *gizlān* 'ქურციკი',
shāb : *shibān* 'ალი', *ghorāb* : *ghirbān* 'ყვა-
ვი', *zalim* : *zilmān* 'სირაქლემა', *harūf* : *hirfān*.
'ბატკანი'; იშვ. ზედს. *shūghā* : *shūghān* 'მამაცი';

ე) qatalān, qutail ცხოვ. სახ.—*qarashān* :
yirshān 'გარეული მტრელი', *ghumail* : *ghumlān*.
'ბულბული';

ვ) qātīl არს.—*hā'it* : *hitān* 'კედელი'.

ჟ) qutlān

ა) იშვ. qatl, qitl არს.—*abd* : *ubdān* 'მო-
ნა', *diḥ* : *duḥbān* 'მგელი';

ბ) qatal არს.—*asad* : *usdān* 'ლომი';

გ) qatīl ზედს. და არს.—*ba'ūd* : *bu'dān*.
'შორი', *qatī* : *quṭān* 'ხის ნაქერი';

დ) ცალკ. შემთხვ. qitāl არს.—*shāb* : *shh-
hān* 'ალი'; იშვ. qutāl ინტ., არს.—*shūghā* :
shūghān 'მამაცი';

ე) qātīl გასუბსტ. მიმღ.—*fāris* : *fursān*.
'მხედარი';

(qutlāu)

ა) ʔaqtal, qatlāʔ ფერის და ფიზ. ნაკლის ზედს.—ʔaʕyar : ʕūrān 'ცალთვალა'.

ბ) qatālā

ა) იშვ. qatil, qatul ზედს.—ḥadīr : ḥadārā 'ფრთხილი', ḥazun : ḥazānā 'მოწყენილი';

ბ) იშვ. qatil ზედს., არს.—ḥazīn : ḥazānā 'მწუხარე', ʔasīr : ʔasārā 'ტყვე';

გ) qatlā, qitlā არს.—fatyā : fatāyā 'ფეთვა', dīfrā : dīfārā 'ძვალე ყურს უკან';

დ) ცალკ. შემთხვ. qutlā არს.—ḥublā : ḥabālā 'ფეხშიშვ';

ე) qatlāʔ არს.—ʕadrā : ʕadārā 'ქალწული';

ვ) qatlāu მ. სქ. და qatlā ნდ. ინტ.—kaslān, kaslā : kasālā 'ზარმაცი';

ზ) qatālat, qatīlat, qitālat, qutālat, qātīlat III ყ-ი არს.—baqīyat : baqāyā 'ნარჩენი', ǧidāyat : ǧadāyā 'პატარა ქურციკი', nuqāyat : naqāyā 'ნარჩევი, რჩეული', zauyiat : zauyāyā 'კუთხე';

თ) qitlīyat არს.—ḥīdriyat : ḥadārā 'მკვრივი ნიადაგი'.

ს) qatālī

qatlā, qitlā, qatlāʔ არს.—daʕyā : daʕyāʔ 'დავა', šaḥrā : šaḥārī 'უღაბნო'.

ტ) qutalāʔ

ა) qatil პიროვნების „მიმღ“. მოქმ. ფუნქც., იშვ. ვნებ.—ḥakīm : ḥukamāʔ 'ბრძენი', laʕīn : laʕīnāʔ 'დაწყველილი';

ბ) იშვ. qatāl, qutāl, qātīl ზედს., არს. ǧabān : ǧubānāʔ 'მხდალი', šuǧāʕ : šuǧāʕāʔ 'მამაცი', ʕālim : ʕulamāʔ 'მეცნიერი'.

უ) ʔaqtul

ა) qatl არს.—uafs : ʔanfus 'სული';

ბ) იშვ. qitl, qutl, qatal(at) არს.—simṭ : ʔasimṭ 'ძაფი', qufl : ʔaqful 'ბოქლომი, საკეტი', ǧamal : ʔaǧmul 'აქლემი', ʔakamat : ʔākum 'გორაკი';

გ) qatāl, qitāl, qutāl ცხოველთა და სხეულის ნაწილთა სახ.—ʕadāq : ʔaʕnuq 'თიკანი', dīrāʕ : ʔadruʕ 'წყროთა', ʕaqāb : ʔaʕqub 'არწივი'.

ფ) *ʔaqtāl*ა) *qitl, qutl* არს.—*libš* : *ʔalbās* 'ტანსაცმელი', *ḥuḥq* : *ʔaḥlāq* 'თვისება, ხასიათი';ბ) იშვ. *qatīl* უმთ. I უ, II უ-ი არს.—*yaqt* : *ʔaḥqāt*, 'ღრო', *qaḥm* : *ʔaḥqām* 'ხალხი', *bajt* : *ʔabjāt* 'სახლი';გ) *qatal, qāl* II უ არს.—*salaf* : *ʔaslāf* 'წინაპარი', *māl* : *ʔamūāl* 'ქონება';დ) იშვ. *qatīl, qatūl*, ზედს., არს. — *jaquz* : *ʔajquz* 'მღვიძარი', *nakid* : *ʔankād* 'მძიმე, ძნელი', *kabid* : *ʔakbād* 'ღვიძლი';ე) იშვ: *qatīl* ზედს., მიმლ. "მოკმ. ფუნქ.", არს. I ი ან II უ-ი — *jatīm* : *ʔajtām* 'ობოლი', *ḥajj* : *ʔahjā* 'ცოცხალი';ვ) იშვ. *qātīl* ზედს.—*mašīr* : *ʔansār* 'შემწე, დამხმარე'.ქ) *ʔaqtīlat*ა) ცალკ. შემთხვ. არს. *qatīl, qitl, qutl, qatal, qutal* — *ʔabd* : *ʔʔbidat* 'მონა', *sinn* : *ʔasiḥnat* 'კბილი', *ḡuḥr* : *ʔaḡḥirat* 'სორო';ბ) *qatīl* არს., ზედს. გემინ. ან III უ-ი — *raḡīf* : *ʔarḡifat* 'კვერი', *šahīḥ* : *ʔašīḥḥat*, *šabi* : *ʔašbijat*;გ) *qatāl, qutāl* არს., *qitāl* უმთ. იარაღის სახ.—*ʔaʔīm* : *ʔaʔīmat* 'საქმელი', *ḡulām* : *ʔaḡlimat* 'ბიჭი', *liḡām* : *ʔalḡīmat* 'ლაგამი';დ) იშვ. *qatūl* ცხოვ. სახ.—*ḥarūf* : *ʔaḥri-fat* 'ბატკანი'.ლ) *ʔaqtīlāʔ**qatīl* უმთ. გემინ., III ან II უ-ი ზედს., არს.—*ḡaḥī* : *ʔaḡniḡā* 'მდიდარი', *ḥajjīn* : *ʔaḥy-iḥā* 'ადელი', *našīb* : *ʔaḥšībā* 'წილი, ხვედრი'.

ოთხთანხმობიანი

ა) *qatāḥil*მოკლებმობიანი ფუტე, არს.—*ʔaqrab* : *ʔaqrārib* 'მორიელი', *dirham* : *darāḥim* 'ღრამა'.ბ) *qaḥātīl**qātīl(at)* გასუბსტ. მიმლ.—*fāris* : *faḥāris* 'მხედარი'.გ) *qatāʔil*

-at სუფიქსიანი სამთანხმობიანი არსებობითი სახელი, რომელსაც მეორე მარცვალში

(qatā'il)

გრძელი ხმოვანი აქვს — ḥamāmat : ḥamā'im 'მტრელი'; qabilat : qahā'il 'ტომი', rakūbat : rakā'ib 'სახედარი'.

ღ) qatā'il

ოთხთანხმოვნიანი, ბოლო მარცვალში გრძელი ხმოვნით — šaiḥān : šaiḥūn 'ეშმაკი', sirḥān : sarāḥin 'მგელი'.

ე) qatā'ilat(?)

ა) იმავე ტიპის სახელები, უმთავრესად უცხო წარმოშობისა; — tilmīd : talāmiḍat 'მოწაფე';

ბ) მრავალ, თანხმოვნიანი ფუძისაგან ნაწარმოები ნისბის ფორმა maḡribīj : maḡāribat 'მალრიბელი';

გ) იშვ. ოთხთანხმოვნიანი სახელი, მოკლე ხმოვნებით — mal'ak : malā'ikat 'ანგელოზი'¹.

§ 36. qitlat, 'aqtul, 'aqṭāl და 'aqṭilat ზოგჯერ სხვა ტიპებს უპირისპირდება როგორც „სიმცირის“ ფორმა „სიმრავლის“ მრავლობითს; მაგ., šahr, 'თვე' : მრ. šuhūr 'თვეები', „სიმც.“ ašhur 'რამდენიმე თვე'. შინაგან მრავლობითებს ჩვეულებრივ იდენტური მნიშვნელობები აქვს. ხსენებული ოთხი ტიპი სიმრავლეს გამოხატავს, და, პირიქით, სხვები შეიილება აღნიშნავდეს მცირე რაოდენობას; მაგ., ḡalāḡatū ḡirbānin 'სამი ყვავი' (მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელს სხვაგვარი მრავლობითებიც მოეპოვება ḡirbat და 'aḡribat).

Fleisch-ი ვარაუდობს, რომ 'aqtul, 'aqṭāl, 'aqṭilat ფორმებისათვის ნიშანდობლივია „სიმცირის მრავლობითი“; „რიცხვის კინობითს“, მცირე რაოდენობას აღნიშნავს 'a-პრეფიქსი (იგი წარმოადგენს აუგმენტაციეს, შეიძლება გამოხატოს მისი კორელატი კინობითიც). ავტორი პარალელს ავლებს სიმცირისა და სიმრავლის მრავლობითსა და კინობით-აუგმენტაციეს შორის².

§ 37. დიალექტებში მხოლოდობით-მრავლობითის ისეთივე შესატყვისობანი გვაქვს, როგორიც კლასიკურ ენაში. ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მრავალი ტიპი ერთიმეორეს დამთხვევია. მათი რაოდენობა სხვადასხვაგვარია. იემენურში ფიქსირებულია სამხრეთ-არაბულისათვის სპეციფიკური ფორმა qṭul (ṭurūḡ : მხ. ṭarīḡ 'გზა')³.

¹ NB. §§ 270—2; Wright I, §§ 304—5; Alsamirrai, pp. XXVIII—IX; Derenbourg, pp. 25 sq; აქვე ვცნობით არაბ ფილოლოგთა მოსაზრებებს.

² NB. § 269; GVG I, § 233; Esquisse, p. 33; შდრ. Singer, S. 163.

³ Brockelmann, Somitistik 3, SS. 226—7.

qatīl-ი ინტენსივთან შინაგანი მრავლობითი ერთეულ შემთხვევებში გვხვდება. იგი სუფიქსალურ ტიპთან შედარებით იშვიათია აგრეთვე qatīl ზედსართავშიაც¹.

ჩრდ. არაბულის შინაგანი მრავლობითის სისტემაში არ განვიხილავთ qatī, qatal*, qatīl, qitālat, qutīlat და maqtīl² ფორმებს, რომლებიც განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ. მათ არ შეესატყვისება გარკვეული მხოლოობითები (დაწვრილებით ქვემოთ)³.

§ 38. ძვ. სამხრეთარაბული

მრ.	მხ.
ა) qtl	qtlx — fntx : fny 'არხი'
ბ) qtlx	qtl — grb : grbt 'პიროვნება'
გ) ოqtl	qtl — bjt : ოbjt 'სახლი'
დ) ოqtlx	qtl — hrf : ოhrft 'წელიწადი'
ე) qtlx	qtl — hsr : hsrx 'გადასახადის ამკრეფი'
ვ) ოqtlx	qtl — kbr : ოkbrx 'ქაბირი'
ზ) mqtlt	mqtlt — mhfd : mhfdt 'კოშკი'
თ) qtl (t)	qtl — hrf : hrft 'წელიწადი'
ი) qtl (t)	qtl — hrf : hrft(t) "

ყველაზე გავრცელებულია ოqtl (ოqatīl, ოqatīl). qtl და qtl სამხრეთარაბულისათვისაა დამახასიათებელი; ისინი თანამედროვე ენებშიც გვაქვს. Hüfner-ი მათ ჩრდ. არაბ. qutīl და qatīl-თან აკავშირებს³.

§ 39. თანამედროვე სამხრეთარაბულ ენათაგან რიცხვის შინაგანი ფორმები პროდუქტიულია მეჭრისა და სოკოტრიში, სადაც წარმოდგენილია ჩრდ. არაბულისა და გეეზის ტიპთა უმეტესობა (ნაწილი ამ ენებიდანაა შესული). ზოგიერთი მათგანი არაა უცხო შხავრისთვისაც, თუმცა იგი უპირატესად სუფიქსაციას იყენებს.

შინაგანი მრავლობითი ყველაზე ხშირად სუბსტანტივებთან გვხვდება. იგი შეიძლება ჰქონდეს ზესართავსა და მიმღობასაც უმთავრესად მაშინ, როდესაც საზღვრული მამრობითი სქესისაა (მაგ., მეჭრიში qatīl n. ag. და qatīl ზედსართავი შინაგან ფორმებს აძლევს უპირატესობას).

¹ Cantineau, *Hor.*, pp. 353 sq; Feghali, *Kf.*, pp. 211sq; Banor. *Pal.*, § 47.

² qatal* ტიპისაგან უნდა განვასხვავოთ qatal, რომელიც qatīlat-ის მრავლობითია.

³ Hüfner, *ASAG*, §§ 86—7; უღრ. *Semitistik* 3, SS. 325—6.

გარდა qatjal და qatyal ტიპებისა, ამ ჯნებისათვის დამახასიათებელია: ა) სიტყვის ბოლო მარცვალში i: ო ხმოვნების დაპირისპირება (ძირითადად ოთხთანხმოვნიან სახელში): მაგ., მჰ qandil: qandil (სანთელი); შხ. kibkib: kilksb 'ვარსკვლავი'; ბ) კნინობითის შინაგანი მრავლობითი, რაც სემიტურ ენათაგან მხოლოდ სოკოტრიში შევსებდა (მაგ., harz 'ავგაროზი'—კნინ. შხ. haurez: მრ. harizruz, შდრ. კნინ. შხ. sukak: მრ. სწ. sukikihon 'სახურავი')¹.

§ 40. გ ე ე ზ ი

სამთანხმოვნიანი სახელი

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი
ა) qatäl	qetl არს.—ʔəzn: ʔəzün 'ყური'.
ბ) ʔatäl	qetl, qätl. qätäl არს.—ləbs: ʔalbäs 'ტანსაცმელი', kälb: ʔaklāb 'ძალი', zänāb: ʔaznāb 'კული'.
გ) ʔatält	იგივე სახელები III უ, i ან ლარინგალი—qamh: ʔaqmāht 'საკვები, მცენარეული', təb: ʔatbāt 'ძუძუ', səm: ʔasmāt 'სახელი'.
დ) ʔatül	qätl, qätül არს. haql: ʔahqül 'მინდორი', haġār: ʔahġūr 'ქალაქი'.
ე) ʔatəl	qetl, qätl არს.—ṣərh: ʔasrəh 'წრე, ამხანაგობა', bätər: ʔabtər, 'ჯოხი, კვერთხი'.
ვ) ʔatəlt	qätl, qetl არს.—ʕaj: ʔaʕjənt 'თვალი', nəsr: ʔansərt 'არწივი'.
ზ) qät (t) ält	ზედს., მიმლ., არსებითი: ა) სამთანხმოვნიანი, რომლის მეორე მარცვალში გრძელი ხმოვანია—təbīb: təb(ī)bt 'ბრძენი'; ბ) -i სუფიქსიანი—sürāqī: sürāqt 'ქურდი'.

ოთხთანხმოვნიანი

ა) qätäləl	სხვადასხვა ტიპის ოთხთანხმოვნიანი არსებითი სახელი—dāngəl: dānāgəl 'ქალიშვილი', tūmərət: tūʔmər 'ნიშანი'.
------------	---

¹ Bittner, Mh, §§ 53—55, §h., SS. 47—60., Charakteristik §h., SS. 54—5; Leslau, JAOS 63 (1943), pp. 6—7, Word 3,3, § 24, 1. Soq., pp. 10 sq., 187, 205 etc; Höfner, Semitistik 3, S. 338.

ბ) qātāḥt

• იგივე ტიპები, განსაკუთრებით პიროვნებათა და ცხოველთა სახელები—sājtān : sāj-āḥant 'ეშმაკი, სატანა', 'aubāsā : 'aḥābost 'ლომი'; მიმლ. — māmkar : yāmākert 'მრჩეველი'.

გ) qātāyā(t), qātāḥ(t) სამთანხმონიანი, გრძელი ხმოვნით, არს., ზედს.—dūq : dāqāyāq(t) 'წუთი', yḥīz : yḥ-ḥāḥz 'მდინარე'.

იშვიათი ფორმებიდან აღინიშნება: qetūl, qātīl, qetūl, 'aqātēl. qētūl და qetāl ზოგჯერ ცვლის qetūl-ს¹.

§ 41. ტიგრესა და ტიგრინაში მოცემულია ამ ტიპთა შესატყვისობანი და სახესხვაობანი. შინაგანი ფლექსია სუბსტანტივებშია გავრცელებული, სხვა სახელებში კი რეგულარულია სუფიქსაცია.

ტიგრინაში აღსანიშნავია qāt(t)ali მიმღობასა და qātalaḥ პროფესიის სახელის ბოლოს i, ai : o ხმოვანთა დაპირისპირება; მაგ., kāfati 'ვინც ალებს' : kāfato. პარალელურად სხვა მრავლობითიც გვაქვს (qāt(t)ali : qātālti)².

სამხრეთსემიტურში სუფიქსიანი და შინაგანი ფორმების შეპირისპირების შედეგად ირკვევა:

1. ა) სქესისა და რიცხვის სუფიქსალური ტიპი ახასიათებს კვალიფიკატივებს (resp. მსაზღვრელად გამოყენებულ მიმღობებს).

ბ) შინაგანი მდებრობითი, აგრეთვე qatīān : qatīā ფლექსია ნიშანდობლივია ინტენსივებისათვის.

გ) -āt სუფიქსიანი და შინაგანი მრავლობითი არსებითი სახელებისა და გასუბსტანტივებული ზედსართავეების (მიმღობების) სპეციფიკაა; მაგ., კლ. არაბ. სუბსტ. qātīl : მრ. qutlān, qutalā³ და სხვ. — rākīb : rukbān 'მხედარი', sā'ir : sa'arā³ 'პოეტი', sāḥīb : 'aḥāb 'მეგობარი'; ḡānīb : ḡayānīb 'მხარე, ნაპირი', ḥā'it : ḥitān 'კედელი', qatīl : qutalā³ — 'aḥīr : 'umarā³ 'ემირი'; შდრ. ზედს., მიმლ. მხ. o : მრ. - ū : na); მაგ., ḡābir : ḡābirūna 'მომთმენი', ḥabīl : ḥabīlūna 'უკეთური' და სხვ.³ ასევეა დანარჩენ ენებშიც. მაგალითად, გეზ. ში qātīl, qātēl, qetūl, qātīl ტიპებს, აგრეთვე mā- და -ī აფიქ-

¹ Dillmann, §§ 135—10; Prütorius, ÄG, § 118; Grébaud, pp. 5—16; Cohen, MSL 23, pp. 103—6; Littmann, Semitistik 3, S. 370.

² Leslau, Tc, § 24, JAOS 68.3, § 18, Tna, §§ 44—51; Palmer, BSOAS. 17, 3 (1955), pp. 548—66.

³ Wright I, § 302 rem. b.

სიან სახელებს შეიძლება ჰქონდეს ზედსართავის შინაარსიც და სუბსტანტივისაც (გასუბსტ. ზედს., მიმლ.). აირველ შემთხვევაში ისინი სუფიქსიან მრავლობითს აწარმოებენ, მეორეში — შინაგანს¹. ზოგჯერ ეს წესი ირღვევა და ზედსართავი არ განიჩევა არსებითი სახელისაგან (მაგ., გეეზში *qätälī* მიმღეობასთან გაცილებით უფრო ხშირია შნგ. მრ. *qätält*, ვიდრე სწორი)².

2. კლასიკურ არაბულში გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მომენტი: კვალიფიკატივი თუ პიროვნების სახელს დაერთვის, უფრო მისაღებია სუფიქსიანი მრავლობითი, ხოლო თუ საზღვრული არაპიროვნებას უკავშირდება, შინაგანი³. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ *ʾāḫar* ნაცვალსახელი, რომლის სუფიქსიანი მრავლობითი *ʾāḫarūna* ყურანში ხშირია და ყველგან პიროვნებას აღნიშნავს, შინაგანი ფორმა *ʾaḫaru* კი მხოლოდ საგნების მიმართ იხმარება (გვხვდება ხუთჯერ: III, 5; II, 180, 181; XII, 43, 46).

3. არაბულშიც და სხვა სამხრეთსემიტურ ენებშიც მდებდრობითი სქესის ფორმა (არსებითი, კვალიფიკატივი) უფრო იშვიათად აწარმოებს შინაგან მრავლობითს, ვიდრე მამრობითი სქესისა; მაგ., კლ. არაბ. მ. სქ. *malik*: მრ. შნგ. *malīk*, მაგრამ მდ. სქ. *malikat*: *malikāt*; მ. სქ. *ibn*: მრ. სწ. *banūna*, შნგ. *ʾabnāʾ*, მდებდრობითში მხოლოდ სწორი — *ibnat*: *banāt*; სოკ. მიმლ. მ. სქ. *mišgin* 'დამტკრეული, დასახიჩრებული': მრ. შნგ. *mišgin*; მდ. *mišginoh*: მრ. სწ. *mišgīnteh*; მიმლ. მ. სქ. *maḥrif* 'მეგობარი': მრ. შნგ. *maḥrif*, მდ. *maḥrifoh*: მრ. სწ. *maḥriféten*⁴.

4. პიროვნება-არაპიროვნების ოპოზიცია კლ. არაბულში უფრო ძლიერია, ვიდრე დიალექტებსა და გეეზში. აქ ხსენებული დაპირისპირება იმაში გამოიხატება, რომ არაპიროვნების ზედსართავის რიცხვში შეთანხმება საზღვრულთან ფაქულტატიურია (მაგალითად, პალმირულში მხოლოდობით რიცხვს ეძლევა უპირატესობა, ქქარ ცაბიდაში — მრავლობითს)⁵. რაც შეეხება სხვა სამხრეთსემიტურ ენებს, აქ იგი უფრო იშვიათად იჩენს თავს (მაგ., მეჭრიში პიროვნების ნისბის ფორმასთან)⁶.

გეეზში მამაკაცის საკ. სახელები, არაბულ დიალექტებში ზოგჯერ მ. სქ. პიროვნების კნინობითი და საკუთარი სახელები.

¹ Dillmann, pp. 292—4.

² „ p. 307.

³ Reckendorf, SV, S. 89.

⁴ Laslau, *Soq.*, pp. 192, 412.

⁵ Cantineau, *Palm.*, p. 234; შდრ. *Leslau*, *Tna*, § 56.

⁶ Bittner, *Mh.*, § 44.

არ განსხვავდება არაპიროვნებების (ან მდ. სქესის) სახელები-საგან.

5. ინტენსივების მნიშვნელოვანი ნაწილი კლ. არაბულში, გვეხსა და ტიგრინაში საერთო სქესისაა (ზოგი—საერთო რიცხვის). კლ. არაბულსა და ჩრდ. ეთიოპურში გარკვეულ ტიპებს, ხოლო სოკოტრიში თითქმის ყოველ ინტენსივს შინაგანი მრავლობითი და მდებდრობითი აქვს; არაბულში qatīl-თან სუფიქსიანი მდებდრობითია გაბატონებული.

ʾaqtal-ს (აღმატ. ხ.) მ. სქესში თითქმის მხოლოდ გარეგანი მრავლობითი აქვს.

არაბულ დიალექტებში ეს სახელები სუფიქსებს დაირთავს. გამონაკლისია ʾaqtal ფერისა და ფიზ. ნაკლის ზედს. (მდ., მრ. შნგ.). შედარებითი ხარისხი (ხშირად აღმატებითი) უცვლელია; აღმატებითს აქვს მდ. შინაგანი, მრავლობითი სუფიქსიანიც (მაგ., ტუნისურში)¹ და შინაგანიც (მაგ., ქჭარ ყაბიდაში)².

აღნიშნულ სამხრეთსემიტურ ენებში საერთო „ფორმები“ (საერთო სქესი, რიცხვი), სუფიქსაცია და შინაგანი ფლექსია საზოგადოდ სახელთა გარკვეულ ჯგუფებს უკავშირდება; ხშირია მათი პარალელიზმიც. ამრიგად, შესაძლებელია ფორმათა განაწილების მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენა:

ს ქ ე ს ი

ს ა ე რ თ ო ს უ ფ ი ქ ს ა ლ უ რ ი შ ი ნ ა გ ა ნ ი

კ ლ ა ს ი კ უ რ ი ა რ ა ბ უ ლ ი

ა) ინტენსივი, საკუთრივ მიმღეობა—ʾaqtal შედარ., ხმრ. აღმატ.; qatīl, qatīl, qatī, qutī, qutul, qitāl, qutāl; mi- პრეფ., -at ელემ.;
ბ) გასუბსტანტივებული მიმღ., ზედს.

ზედს., მიმღ., ინტ.

1. ა) ʾaqtal „ორბრ.“ ინტ., აღმატ., ʾāḥar ნაცვ. სახ., რიცხვ. ʾaḥḥal
ბ) სპორად. qatīl ინტენსივი
2. qatīlān : qatīlā ინტენსივი

¹ Stumme, § 94.

² Feghali, Kf., p. 208.

საერთო

სუფიქსალური

შინაგანი

არაბული დიალექტები

- ა) ʔaqtal შდრ., ხშრ. ზედს., მიმლ., ინტ. ʔaqtal ინტ.; იშვ. ალმატ. ხარისხი. ალმატ.; ნაცვ. სახ. .
 ბ) იშვ. ინტ., ვნებ. ჩიცხვ. სახ.
 გვ. მიმლ. ნისბა, უცხო ზედს.

სოკოტრი

—

ზედსართავი, მიმლეობა

ინტენსივი
(qātla, qītla)

გვეზი, ტიჯრინა. ტიჯრე

გეეზი

ინტენსივი

- ა) საკ. მიმლ. ზედს., მიმლ., ინტ.
 ბ) ინტ.—qātā;
 გ) გასუბსტ. qātā, qātā
 მიმლ., ზედს.

ტიჯრინა

ინტ.—qāttal, -am,
-ājina, -ānna სუფ.

რიცხვი

კლასიკური არაბული

-ū(na) -āt

- ა) ʔaqtal შდრ. ხა- ა) პიროვნ. (იშვ. 1. ა) არსებითი, გა-
 რისხი, ხშრ. ალმატ. არაპირ.), ზედს., სუბსტ. ზედს., მიმლე-
 ბ) -at ინტ. მიმლ., ინტ.; ობა;
 გ) იშვ. qatī, qa- ბ) არსებითი სახ., ბ) ზედს., ინტ., მიმლ.
 tīl გასუბსტ. მიმლ. (უმთ. გ) qatī ალმატ. ხა-
 რისხი; ʔāḥar, ʔuḥrā ნაცვ. სახ., ʔaḥḥal,
 ʔūnā რიცხვ. სახელი.
 2. qatīn : qatīn
 ინტენსივი

საერთო

სუფიქსალური

შინაგანი

არაბული დიალექტები

-īn -āt

ა) ʔaqtal ელატ.

ა) ზედს., მიმლ., ინტ.

ა) არსებითი, გა-

ბ) იშვ. ნისბა, უცხ. ზედს.

(უმთ. პიროვნ.).

სუბსტ. მიმლ., ზედს.

ბ) არსებითი (უმთ. -āt)

ბ) ზედს., მიმლ.

გ) ინტ., იშვ. აღმატ., რიცხვ. სახ., ნაცვ. სახ.

შუა აზიის არაბული

-īn მ. სქ. პიროვნ.

ზედს., არს.

-āt არაპირ. და მდ.

სქ. პიროვნ. ზედს., არს.

სოკოტრი

-(e)lin... -eten...

ა) ზედს., მიმლ., ინტ.

ა) არსებითი.

ბ) არსებითი (უმთ. -eten)

ბ) ინტ., ზედს., მიმლ. (უმთ. მ. სქ.).

მეკრი. მხავრი

-īn (შხ. იშვ.) -ēt...

(შხ. იშვ.)

ა) ზედს., მიმლ., ინტ.,

ა) არსებითი

ბ) არსებითი

ბ) ზედს., მიმლ., ინტ.

გეგზი

-ān -āt

qatāl ინტ.

ა) ზედს., ინტ., მიმლ. (უმთ. პირ.).

ა) არსებითი, გა-სუბსტ. ზედს., მიმლ.

ბ) არსებითი (-āt)

ბ) ზედს., მიმლ., ინტ.

ტიგრი

-am -at

ა) ზედს., მიმლ., ინტ.

ა) არსებითი

ბ) არსებითი

ბ) მიმლეობა

გ) ინტენსივი

ტიგონა

-āt...

- ა) ზედს., მიმლ., ინტ.
 ბ) არსებითი

- ა) არსებითი
 ბ) მიმლ.: ზედს.
 გ) ინტენსივი

§ 42. ჩრდილოდასავლურ ენებში კრებითის ფორმებს თელიან სამხრეთსემიტური შინაგანი მრავლობითის შესატყვისად; მაგ., qatī—ებრ. *reḵel* „ეტლი“, სირ. *raḥšā* 'ქვეწარმავალი'; *qutīm*—ებრ. *z'kūr* „ცენი“ და სხვ. ეს ფაქტები სწორად შეათასა Nöldeke-მ: „თუმცა ჩრდილოსემიტურ ენებში გვაქვს კრებითის ზოგიერთი ფორმა, რომელიც მრავლობითის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ იგი არ ქმნის გარკვეულ კლასს, არ იმყოფება კანონზომიერ მიმართებაში მსოლოობითთან“.

აღნიშნავენ მხოლოობით-მრავლობითის რამდენსამე წყვილს: სირ. *ḥ'ayānā*:*ḥ'ayrā* 'ვირი', *q'riḡā*:*qurjā* 'სოფელი' და სხვ.¹ (Nöldeke-ს აზრით, *qurjā* უფრო ადრინდელია, ვიდრე *q'riḡā*).

ზოგი ავტორი ამას არ სჯერდება. Jeurich-ის თანახმად, შინაგანი მრავლობითი არაბულის მსგავსად ებრაულშიც იყო გავრცელებული². Brockelmann-ი შენიშნავს, რომ ისინი, ვინც ებრაულში ეძიებენ ასეთი ფორმების კვალს, სწორად კრებითს განიხილავენ როგორც მრავლობითს³. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ შინაგან ფორმებად მიიჩნევენ ტიპებს, რომლებიც არ არიან ურთიერთთან დაკავშირებული.

Aistleitner-ი უგარიტულში შინაგანი მრავლობითის მთელ სერიას გამოყოფს (*aqtl*, *iqtl*, *uqtl*, *aqtl*, *uqtl*, *qtl*, *qtl*)⁴. ზოგ მათგანს შესატყვისი არა აქვს სამხრეთსემიტურში. Moscati სათანადო კონტექსტების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე უარყოფს უგარიტულში შინაგან ფორმათა არსებობას⁵.

Greenberg-ის აზრით, სელოლატების მრავლობითი ებრაულ-არამეულში (*qatl*:*qatalīm*, *qitl*:*qitalīm*, *qutl*:*qutalīm*), მისი პარა-

¹ NB, § 263; Nöldeke, BSS, SS. 59 ff.; GVG I, § 228; Gray, § 194; Brockelmann, ZDMG 51, S. 659; Moscati, RSO 29, pp. 42-3; Plural, p. 113; Matouš, AOR 24, S. 629

² Jeurich, SS. 6 ff.

³ GVG I. S. 426, Anm 1.

⁴ Aistleitner, SS. 39-46.

⁵ RSO 32, pp. 340 sq.

ლელეები სამხრეთსემიტურში (qatl-at : qatal, qitl-at : qital, qutl at : qutal) და სპორადული რედუბლიკაცია *a* ხმოვნით აქადურში წარმოადგენს აფრო-აზიატურ (ქამიტურ-სემიტურ) ენათა მრავლობითის (*a*-მრავლობითის) უძველეს მოდელს¹.

შინაგანი მრავლობითის რამდენიმე მაგალითი დამოწმებულია სამხრეთეთიოპურში².

§ 43. განხილულ ფორმათა ერთ-ერთი სახეობაა გაორკეცებული მრავლობითი, რომელიც ორი ტიპითაა წარმოდგენილი³:

ა) გაორკეცებული ფუძე ან თემატური ელემენტი მრავლობითის სუფიქსით (იშვ. შინაგანი ფლექსიით). იგი უმთავრესად ორთან-ხმოვნიან და სუსტ ფუძეებთან ვვხვდება. სისტემატურია ასალ არამეულში, განსაკუთრებით ორთანსმოვნიან სახელებში; მაგ., miltā : მრ. milāl-i 'სიტყვა', qāna qanāu-i 'რქა'⁴. სხვა ენებში იგი სპორადულია; აქად. alaktu : alkaḳātu 'გზა'; ებრ. mē : mēmē 'წყალი', შშნ გემინ. ḫal : ḫālīm 'ნამი'; სირ. rab : rayrībū 'დიდი'.

კლასიკურ არაბულში გაორკეცებული ფორმა ოთხთანსმოვნიან სახელთა შინაგანი მრავლობითის სქემას იღებს; მაგ., (lahr : lahār-rīr 'საუკუნე'⁵.

ბ) საკუთრივ გაორკეცებული მრავლობითი — შეინიშნება თანამედროვე სამხრეთარაბულში (ნაწილობრივ ძველ სამხრეთარაბულში) და ზოგ ეთიოპურ ენაში; მაგ., მქ kataf : katafōf 'ფრთა'; შხ. nuf : nofōf 'სული'; ტნა tāmān : tāmamān 'გველი'; ამქ. mālkam : mālkakam 'მშვენიერი'⁶.

4. ნარევი ფლექსია

ა) ს ქ ე ს ი

§ 44. ნარევი ფორმებს გვიჩვენებს არამეულსა და მეპრიში (შესადლებელია; აქადურშიც) -ān ელემენტისანი სახელები⁷. გარდა ამისა, შინაგანი მდებარეობითი qatlā⁸ და qutlā არაბულ დიალექ-

¹ Greenberg, pp. 198—204.

² Cohen. Amh., p. 71; Jeslau, Gaf., § 42.

³ Petráček. AO r 28, SS. 545 ff; GVG I, § 240. Moscati, Lezioni, § 255.

⁴ Nöldeke, NSG, § 72.

⁵ Soden, §§ 55 r. 61 p; Segal, p. 121; Nöldeke, MG, § 137; Brockelmann, Sg. § 115, GVG I, § 240.

⁶ Hüfner, Semitistik 3, S. 338; Bittner, Mh, § 80, Ḥh., S. 56; Jeslau, Tna, § 53; Cohen, Amh., p. 72; Юшманов, Амх., стр. 27.

⁷ იხ. ზემოთ, გვ. 30—1.

ტებში საკმაოდ ხშირად დაირთავს -(a)t სუფიქსს (უპირველეს ყოვლისა ნაცვალსახელური ნაწილაკების წინ)¹.

ბ) ნარევი და მრავლობითის მრავლობითი

§ 45. გეეზში შინაგანი მრავლობითის ყოველ ტიპს, ხოლო დანარჩენ ენებში ზოგ მათგანს, დაერთვის -āt სუფიქსი (არაბულ დიალექტებში, აგრეთვე, -in), ანდა მისგან კვლავ იწარმოება შინაგანი ფორმა; მაგ., კლ. არაბ. მხ. dār: მრ. dūr, dūrāt ('სახლ-კარი'), raḡul: riḡāl, riḡālāt; პალმ. *asuad: sūdīm ('შავი'); გზ fəwot: fənwā: ('წიწკი'); შნგ. მრ.: შნგ. მრ.—არაბ. (მხ. qayl:) *aqayl: *aqayil ('სიტყვა')².

Brückelmann-ი განიხილავს სამ ტიპიურ შემთხვევას:

ა) მრ. მრ. უპირისპირდება „მარტივ“ ფორმას, როგორც მრავლობითი „სიმცირის მრავლობითს“; მაგ., qayl 'სიტყვა'—მრ. *aqayil: „სიმც. მრ.“ *aqayil;

ბ) იგი წარმოადგენს კრებითს, რომლის ფუძესაც არ დაუკარგავს აღრინდელი მნიშვნელობა: მაგ., bajt 'სახლი': მრ. bajūt 'სახლები', კრებ. bajūtāt 'კომლექსი';

გ) ფუძე გავებულია მხოლოდობითად; მაგ., bilād 'ქვეყანა' (< მრ.: მხ. balad): მრ. buldān³.

ნარევი მრავლობითის ფუნქციათა დაზუსტება თითქმის შეუძლებელია.

Grébaut-ს მოწმობით, გეეზში იმ ნუნსების დადგენა, რომლებიც მას თან ახლავს, მხოლოდ ცალკეულ კონტექსტებში ხერხდება. ხშირად იგი შინაგანი მრავლობითის დუბლეტია⁴. არსებითად ასევეა არაბულშიც.

შემახვევითი არ უნდა იყოს, რომ მოცემული ფორმა მხოლოდ არსებითი სახელებისაგან იწარმოება (კერძოდ, ადგილების, საგნების, თევების და სხვ. სახელწოდებებისაგან)⁵.

განხილულ ფორმებთან ერთგვარ სიახლოვეს იჩენს qatil ტიპის სახელის სუფიქსიანი მრავლობითი მიშნაში, რომელიც

¹ იხ. ზემოთ, გვ. 30—31; GVG I, SS. 411—12.

² GVG I, § 233; Wright I, p. 232; Blachère, § 123; Cantineau, Palm., p. 201, Hor., p. 353; Dillmann, § 141; Grébaut, p. 17; Leslau, Te, § 27.

³ GVG I, ibid.

⁴ Grébaut, ibid.

⁵ Dillmann, ibid.

შინაგანი გახმოვნებითაც უპირისპირდება მხოლოდობითს — qatīl : qatānīn; მაგ., kāmīh : kāmīhīn 'შიკრიკი'¹.

5. ორობითი რიცხვი

§ 46. იწარმოება სუფიქსაციით (სახ. ბრ. -ā, ნათ., ბრალდ. -āi). კლასიკურ არაბულში, სოკოტრისა და უგარიტულში იგი გვეხვდება ორი არსის აღმნიშვნელ ყოველგვარ სახელთან (არსებითი, ზედსართავი; აქადურიდან ცნობილია ამ ფორმის ხმარების შემთხვევები ზედსართავთან); მაგ., კლ. არაბ., raḡul : raḡulāni (კაცი), ḥāḡmar : ḥāḡmarāni ('წითელი'), უგრ ḡmīd : ḡmīdm ('ჯოხი'), სოკ. ḡīdihēn : ḡīdīni ('ყური')².

ორობითი ეთიოპურსა და მოგვიანო პერიოდის არამეულში მხოლოდ კვალის სახით დასტურდება. დანარჩენ ენებსა და ნაწილობრივ ჩრდ. არაბულ დიალექტებში იგი ტყუპი საგნის გამომხატველ არსებით სახელებს ახასიათებს. იშვიათია შემთხვევითი წყვილისათვის. რიგ არაბულ დიალექტებში ეს ფორმა საერთოდ ორ საგანს აღნიშნავს; მსაზღვრელთან არსად არ იხმარება, გარდა „ორი“ რიცხვითი სახელისა. ამ სიტყვას აღნიშნული ფორმა ან მისი კვალი თითქმის ყოველ სემიტურ ენაში მოგვაოვება³.

ყურადღებას იქცევს ორობითი რიცხვის თავისებურება: მდებრობითი სქესისათვის გამოყენებულია არა მარტივი ფუძე, როგორც მრავლობითში, არამედ -(n)t სუფიქსიანი ფორმა (მს. kāmīh-at : ორ. kāmīh-at-āni; შდრ. მს. kāmīh-at : ორ. kāmīh-āt).

¹ Petráček, AOr 30, SS. 390—1; Segal, p. 128.

² Wright I, § 299; Cantineau, Palm., p. 193, Hor., pp. 348—50; Foghali, Kf., pp. 204—5; Leslau, Soq., pp. 10 sq; Gordon, § 8, 5.

³ GVG I, § 244; Dillmann, p. 286; Leslau, Te, § 28; Hüfner, ASAG, § 92; Bittner, Šh., S. 41; Soden, § 61 c; Brockelmann, HS, § 18 a; Reinhardt, § 105; Socin, § 82; Spitta, § 68 a; ZDMG 47, S. 395; Jb, S. 380.

III

შენიშვნები სქესისა და რიცხვის კატეგორიათა შესახებ

1. არამართი სახელწვია კლასიფიკაცია

§ 47. სემიტურ ენებში სახელის რიცხვის ისტორიის საკითხი საერთოდ არაა დასმული. სქესის კატეგორიის კვლევისას კი ყურადღების ცენტრში იყო სახელთა კლასიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით ინდო-ევროპულში ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი¹ სემიტოლოგიაშიც აისახა. Albrecht-ი, Feghali, Cuny, Speiser-ი და სხვანი ამ მოვლენის საფუძვლად ცოცხალ არსებათა ბუნებრივ დაყოფას თვლიან, მაშინ როდესაც Brockelmann-ი, Weusink-ი, Schaade და Meinhof-ი უარყოფენ გრამატიკულ და ბუნებრივ სქესს შორის აირვანდელ კავშირს. Brockelmann-ი ლაკონიურად გადმოსცემს მის ძირითად დებულებებს: მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები წარმოადგენს ორ კლასს². მდედრობითის აფიქსთა აღრინდელი ფუნქცია იყო საერთოდ ნაკლებად მნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი საგნის გამოხატვა. ამ კლასში შედის: აბსტრაქტული სახელი, კრებითი, კნინობითი, კერძობითი და სხვ.; აკრეთვე ბუნებრივი მდედრობითის გამოხატველ სახელთა დიდი ნაწილი, ხოლო ცნებითი ანალოგიის შედეგად მრავალი ისეთი სიტყვა, რომელსაც არ აქვს სათანადო მორფოლოგიური ნიშანი (სხეულის წყვილი ნაწილების, ზოგიერთი ცხოველის, მეტეოროლოგიურ ელემენტთა და მოვლენების, იარაღის, ტანსაცმლისა და სხვათა სახელწოდებანი). მდედრობითი სქესის რამდენიმე სუფიქსისა და მყარი სემასიოლოგიური ჯგუფების არსებობა (კნი-

¹ ამ საკითხის მიერ გამოწვეული მწვავე დისკუსია ინდოევროპეისტა შორის დღეაც გრძელდება: იხ. *Исследования*, стр. 315, прим. 1.

² მდრ. Schaade, S. 187; Meinhof, *Flekt. Spr.*, S. 63.

ძირითადად მოსაგვარებელი რქნება საგნების სახელწოდებათა საკითხი.

მიზნად არ ვისახავთ რა სემიტურში გრამატიკული სქესისა და რიცხვის პრობლემის დამუშავებას, შევჩერდებით იმ შენიშვნებზე, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხების გაცნობისას გავვიჩინა.

§ 48. რომელ პრინციპსაც არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, ერთი რამ ცხადია: მსაზღვრელის, შემასმენლისა და მისთ. ფორმები სუბსტანტივების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით ნაწილდება. პირველ რიგში ამ ჯგუფების რაობა გვიანტერესებს. მოცემული საკითხი გარდა დასახელებული წრომებისა სპეციალური მსჯელობის საგანია Albrecht-ისა და Feghali-Cuny-ს გამოკვლევებში.

Albrecht-ი ცხოველებისა და საგნებისათვის ჩამოთვლის რამდენსამე საკლასიფიკაციო ნიშანს: მამრობითი სქესი—ძლიერი, გაბატონებული და სხვ. მდედრობითი—„მშობელი“, გარემომცველი. მცირე, სუსტი, მორჩილი¹... Albrecht-ის მოსაზრებებს ექვს ქვეშ აყენებს ამ „წესების“ დარღვევის ხშირი შემთხვევები (იხ. ქვემოთ).

Feghali-Cuny, იზიარებენ რა Meillet-ს თეორიას ინდო-ევროპულში სქესის შესახებ², ამტკიცებენ, რომ ქამიტურ-სემიტურ ენებში სქესს წინ უსწრებდა „ცოცხალი არსებისა“ და „საგნის“ კატეგორია. მამრობითისა და მდედრობითის გამოყოფა დაიწყო ცოცხალ არსებათა სახელებში, შემდეგ მეტაფორისა და ანალოგიის გზით გავრცელდა საგანთა სახელწოდებებზედაც; „საგანთა“ კლასი შეიწოვა მდედრობითმა (იხვ. მამრ.).

I სრვისტორიული ეპოქა

„ცოცხალი არსება“	„საგანი“
1. მამრობითი	2. მდედრობითი
	საშუალო

II ქამიტურ-სემიტური ეპოქა

(უძვ. „ცოცხალი არსება“)	(უძვ. „საგანი“)
1. მამრობითი	2. მდედრობითი
	2. მდედრ. (აგრეთვე 1. მამრ.) ³

¹ ZATW 15 (1895), SS. 313—25; 16 (1896), SS. 41—121; შდრ. GVG I, S. 424.

² Feghali-Cuny, pp. 7—8.

³ pp. 8—9. 81—3; შდრ. Schaeble, SS. 135—6.

ჩვენი ავტორები დაწვრილებით არჩევენ ჩრდ. არაბულში, ებრაულსა და არამეულში ისეთ შემთხვევებს, როდესაც მდ. სქესში გაერთიანებული სუბსტანტივები იძენენ შესაბამის ფორმას¹. მათი აზრით, ცხოველებისა და საგნების სახელწოდებათა უდიდესი ნაწილი წარმოშობით საერთო სქესისაა, მდებრობითთან მათი დაკავშირება მოგვიანებითაა განხორციელებული — „მდებრობითი არის უძველესი საგანთა კლასის შემცველი“². სხეულის წყვილი ნაწილი, თითქოს იმის გამო აღინიშნება მდებრობითი სქესით, რომ იგი ორობითი რიცხვის სინგულატივია და, მაშასადამე: -(ა)ს სუფიქსიანი ფორმის ეკვივალენტი³ (Brockelmann-ი ამ სახელებში დეტერიორატივის ფორმას ხედავს)⁴.

საქიროა აღინიშნოს შემდეგი; მიუხედავად იმისა, რომ სემიტურში კარგადაა ცნობილი საგანთა და ცხოველთა სახელების კავშირი, როგორც Feghali და Cuny, ასევე მრავალი სხვა სპეციალისტი რატომღაც ცოცხალ არსებასა და საგანს ააირისპირებს, ანდა მათგან არ მიჯნავს პიროვნება-არაპიროვნებას.

§ 42. ინდო-ევროპულში „ცოცხალი არსებისა“ და „საგნის“ კატეგორიის არსებობა უდაოა (შდრ. კითხვ. ნაცვ. სახ. რუს. *кто* 'ვინ': *что* 'რა'; ფრანგ. *qui*:*quoi*, გერმ. *wer*:*was* და ა. შ.).

გვკონდა თუ არა ასეთივე მდგომარეობა სემიტურშიც? თუმცა, ზოგჯერ ცხოველის სქესიც გამოიხატება, რითაც იგი ადამიანთან ერთიანდება (უხ 'მამა': *אָמ* 'დედა', *אִמָּ* 'მამალი აქლემი': *אִמָּ* 'დედალი აქლემი'), მაგრამ დასირისაირება მამრობით და მდებრობით სქესს შორის, როგორც წესი, პიროვნებებთან გვაქვს: ცხოველები კი საგნების მსგავსად ან ერთ-ერთ ჯგუფს განეკუთვნება (სშირად მდებრობითს) ანდა საერთო სქესს წარმოადგენს⁵.

§ 43. ცხოველები — 'საქონელი' ებრ. *בְּיָר* მ. სირ. *בְּיָרָא*, მდ., არაბ. 'აქლემი' *بَيْر* ს. (უმთავრესად მ.); 'აქლემი' არაბ. *بَيْرَان* მ. (იშვ. მდ.), ებრ. *בַּיְרָא*, სირ. *baylā* საერთო.

'ცხენი' არაბ. *faras*, *birdaun* ს. (უმთ. მდ.), ებრ. *pārās* მ. სქ. 'თხა' არაბ. *mā'iz* ს., ტნა *ṭel* მდ. სქესი.

¹ Feghali-Cuny, pp. 27—79; შდრ. Schaade, S. 186.

² p. 52.

³ „ pp. 51—2.

⁴ GVG I, S. 420.

⁵ Feghali-Cuny, pp. 27 sq; GVG I, § 227; Cohen, GLECS II p. 23; Gelb, p. 184; Soden, § 60d; Gordon, § 84; Gesenius-Kautzsch, § 122; Leander, § 44; Rosenthal, § 59; Nöldeke, SG, §§ 44—7, MG, § 129, NSG, § 65; Blachère §§ 67 sq; Dillmann, § 130; Leslau, Te, § 32, Tna, § 40.

‘ვირი’ არაბ. *himār*, ებრ. *h̄mōr* მ.; სირ. *h̄mārā* ს. (უმთ. მამრ.).

‘ლომი’ არაბ. *ʿasad* საერთო.

‘დათვი’ არაბ. *dubb* მ., ებრ. *dōb*, სირ. *debbā* საერთო.

‘აფთარი’ არაბ. *ḏabn* მდ. (იშვ. მ.), სირ. *ʿafʿā* მდ., ებრ. *ḏābnāʿ* ს., ტე *kārāj* მდედრობითი.

‘ჯანჯარი’ არაბ. *faraʿ* მ., ებრ. *perē* ს., ტე *sūkan* ‘ქურციკი’ მდედრობითი.

‘ქურდღელი’ არაბ. *ʿarḡab*, სირ. *ʿarḡbā* ს. უმთ. მდ., ებრ. *ʿarḡebē* მდედრობითი.

‘მელია’ არაბ. *ḫāʿib* ს., ებრ. *ḫāʿīl* მამრობითი.

‘ფრინველი’ არაბ. *ʿuḡfūr* ‘ბელურა’ მ., ებრ. *šippūr*, სირ. *seprā* საერთო.

‘არწივი’ არაბ. *ʿuqāb* საერთო.

‘მტრედი’ სირ. *jaunā* ს., ებრ. *jōnā* მდ; ტნა *ragbi* მდედრ.

‘იქედნე’ არაბ. *ʿafʿā* მდ., ებრ. *ʿefʿē* ს., არაბ. *ḥajjat* საერთო.

‘ბაყაყი’ არაბ. *ḏafḏaʿ* საერთო.

‘მორიელი’ არაბ. *ʿaqrab* ს., ებრ. *ʿaqrāb* მ., სირ. *ʿeqaribā* მდედრობითი.

‘ობობა’ არაბ. *ʿaukabūt* ს. (უმთ. მდ.).

§ 50. სა გ ნ ე ბ ი — მდედრობითი სქესისაა სახელები, რომელთა საშუალებითაც გამოიხატება:

ა) სხეულის წყვილი ნაწილები; მაგ., ‘ხელი’ კლ. არაბ. *īad*, გზ *ʾad*. აქად. *īdum*, სირ. *īdā*; ‘ყური’ კლ. არაბ. *ʾuḏn*. ებრ. *ʾōzen*, სირ. *ʾednā*, აქად. *nzuun*; ‘თვალი’, კლ. არაბ. *ʿajū*, ებრ. *ʿajin*.

ბ) ტანსაცმელი, იარაღი, ჭურჭელი და სხვ.; ‘ჯაჭვის პერანგი’ კლ. არაბ. *dirʿ*; ‘ფეხსაცმელი’ კლას. არაბ. *naʿl*, ებრ. *naʿal*; ‘მახვილი’ ებრ. *hereb*; ‘ცული’ კლას. არაბ. *faʿs*; ‘საწოლი’ ებრ. *ʿeres*; ‘ქვაბი’ სირ. *qadrā*; ‘ფიალა’ კლ. არაბ. *kaʿs* (ზოგჯერ მამრ.), ებრ. *kōs*.

გ) მეტეოროლოგიური და სხვა მოვლენები: ‘ქარი’ კლ. არაბ. *rīb*, ებრ. *rūaḥ* (იშვ. მამრ.), სირ. *rūḥā*; ‘ცეცხლი’ კლ. არაბ. *nār*, სირ. *uḡrā*.

დ) ქვეყნებისა და ქალაქების სახელწოდებანი: ‘ეგვიპტე’ არაბ. *miṣrū*; ‘ასურეთი’ ებრ. *ʾaššūr*.

მარტივი ფორმის სიტყვები, რომლებიც ამ სემანტიკურ ჯგუფებში არ შედიან, უმთავრესად მამრობითი ან საშუალო სქესისაა.

§ 51. საერთო სქესი—ეთიოპურში საგანთა სახელების კლასიფიკაცია თითქმის არავითარ წესს არ ემორჩილება. ამ სიტყვათა უმეტესობა, ზოგიერთი ისეთიც, რომელსაც მდედრ. ფორმა აქვს, საერთო სქესისაა (მაგ., სხეულის ნაწილების, იარაღის, ტანსაცმლის, ხეების სახელები)¹.

კლასიკურ არაბულში გვაქვს რამდენიმე სემასიოლოგიური ჯგუფი:

ა) ცხოველთა და მცენარეთა კრებითი, რომელიც კერძობითს აწარმოებს; მაგ., *baḡar* 'ზროხა', *šagḡar* 'ხე';

ბ) ადამიანთა კრებითი სახელი; მაგ., *naṣ* 'ხალხი', *taḡr* 'ვაჭართა ჯგუფი';

გ) ასოთა სახელწოდებანი; მაგ., *ʿalif* 'ალიფი';

დ) სიტყვა განყენებული მნიშვნელობით; მაგ., *naʿayn baḡlā*, *hā-dīhi* 'ეს წყალი'². De Goeje, და მის მიხედვით Wensink-ი. ამას უმატებს აგრეთვე მასდარს³. Fischer-მა ცხადყო. რომ არაბულში მასდარი სპორადული შემთხვევების გარდა მამრობითი სქესისაა⁴.

საერთო სქესის ცალკეული სიტყვები ყველგან დასტურდება; მაგ., 'ხელი', 'თვალი' ბიბლ. არამ.; 'თითი' კლ. არაბ., სირ., 'მშვილდი' კლ. არაბ., ებრ.; 'იარაღი' კლ. არაბ., 'ბალი' ებრ.; 'ცა' სირ.; 'მზე' გზ, ებრ. და სხვა.

§ 52. ისევე როგორც ინდო-ევროპული, სემიტური ენებიც ხშირად შორდებიან ერთიმეორეს ცხოველებისა და საგნების კლასიფიკაციისას; ასე მაგალითად, 'ხელი' კლ. არაბ. მდ., ებრ., ბიბლ. არამ. საერთო, 'ფეხი' კლ. არაბ. მდ., ებრ. საერთო; 'თითი' კლ. არაბ., სირ. საერთო, ებრ. მდ.; 'თვალი' ბიბლ. არამ. საერთო, დანარჩენ ენებში - მდ.; 'შუბი' კლ. არაბ., ებრ. მ., სირ. მდ.; 'ნამგალი' კლ. არაბ. ებრ. მ., სირ. მდ.; 'კიბე' კლ. არაბ. საერთო, ებრ. მ.; 'გულა', 'ტიკი' კლ. არაბ. ებრ. მ., სირ. მდ. 'მზე' კლ. არაბ. მდ., აქად; ტნა მ., გზ, ებრ., სირ. საერთო; 'ღამე' კლ. არაბ. საერთო, ებრ. სირ. მამრობითი (ცხოველთა სახელები იხ. ზემოთ). დაეძინოთ, რომ ამ სახელთა ხმარებისას ერთი ენის ფარგლებშიც გვაქვს მერყეობა. კლასიკურ არაბულში ასეთი შემთხვევები აღნუსხული აქვს Fleischer-ს⁵.

¹ Dillmann, pp. 285—6; Prätorius, § 101; Leslau. *Tc*, § 32, *Tna*, § 40.

² Wright I, § 292; Fleischer, SS. 256 ff.

³ " Schaade, SS. 189—9.

⁴ ZDMG 60 (1906). SS. 839—59.

⁵ Fleischer, *ibid*.

§ 53. ცხოველთა სახელებში სქესის განურჩევლობა უძველეს დროს უნდა განეკუთვნოს. შეუძლებელია აქ იგი დაკარგულიყო, ხოლო პიროვნებებთან კი განაგრძობდეს არსებობას. პირიქით, რამდენადაც მეტად ვუახლოვდებით თანამედროვე პერიოდს, იმდენად ძლიერია პირველი ჯგუფის მეორესთან მსგავსება. ცხოველთა ზოგ სახელში, რომელიც სქესს გამოხატავს, ორი ფენა გამოიყოფა: ა) გასსხვაებული ლექსიკური ელემენტები (Hir: ʔu და სხვ.); ეს ფენა შედარებით ძველი ჩანს; ბ) მარტივი და (at სუფიქსიანი ფორმები (kib: kibt). ასეთი ფორმები აღრეც დასტურდება, მაგრამ ძირითადად ახალი პერიოდის ენას ახასიათებს¹.

Driver-ის სიტყვით, მორფოლოგიური ელემენტით სქესის აღნიშვნის საჭიროება მეტად შორეულ პერიოდში იგრძნობოდა, მაგალითად, ბავშვებისა და შინაური ცხოველების მიმართ². აღვნიშნავთ, რომ ამ არსებათა გათანაბრება არ ტერბდება. ისეთი შინაური ცხოველები, როგორცაა აქლემი, ცხენი, ხშირად საერთო სქესისაა. ძალი, რომლის მოწინააღმდეგეც უხსოვარი დროიდან იწყება, ვანა ყოველთვის განსხვავებული ფორმებით ან სიტყვებით აღინიშნება?

§ 54. ცხოველთა და საგანთა სახელები იმთავითვე ერთ ჯგუფში უნდა ყოფილიყო. პრეისტორიულ ეპოქაში ცოცხალი არსებისა და საგნის დაპირისპირება კი არ უნდა ვაღიაროთ, არამედ პიროვნებისა და არაპიროვნებისა (შდრ. კითხვ. ნაცვ. სახ.—ძვ. აქად. პიროვნება man: არაპიროვნება min, ებრ. mi: mi, კლ. არაბ. man: mā, გზ. mānu: maht და ა. შ.)³.

Meinhof-ი, მართალია, რწმენას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ქამიტურში, სემიტურში და ინდო-ევროპულშიც გრამატიკული სქესი წარმოდგება უძველესი პიროვნებათა და საგანთა კლასისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ მოჰყავს სათანადო საბუთები სემიტური და ინდო-ევროპული ენებიდან⁴.

რა ნიშნებით ხასიათდებოდა მოცემული ოპოზიცია? დავიწყოთ არაპიროვნებათა ჯგუფიდან. დამაჯერებელია Feghali-Cuny-ს აზრი, რომლის თანახმადაც, ცხოველთა და საგანთა სახელები დასაწყისში არ განარჩევდა ამ კატეგორიას. ისმის კითხვა: ისტორიულად დამოწმებულ ფუნქციათაგან რომელი უფრო აღრე უნდა ჰქონოდა ამ სახელებს? პირველად ფუნქციად თუ საერთო სქესს (მამრობი-

¹ GVG I, § 226.

² Driver, JJS I, p. 90.

³ Barth, PB, §§ 56—61: GVG I, § 110; შდრ. ქვემოთ, გვ. 59, შენ. 4.

⁴ ZDMG 65, SS. 205, 207. Hamit., § 14; შდრ. Hüfner, ASAG, § 45.

თი/მდედრობითი) მივიჩნევთ, მაშინ გაუგებარი იქნება აქედან მდედრობითის განვითარება, რომელიც არც სახელის ფორმას შეესატყვისება და არც სათანადო არსებათა ბუნებრივ სქესს (ცხოველთა სახელების დიდი ნაწილი ხომ მდედრობითს წარმოადგენს მიუხედავად ბიოლოგიური სქესისა). ერთი მხრივ, მდედრობითის და მამრობითის, ხოლო, მეორე მხრივ, მამრობით/მდედრობითის (საერთო სქესის) არსებობა აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული მდედრობითის ფუნქციიდან ამოსვლით¹.

ამის საფუძველზე არსებითი სახელების განაწილების ისტორია შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: დასაწყისში ურთიერთს უპირისპირდებოდა პიროვნების და არაპიროვნების სახელები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სემიტურში, ისევე როგორც სხვა მრავალ ენაში, ქალი და არაპიროვნება მკიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული², პირველ ჯგუფში უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ მამაკაცის აღმნიშვნელი სუბსტანტივები

პიროვნება	არაპიროვნება
მამაკაცის სახელი	ცხოველის, საგნის, მდ. სქ. პიროვნების სახელი

პიროვნებებში სქესის კატეგორიის წარმოშობასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ) ქალის სახელები გადასულა პირველ ჯგუფში; ვფიქრობთ, ამას უნდა გამოეწვია ძირეული ცვლილებები არაპიროვნებათა სახელებთან. აქ, ერთის მხრივ, წარმოდგენილია მდედრობითი (უცვლელი არაპიროვნება), მეორე მხრივ, მამრობითი და საერთო სქესი. აღამიანებთან მდედრობითი და მამრობითი ბუნებრივ ნიშნებს შეესატყვისება, ცხოველებთან ეს პრინციპი გვიან იჩინს თავს. საერთო სქესი ის გარდამავალი საფეხურია, რომლის შემდეგაც ცხოველთა ზოგი სახელი ბუნებრივი სქესის მიხედვით ნაწილდება (მამალი—მამრ. სქ., დედალი—მდედრ. სქ.). თავისთავად გასაგებია, რომ ეს არ ესება მცირე ცხოველებს (მწერებს, ქვეწარმავლებს, ფრინველებს). ასეთ არსებებთან ინდო-ევროპულშიც არაა გარჩეული სქესი (ისინი მდედრობითში შედიან)³.

§ 55. საგანთა სახელების უმეტესობა უძველეს ადგილს ინარჩუნებს თითქმის ყოველი სემიტური ენის სახელთა სისტემაში (მდ. სქ.), თუმცა, ორ რიგად დაყოფა ნაწილობრივ მათზეც ვრელდება. რადგანაც ამ შემთხვევაში ბიოლოგიური პრინციპი საერთოდ

¹ შტრ. Hüfner, *ibid*: Gray, §§ 187 sq: Feghali-Cuny, pp. 8—9.

² შტრ. Gray, § 188.

³ Meillet, *Langueistique*, p. 213.

გამორიცხულია, სრულიად სხვა მიზეზები მოქმედებს. მარტივი ფორმის ანდა „პირველადი“ მნიშვნელობის სიტყვა უმთავრესად მამრობითში შედის, ხოლო ნაწარმოები ანდა „მეორეული“ მნიშვნელობისა - მდედრობითში¹; მაგალითად, კლ. არაბ. kitāb 'წიგნი' მ. სქ., šahīf-at 'ფურცელი' მდ. სქ.; lisān 'ენა—ორგანო'. მ. სქ., 'მეტყველება' მდ. სქ. (აქადურში კი, პირიქით)². კლასიკურ არაბულში ზოგიერთი „ორბრუნვიანი“, ე. ი. ანომალიური სახელი მდედრობითი სქესისაა, მაშინ როდესაც „სამპრუნვიანი“ მამრობითს წარმოადგენს: მაგ., miṣru 'ეგვიპტე', uṣiṣū 'ვასიტი' მდ. სქ., ხოლო aḡ-ḡānu 'სირია', uṣiṣū მ. სქესი³.

საგანთა სახელების შეფასებაში, ალბათ, მნიშვნელობა ექნებოდა სემიტთა სხვადასხვა წარმოდგენებს, რომელთა შესახებ გარკვევით ვერაფერს ვიტყვი.

სუბსტანტივების კლასიფიკაციის ჩვენ მიერ მოცემული ზოგადი სქემა არინციპში ოდნავ განსხვავდება Bruckelmann-ის, Feghali-Cuny-ს და Gray-ს სქემებისაგან:

ა ი რ ო ვ ნ ე ბ ა

ა რ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა

I

მამაკაცის სახელი
(ისტ. მამრ.)

ცხოველის, საგნის, მდ. სქ. პიროვნების სახელი (ისტ. მდ.)

II

მამრობითი : მდედრობითი

ა) მდედრობითი

მამაკაცი : ქალი

(უძვ. არაპიროვნება)

(უძვ. პიროვნება : არაპიროვნება)⁴

ბ) საერთო

(მამრ./მდედრ.)

გ) მამრობითი : მდედრობითი

ცხოველი — მამალი : დედალი
საგნის სახ. ა) მარტივი : სუფიქსიანი
ბ) სემანტი. „წყვილები“ ა : ბ

¹ შდრ. Segal, § 368.

² Soden, § 60 d.

³ Wright I, p. 178.

⁴ ნაცუალსაბელი III ზოგჯერ ადამიანს აღნიშნავს, ხოლო man ცხოველს და საგანს (შდრ. ზემოთ, გვ. 57); იხ. GVG II, § 370 d, e: Reekendorf, AS, § 210, 4. ეს ფუნქციები მეორეული უნდა იყოს; ანდა, შესაძლებელია, პიროვნება-არაპიროვნების დაპიროსპირება, რასაც ცხადყოფს სათანადო მასალის ანალიზი, ამ ნაცუალსაბელებში გვიან აისახა და ახლა საქვე გვაქვს მათი ადრინდელი პოლისემიის კვალიდან.

§ 56. აქადურში, უგარიტულში, ძვ. სამხრეთარაბულსა და ზოგიერთ ცოცხალ ენაში არაპიროვნებათა ჯგუფს თითქმის მთლიანად გამოჰყოფია ცხოველები. მათ ადგილს ბუნებრივი სქესი განსაზღვრავს. ტიგრესა და ზოგ არაბულ დიალექტში რამდენიმე სიტყვაა მდ. სქესისა: არაბ. 'კურდღელი', 'გველი', 'აფთარი'; ტე 'აფთარი', 'ქურციკი' ¹.

თანამედროვე ჩრდ. არაბულში მარტივი ფორმის საგნის სახელი მამრ. სქესში გადასვლის ძლიერ ტენდენციას იჩენს: მაგ., 'ხელის მტევანი', 'მხარი', 'ქუთუთო', 'წარბი' 'მკლავი', 'ლოყა': 'ჭა' ², 'ქარი', 'ცა', 'ომი' და სხვ. ასევე სხეულის წყვილ ნაწილთა სახელები ტანფერის კილოში. ომანურსა და ქქარ ყაბიდას მეტყველებაში ქართა სახელები მამრობითი სქესისაა, ხოლო ასოთა სახელწოდებანი, რომლებიც კლასიკურ არაბულში საერთო სქესს გვიჩვენებენ, ქქარ ყაბიდაში მდებრობითს განეკუთვნებიან ³. ძირითადად მდებრობითი იმარჯვებს მალრიბულ დიალექტებში. აქ სქესის შეცვლის მიზეზად თვლიან ანალოგიას ანდა სუბსტრატი ენის ზემოქმედებას ⁴.

ცვლილებები შეინიშნება გვიანდელი პერიოდის ლიტერატურულ ძეგლთა ენაშიც: მაგ., 'ar nab 'კურდღელი' tʰalab 'მელა' მამრობითი სქესისაა; baṭn 'მუცელი'. faṣṣ 'პირი' ზოგჯერ მდებრობითია, ხოლო 'adīm 'წინამსარი', katif 'მხარი', bir 'ჭა' — მამრობითი. საერთო სქესის სახელები უმთავრესად მამრობითთან ერთიანდება ⁵.

§ 57. პიროვნებათა სახელების კლასიფიკაციის ისტორია რამდენადმე ნათელია, მის საპირისპირო ჯგუფთან დაკავშირებით კი მრავალი რამ გაუგებარია. ხშირად ძნელია (და თითქმის შეუძლებელიც) იმის დადგენა, საგანთა სახელების ადგილს ზემოაღნიშნული მომენტები განსაზღვრავს, თუ მოცემული საგნები შესაფერისი სქესის პიროვნებებადაა გაგებული (როვორც, მაგალითად, მიწა, რომელიც დედად გაიაზრება სემიტურშიც და ინდო-ევროპულშიც) ⁶.

¹ Leslau, Tc, § 32; Reinhardt, § 66; Feghali, Kf., p. 203; Panetta, § 16.

² ეს სიტყვა მამრ. სქესს გვიჩვენებს აბალ არაბულშიც: ob. Nöldeke, NSG, § 65.

³ Socin, § 70; Reinhardt, §§ 86—7; Cantineau, Palm., p. 196; Feghali, Kf., 200—204; Spitta, § 66; Bauer, § 45; Driver. Syr-Pal., p. 147; Занадонский, стр. 90.

⁴ Занадонский, стр. 88—90.

⁵ Fleischer. SS. 254—9, 265—6.

⁶ GVG I, S. 423; Есперсен, Грамматика, стр. 265—6

§ 58. არსებითი სახელების დაპირისპირება მხოლოდ სინტაქსური ფუნქციებით არ ამოიწურება; ზოგჯერ ჩნდება მორფოლოგიური ელემენტიც (აქ იგი, ისევე როგორც ინდო-ევროპულში, ალბათ, ზედსართავებისაჲან მომდინარეობს)¹, ძველ ენებში ეს პროცესი დასაწყის სტადიაშია და უპირატესად ცხოველთა სახელებთან შეინიშნება, ხოლო თანამედროვე ენათა ლექსიკაში საკმაოდ ძლიერ აქვს ფეხი მოკიდებული².

2. დაპირისპირებათა ბანვიუარება

§ 59. სამხრეთსემიტური ინდიფერენტული სახელების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სემიტური ენების განვითარების ადრინდელ პერიოდში არ დასტურდება ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი წესები სქესისა და რიცხვის წარმოებისა. ზოგ ენას, უპირველეს ყოვლისა, კლასიკურ არაბულს, დაუცავს ისეთი ფაქტები, რომელთა საფუძველზედაც ზუსტდება ეს მოსაზრება.

საგანთა სახელების მსაზღვრელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის ყველა სემიტურ ენაში უმთავრესად მდებარეობითშია დასმული, ანდა პარალელურად მამრობითიც გვხვდება. კლასიკურ არაბულში, ჩრდილოეთიოპურსა და ებრაულ-არამეულში ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ცხოველთა სახელებთანაც; აქ ზედსართავი სქესის ფორმებს შედარებით იშვიათად განარჩევს (იხ. ზემოთ).

წინადადების წევრთა ურთიერთობის განხილვისას ამ ფაქტებს ყოველთვის არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. აღნიშნავენ, რომ მსაზღვრელ-საზღვრული, ქვემდებარე-შემასმენელი შეთანხმებულია სქესსა და რიცხვში³.

არაპიროვნებათა სახელებთან სქესში შეთანხმების დარღვევის შემთხვევებს დეტალურად განიხილავენ Brockelmann-ი, Dillmann-ი, Blake, Reckendorf-ი, Gaudefroy-Demoubynes და Blachère⁴. ისინი პიროვნებისა და არაპიროვნების ზედსართავეებს ძირითადად მრავლობითში მიჯნავენ; მხოლოდობით რიცხვში დასმული ცხოველის სახელის თავისებურებას მიუთითებენ მაშინ, როდესაც ქვემდებარისა და ზმნის შეთანხმების შესახებ მსჯელობენ⁵.

¹ Meillet, BSI, #2, fasc. 1, p. 26.

² GVG I, S. 417; Feghali-Cuny, pp. 25 sq; Reinhardt, § 92; Cantineau, Hor., p. 251.

³ Reckendorf. SV. S. 99. AS, § 16; Nöldeke, SG, § 211. MG, § 223.

⁴ GVG II, §§ 49, 98—102; Dillmann, p. 477, §§ 18a, 195; Blake, pp. 161—8; Blachère, §§ 227 sq.

⁵ SV, SS. 71, 89—90; AS, § 15.

ვეტებით რა სახელთა სინტაქსურ ფუნქციებს, განვიხილავთ მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან სქესისა და რიცხვის დაპირისპირებათა წარმოშობაზე.

§ 60. ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ხსენებულ ენებში ზედსართავისათვის სქესის დაპირისპირება მაშინაა სავალდებულო, როდესაც იგი პიროვნებათა სახელებს განსაზღვრავს (მაგ., ჩრდ. არაბ. მ. *ṣabīḥun ḡamīlun* 'ლამაზი ყმაწვილი', მდ. *ṣabīḥatun ḡamīlatun* 'ლამაზი გოგონა'). კლ. არაბულში წინადადების დასაწყისში ზმნური შემასმენელი საერთოდ უცვლელია, დასმულია მხ. რ. მ. სქესში. ხოლო თუ მომდევნო სუბიექტი ქაღს აღნიშნავს, ზმნა მდებრობითშია; მაგ., *ḡāʾat hindun* 'მოვიდა პინდი'. მდებრობითს მაშინაც ეძლევა უპირატესობა, როდესაც ხსენებული სუბიექტი დაშორებულია შემასმენლისაგან. გამონაკლისია *biʿṣa niʿma* (*niʿma l-marʾatu zaiḥabin* 'რა კარგი ქალია ზეინააი!'; ეს სიტყვები ნაწილაკებს უახლოვდება და მათი უცვლელობა განმარტებას არ მოითხოვს).

კლასიკურ არაბულში პიროვნებისა და არაპიროვნების დაპირისპირება გაცილებით თვალსაჩინოა, როდესაც საქმე ეხება წინადადების წევრთა შორის ურთიერთობას რიცხვის თვალსაზრისით¹.

§ 61. სიროვნება -- კვალიფიკატივი და სახელური ან ზმნური შემასმენელი; წინამავალ ქვემდებარესთან შეთანხმებულია რიცხვში. შინაგანი მრავლობითი და კრებითი ჩვეულებრივ მრავლობითს მოითხოვს:

სახელოვლი

მსახდვრელი

მრ. სუფ., მ.

მრ. მ.

„ მდ.

მრ. მდ.; იშვ. მს. მდ.

მრ. შნგ. (მ., მდ.)

მრ. (მ. ან მდ.); იშვ.

მხ. (მდ. ან მ.)

კრებ.

მრ.; იშვ., მხ. (შესატყვისი

სქესი)

naḥīḥūna maṣḥūrūna 'ცნობილი გრამატიკოსები', *banātun ʿāqilātun* ('*ʿāqilatun*) 'გონიერი ასულნი'; *riḡālun muḥtālūna* 'შაკეკარი კაცები'; *ṣibīḥūn zuraḥū* 'გონებამახვილი ყმაწვილები'. *ʾaḏaḡḡūn sālīmātun* (*sālīmatun*) 'უმწიკვლო ცოლები'; *ʾaḏaʾifu muḥaḡḡalū* 'გადასახლებული სტუმრები'; *qaḡḡūn musrifūna* 'მფლანგველი ხალხი'; *maṣḥāhatun fānīyatun* 'ღრმად მოხუცებულნი'.

¹ Reckendorf, SV, SS. 71—2, 89—90, AS, §§ 15, 41; Blachère, §§ 227 sq; Blake, JAOS 32, pp. 162—163; Nöldeke, ZGr, § 64; Illaparton, стр. 77.

ქვემდებარე

მრ. სუფ., მ.
 " მდ.
 მრ. შნგ., მ.
 " მდ.
 კრებ.

შემასმენელი

მრ. მ.
 მხ., ან მრ. მდ.
 მრ. მ. (ტშ.); ან მხ. მდ.
 მრ. მდ. (ხშ.); ან მხ. მდ.
 მრ. (ბუნებრ. სქესის მიხედვით)

naḡātilūna ṣalāḥū 'მებრძოლნი დაზავდნენ'; baḡātun tabkī/ṭabkīna 'ასულნი ტიროდნენ'; maḡat-i-l-ḡilīmānu iṭṭaḥḥānu 'ბიჭები მისლევდნენ მას'; (ḥ)kanā'u taḡūsu 'ბრძენნი ამბობენ'; ḡaḡārin ra'āina (ra'at) 'მხეველებმა ნახეს'; ḡaḡā u nāsū 'ilā ḡab. bakrin fa-ḡāḡū 'მოვიდა ხალხი აბუ ბექრთან და უთხრა'.

§ 62. არააიროვნება — მსაზღვრელი და შემასმენელი (სახელური, ზმნური), მიუხედავად ქვემდებარის ფორმისა, უმთავრესად მხოლოობითშია მოცემული

საზღვრული

მრ. სუფ., მ.
 მდ. }
 მრ. შნგ.
 კრებ. (კერძობითით)
 კრებ. (კერძობითის გარეშე)

მსაზღვრელი

მხ. მდ.; იშვ. მრ. მდ.
 მხ. მდ.; იშვ. მრ. (შნგ. ან სუფ).
 მხ. მ., მდ.: იშვ. მრ. (მდ.)
 მხ. მდ.; იშვ. მრ. მდ.

'aradūna muḥṣibatun (muḥṣibātun) 'ნაყოფიერი მიწები'; ṣāliḥātun kaḡīratun (kaḡīrātun) 'მრავალი სიკეთე', 'usūdun ḡārijātun (ḡārijātun) 'მძინვარე ლომები'; al-'ajjāmu l-ma'ḡmātu 'განსაზღვრული დღეები'; ḡijābusu biḡūn 'თეთრი ტანსაცმელი' (მრ. რ.); kilābusu nāsiḡātun 'მყეფარი ძაღლები'; ḡamāmū ḡāridun/ḡāridātun (ḡāridātun) 'მოლულუნე მტრელები' (კრებ.); ḡanamū kaḡīrun 'მრავალი ფარა' (კრებ.); 'ibilun ḡāmirātun (ḡāmirātun) 'ვაამხლარი აქლემები' (კრებ.).

ქვემდებარე

მრ. სუფ., მ.
 " მდ.
 მრ. შნგ.—სავნები
 ცხოველი—მამალი
 დედალი
 კრებ. ცხოველი (კერძობითით)
 (კერძობითის
 გარეშე)

შემასმენელი

მრ. მდ. (ხშ.); ან მხ. მდ.
 მხ. ან მრ. მდ.
 მხ., მრ., მ., მდ.
 მხ. მდ.; იშვ. მრ. მდ.
 მრ. მდ.
 მხ. მდ.; მ. ან მრ. მდ.
 მხ. ან მრ. მდ.

sinūna ḥalauna (ḥalat) 'წლებმა განელო'; ḥajayānāt qutilat/qu-tilna 'ცხოველები დაიხოცნენ'; al-ʿaḥḥān taḥmī 'ამბები გარცელ-და'; ʾaḥḥāmuḥ maḍat/maḍauna 'ღლეები გავიდა' (საგნებთან მხ. მდ. ხშირია); ʾntuḥuḥ ḫamiʾna 'მოსწყურდა დედალ სახედრებს'; ḥa-māmūḥ taḡradu/iḡradu, (iḡradna) 'მტრედები (კრებ.) ღულუნებ-და'; ʾa-fa-lā iḥaḫḫurūna ʾilā l-ʾibīli kaifa ḥulīqat 'ვერ ხედავენ, რო-გორ შეიქმნა აქლემების ჯოკი?' (კრებ.).

შემასმენელი შეიძლება მრავლობითში შეგვხვდეს, როდესაც სა-განი ან ცხოველი განპიროვნებულია; მაგ., kulluḥ fī falākiḥ iḥḥa-ḥūna 'ყველაფერი ცის თაღზე ცურავს'¹.

მდ. სქ. მრავლობითში აღამიანი და არაპიროვნება გაერთიანე-ბულია (ქვემდებარე მდ. მრ.: შემასმ. მდ. მს. ან ბრ.), რაც მდედ-რობითისა და არაპიროვნებათა ჯგუფის ოდინდელი კავშირით უნდა აიხსნებოდეს (შდრ. ზემოთ).

რადგანაც -ūna სუფიქსი ჩვეულებრივ ისეთ სახელს დაერთ-ვის (პიროვნების სახელი), რომელიც მსაზღვრელს და იემასმე-ნელს ითანხმებს რიცხვში, ამიტომ მასთან წინადადების ეს წევრე-ბი შეიძლება მრავლობითში (მდ. სქ.) დაისვას მაშინაც, როცა არაპიროვნებაა აღნიშნული (sinūna maḍauna, ʾaradūna muḥḥi-ḥātun).

§ 63. პიროვნებისა და არაპიროვნების დაპირისპირება ზოგ შემთხვევაში სხვაგანაც შეინიშნება. ცნობილია, რომ ჩრდ. არაბულ დიალექტებში პიროვნების მრავლობითი ან კრებითი ზოგან მრავ-ლობითს მოითხოვს, არაპიროვნებისა — მხოლოობითს; ანდა მის გვერდით მრავლობითიც გვხვდება. ლიბანურში მსაზღვრელთან მას უპირატესობა ეიღევა (ზოგ დიალექტში ეს რპოზიცია არ გვაქვს)².

ებრაულში ცხოველისა და საგნის სახელის მრავლობითთან ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი შეიძლება მხოლოობითში (მდ. სქ.) გვექონდეს³. იშვიათი არაა ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ ფორ-მითაა მოცემული ზმნური შემასმენელიც⁴. წესით მხოლოობითშია (მ. სქ.) შემასმენელი, რომელიც წინ უძღვის არაპიროვნების გა-მომხატველ ქვემდებარეს⁵.

¹ Nöldeke, ZGr, S. 81.

² Meissner, S. XXVII; Feghali, Syntaxe, pp. 129—4, 142—5; Cantinonau, Palm., p. 234.

³ Gesenius-Kautzsch, S. 418 p.

⁴ " § 145.4: Brockelmann, HS, § 50 c.

⁵ " § 145.7.

მრავლობითში (მ. სქ.) დასმული საგნის სახელების მსაზღვრელს მეჭრიში ზოგჯერ მხოლოდობითის ფორმა (მდ. სქ.) აქვს¹.

გეგზში სქესსა და რიცხვში შეთანხმება მხოლოდ მაშინაა სავალდებულო, როდესაც ქვემდებარე ან სახლერული პიროვნებას აღნიშნავს².

ტიგრეში შინაგან მრავლობითში მოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითშიც გვხვდება და მხოლოდობითშიც; პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს პიროვნებასთან, მეორეში — არაპიროვნებასთან.

ტიგრინაში მსაზღვრელი და შემასმენელი რიცხვშია შეთანხმებული პიროვნების სახელთან; შეთანხმება ფაქულტატიურია, თუ საქმე ეხება არაპიროვნებას³.

§ 64. კლ. არაბულში და ზოგჯერ სხვაგანაც არაპიროვნების ზედსართავი (შემასმენელიც), როგორც წესი, მხოლოდობითია, არსებითი სახელი კი იცვლის რიცხვის ფორმებს (მხ. 0 : მრ. - ١٥ ან შინაგანი); მაგრამ ამ შემთხვევაში მათ სრულიად სხვა ფუნქციები აქვთ, ვიდრე პიროვნებასთან.

საგნებისა და ცხოველების არსებით სახელებში დაპირისპირება მხოლოდობითი : მრავლობითი ხშირად მოჩვენებითია და არ აღნიშნავს რიცხვს ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ქვემდებარე (არს. სახ.) მსაზღვრელი (ზედს.) შემასმენელი.

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა

მხ. რ.

მხ. რ.

მრ. რ.

მრ. რ.

ა რ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა

მხ. რ. }

მხ. რ.

მრ. რ. }

უკანასკნელ შემთხვევაში მრავლობითი კრებითის ფუნქციას ასრულებს.

§ 65. ზემოთ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ცხოველთა ლექსიკაში სქესის კატეგორია გაცილებით გვიან უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ადამიანთა სახელებში. ამავე დროს, როგორც დავინახეთ, ზოგ ენაში არაპიროვნებებთან რიცხვი იშვიათ

¹ Blake, p. 161.

² Dillmann, §§ 188, 195; G V ო II, §§ 100, 128; Blake, pp. 161—3.

³ Leslau, Te, § 29, Tna, § 56.

შემთხვევაშია გამოსატული და მრავლობითში დასმული სუბსტანტი-
ვიც კი მხოლოდობითად (კრებითად) გაიგება.

სქესისა და რიცხვის ოპოზიციები ძირითადად ადამიანთა სა-
ხელებს ახასიათებს.

სქესის განურჩევლობა საგანთა სახელებში სავსებით გასაგებია.
საკითხი ისმის ცხოველების შესახებ. გარდა ამისა, ასახსნელია რი-
ცხვის ოპოზიციათა უქონლობა საერთოდ არაპიროვნებებთან.

§ 66. ზოგჯერ ადამიანის სახელის გრამატიკული სქესიც არ
შეესატყვისება ბიოლოგიურს, ანდა საერთო სქესს გვიჩვენებს. ეს
მოვლენა დასტურდება უმთავრესად მაშინ, როდესაც ამა თუ იმ
სიტყვაში ხაზი გაესმის კაცისა და ქალისათვის საერთო ნიშნებს;
ასე ზგაღითად, კლ. არაბ. ʿinsān 'ადამიანი' და ualad 'შვილი'
ორივე სქესის პიროვნებისათვის იხმარება (ქალისათვის გვიან
გვხვდება ʿinsānat); ხსr 'ხორციელი, ადამიანი' არაბულში საერთო
სქესისაა, ებრაულსა და სირიულში—მამრობითის; nfs 'სული, ცო-
ცხალი არსება' არაბ. მდედრ., ებრ. საერთო (ხშირად მდედრ.), სირ.
საერთო¹. შდრ. ინდო-ევროპულში—'ადამიანი' ვერმ. Mensch მ.
სქ., შვედ. människa მდედრ., დან.-ნორვ. menneske საშუალო.

საინტერესოა ისიც, რომ ნაწილს ამ სახელთაგან მხოლოდობითის
შინაარსიც აქვს და კრებითისაც; მაგ. არაბულში ualad 'შვილი და
შვილები'; არამ. ʿayās 'ადამიანი და ხალხი' და სხვ. ამრიგად, პი-
როვნებათა სახელებშიც დასტურდება საერთო სქესი და რიცხვი,
როდესაც არაა გამოსატული ცალკეული ინდივიდი.

ერთი და იმავე სიტყვით ცალკეული ეგზემპლარისა და სახეობის,
ჯიშის აღნიშვნა განსაკუთრებით ცხოველებისა და საგნების სახელწო-
დებებისათვისაა დამახასიათებელი; შდრ. ქართ. ცხეარი, ძრო-
ხა, ნადირი; ფრანგ. le'loup 'მგელი' (singulier générique). ცხოვე-
ლები და იმ საგანთა უმრავლესობა, რომლებთანაც უძველეს დროს
საქმე უნდა ჰქონოდა ადამიანს. ბუნებაში ჩვეულებრივ ჯგუფურად
გვხვდება²; ცხადია, მათ გამოსახატავად თავდაპირველად უნდა ყო-
ფილიყო სიტყვები რიცხვის და სქესის ოპოზიციის გარეშე (ჯოგის,
გუნდის და კრებულის მიმართ, რომელშიაც არაა გამოყოფილი ცალ-
კეული წევრები; სქესის და რიცხვის შესახებ საუბარი უადგილოა)³.

¹ Feghali-Guay, pp. 40—42.

² გარდა მხისა, მთვარისა, დედამიწისა და ზისთ., რომლებიც
პიროვნებებადაა გაგებელი.

³ ტიგრინში ცხოველის ჯიშის გამომხატველი სახელი მდედრობითში შე-
დის; Leslau, *Tun.*, § 39. როგორც პროკოში მიუთითებს, ინდო-ევროპულში
მსგავსმა სახელებმა დასაბამი მისცა მდედრობით სქესს; Прокош, стр. 214.

ეს სიტყვები, ალბათ, ადამიანის სახელებს უპირისპირდებოდნენ, როგორც კრებითი კერძობითს. აღნიშნული სახელები თავისი ინდიფერენტულობის გამო ადვილად შეიძლებოდა გადასულიყო ცალკეულ წარმომადგენელზედაც. ამით უნდა აიხსნებოდეს მათი პოლისემია (მაგ., *ḫajr* 'ფრინველი' და 'ფრინველთა გუნდი').

ზემოთ მიუთითეთ, რომ ადამიანთა კრებითები გარკვეულ კავშირს იჩენენ არაპიროვნებათა სახელებთან. ამ ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავს Meinhof-ი — ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაიგება არა როგორც ინდივიდთა სიმრავლე, არამედ როგორც განუყოფელი მთლიანობა, საკანს წარმოადგენს და არა პიროვნებას¹. ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით კი ხსენებული მოვლენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არაპიროვნებათა ერთეული ეგზემპლარის სახელი წარმოშობით კრებითია. კონკრეტული ცხოველის და საგნის სახელებს ზოგჯერ შემოუნახავთ ის სანტაქსური ფუნქციები, რომლებიც მათ კრებითის აღნიშვნისას უნდა ჰქონოდათ².

უდაოა, რომ ბუნებრივი სქესის მიხედვით დაყოფა იმ ცხოველთა სახელებში დაიწყო, რომლებიც ჯოკს გამოეყვნენ.

§ 68. კლასიკურ არაბულში კრებითების ორი სახეობა გვაქვს: ა) ცხოველები კერძობითის ვარეშე — მდედრ. სქესი (*ʿibīl* 'აქლემების ჯოგი', *ḡaḡam* 'ცხვრის ფარა'); ბ) ცხოველები, საგნები, კერძობითის ფორმით და ადამიანები — საერთო სქესი (*baḡar* 'ზროხა': კერძ. *baḡarat*, *ḡaḡar* 'ხე': კერძ. *ḡaḡarat*; *raḥṭ*, *naḡar* 'ადამიანთა ჯგუფი, რამდენიმე კაცი', და სხვ.). მამრობითი მდედრობითის გვერდით ორ შემთხვევაში შეინიშნება: ა) როცა კრებითს უპირისპირდება $-(a)t$ სუფიქსიანი ფორმა; ბ) ჯგუფი ჩვეულებრივ მამაკაცებისაგან შედგება.

მდედრობითის პარალელურად მამრობითის არსებობა სწორედ აქ აღნიშნული მომენტებით უნდა აიხსნებოდეს, რამდენადაც ამ მომენტების ვარეშე მხოლოდ მდედრობითი დასტურდება (*ḡaḡam* და სხვა). $-(a)t$ სუფიქსიანი ფორმისათვის საერთოდ მდედრობითია ნიშანდობლივი, ამიტომ კერძობითის საპირისპირო ფორმა ზოგჯერ მამრობითადაა გაგებული (*ḡaḡar* მამრ., მდედრ.: *ḡaḡarat* მდედრ.). მამაკაცებისაგან შემდგარი კრებითიც გარკვეულ შემთხვევებში სათანადო სქესს წარმოადგენს. მოცემულ

¹ ZDMG 56, S. 207.

² Kurylowicz-ის აზრით, ამ სახელთა წარმოშობითან ეპითეტის *ḡ* მდ. იმ დროისაა, როცა ეს ფარეშა საშ. სქესის წარმოშობის უდროა: Apoph., p. 190. მაგრამ მდ. ფუნქცია არაპიროვნების სახელს (საშ. სქ.) ხომ *ḡ* რიცხვშიც აქვს?

სახელებთან მსაზღვრელი და შემასმენელი პირველად მხოლოდ მდედრობითში უნდა გვექონოდა. სხვა ენებში გადამწყვეტია ზემო-ხსენებული მიზეზები—სახელის ფუნქცია ჩვეულებრივ დამოკიდებულია ფორმაზე ანდა სათანადო არსებათა ბუნებრივ სქესზე: 'შედარებით იშვიათია არქაიზმები (მაგ., ებრ. §511 'წვილფეხა საქონელი' მდ. სქ.).

ადამიანთა კრებითებში სქესის გარჩევა გვიანდელი წარმოშობისაა (კლ. არაბულში ზოგჯერ დასტურდება უძველესი ვითარების კვალი, მდედ. სქ.). იგივე ითქმის რიცხვის შესახებაც. ისინი ხშირად მრავლობითადაა გაკებული; ხოლო არაპიროვნებათა მრავლობითის ფორმა (რომელიც ადამიანთა სახელების გავლენითაა განვითარებული), სინტაქსურად მხოლოდობითია. კლ. არაბულში ამ სახელების კრებითის ფუნქცია, მხოლოდობითი, ახლად განვითარებულ მრავლობითის ფორმაზეც გადასულა. სხვა ენებში, ამ მხრივ პიროვნებისა და არაპიროვნების მრავლობითის ფორმები უფრო იშვიათად განიჩევა. კრებითი მეტ-ნაკლებად მრავლობითის როლში გამოდის¹.

§ 69. სახელთა კლასების განხილვის შედეგად არაპიროვნებათა კლასისათვის დაიხასიათებელ ნიშნად ჩავთვალეთ ისტორიული მდედრობითი. რამდენადაც ეს სახელები კრებითებს უკავშირდება, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ფუნქცია კრებითის ნიშანია. იგი თავდაპირველად უნდა ქონოდა როგორც ადამიანის, ასევე არაპიროვნების კრებითს. ვფიქრობთ, -(a)ტ უპირისპირდებოდა ისტორიულ მამრობითს, ესე იგი ნულ სუფიქსს, როგორც კრებითი კერძობითს. -(a)ტ სუფიქსის ფუნქციითა ისტორიას რამდენადმე სხვაგვარად განიხილავენ Fischer-ი და Speiser-ი.

Fischer-ი ვარაუდობს, რომ აღნიშნული მორფემა თავდაპირველად საშუალო სქესის სუბსტანტივს აწარმოებდა (fädilat 'სიკეთე'), შემდეგში განვითარდა კრებითი, აბსტრაქტული სახელის ფორმა და მდედრობითი. იგი მიუთითებს ინდო-ევროპულს, სადაც მდედრობითი წარმოშობით საშუალო სქესი ან კრებითია².

Speiser-ი -(a)ტ სუფიქსით გამოხატულ კატეგორიებს შემდეგი თანმიმდევრობით ალაგებს:

1. აბსტრ. ფორმა (ზედსართავის, ზმნის, რიცხვ. სახელის);
2. კრებითი (მიმლეობის და არსებითი სახელის);
3. დერივატივი საერთოდ (კერძობითი და სხვა);
4. ბუნებრივი მდედრობითი;

¹ Soden, §§ 133 c, 133 d; Brockelmann, HS, §§ 28 b, 50 c, 59 b; Nöldeke, NSG, § 120.

² ZDMG 60, S. 853, Anm. 1, შდრ. Schandte, S. 191.

5. მრავლობითის მდებარეობითი (მამრობითის ანალოგიით—მხ. -u > მრ. -ii, მდ. მხ. -at > მრ. -āt)¹. ჩვენი აზრით, დებულება აბსტრაქტული სახელის ფორმისაგან მდებარეობითის წარმოშობის შესახებ მხოლოდ იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც აღნიშნული მორფემისაგან კრებითის შკაცრად გამოიყენა შეუძლებელია (მით უმეტეს სქესის კატეგორიის ჩამოყალიბების დროისათვის).

კლასიკურ არაბულში და ნაწილობრივ სხვა სემიტურ ენებში სახელისა და მასთან დაკავშირებული წინადადების წვერთა ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ისტორიულ მდებარეობითს (მხ. რ.) წარმოშობით კრებითის ფუნქციას; განვლილი უნდა ჰქონდეს განვითარების ასეთი გზა:

- ა) კრებითი (არაპიროვნება, პიროვნება)
- ბ) არაპიროვნება
- გ) მდებარეობითი სქესი

2. სახელთაგან რიცხვის კატეგორია უნდა ჩასახულიყო პიროვნებათა ზედსართავეებსა და სუბსტანტივებში², ხოლო მამრობითისა და მდებარეობითის დაპირისპირება აღნიშნულ ზედსართავეებში³; ინტენსივებსა და საკუთრივ მიმღებობებში ეს კატეგორიები შედარებით ახალი ჩანს (შდრ. თავი 1), ხოლო არაპიროვნებათა სახელებში კიდევ უფრო გვიანდელი.

3. სქესისა და რიცხვის დაპირისპირებათა ისტორიაში გამოიყოფა ორი მთავარი საფეხური:

I

მამრობითი: მდებარეობითი მხოლოობითი: მრავლობითი
 პიროვნება (ზედსართავი) პიროვნება (ზედს.; არს.?)

II

მამრობითი: მდებარეობითი მხოლოობითი: მრავლობითი
 ა) პიროვნება { ზედს., მიმღ., ა) პიროვნება { ზედს., მიმღ.,
 ბ) არაპიროვნება } ინტ., იშვ. არს. ბ) არაპიროვნება } ინტ., არს.

¹ JAOS vol. 56, N 1, pp. 37 sq.

² შდრ. გვ. 115—6, სადაც განიხილულია ვარაუდი, რამე მხოლოობით-მრავლობითის დაპირისპირება ზედსართავთან უფრო ადრინდელია, ვიდრე სუბსტანტივთან.

³ ქალის თვისების აღნიშვნელ ზედსართავეებს იმ თავიდან არ უნდა ჰქონოდათ მდ. ფორმა, რადგანაც ისინი ობიექტის გარეშე არიან. სააჩისა ნაგალითები იშვიათი არაა კლ. არაბულში: იხ. GVG I, § 226a; Reckendorf, AS, § 16, 5.

IV

შინაგანი მდებარეობისა და მრავლობითის აღზილი სახელთა სისტემაში

1. შესავალი

§ 70. ხმოვანთა დაპირისპირებით სქესის გამოხატვას რამდენიმე მკვლევარი ეხება, მაშინ როდესაც რიცხვის შინაგანი ფორმები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მრავალი მეცნიერის მხრივ. მათი მოსაზრებების სრული მიმოხილვა მოცემულია Petráček-ის შრომაში—*Die inuere Flexion in den semitischen Sprachen*¹.

აქ მხოლოდ იმ გამოკვლევებს განვიხილავთ, რომლებიც 'შინაგან ფორმათა რაობას ეხება. ამ სისტემის დახასიათება პირველად Barth-მა წარმოადგინა (*Die gebrochenen Plurale*)². მისი ძირითადი დასკვნებია:

1. მრავლობითის ფორმა განვითარებულია მხოლოდობითისაგან დამოუკიდებლად (შდრ. Hamaker)³.

2. რიცხვის შინაგანი წარმოება სათავეს იღებს პრასემიტურში, სადაც აბსტრაქტულ სახელს კრებითის შინაარსიც აქვს.

3. სამხრეთსემიტურში აბსტრაქტული სახელის გარკვეული ტიპებისა და შესატყვისი კონკრეტული სახელის დაკავშირების შედეგად მივიღეთ მხოლოდობით-მრავლობითი (მხ. fā'il 'მკეთებელი': მრ. fa'alat, რაც 'კეთნასაც' ნიშნავს).

4. ენა თანდათანობით ახდენს აბსტრაქტული სახელისა და მრავლობითის დიფერენციაციას აფიქსების ან შინაგანი გახმოვნების საშუალებით (რაც თავის მხრივ საეციალური ტიპების განვითარებას იწვევს; მაგ. აბსტრ. fa'il -at: მრ. fa'il-ā; აბსტრ. fa'il: მრ. fi'āl; აბსტრ. fu'il: მრ. ʔaf'il).

¹ AOr 30, SS. 365 ff.

² NB, SS. 417—83.

³ შდრ. Jenrich. S. 12.

5. ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სხვადასხვა აბსტრაქტული სახელების იმავე ფუძის კონკრეტულ სახელებზე განაწილებისას ენა იჩენს აშკარა ტენდენციას, მრავლობითის ფორმა რაც შეიძლება მეტად განსხვავდებოდეს მხოლოობითისაგან; მოკლესმოვნთან სახელს გრძელსმოვნთან მრავლობითი აქვს, ერთმარცვლიანს—ორმარცვლიანი და ა. შ. (მხ. fa'īl, fa'il: მრ. fi'ni; fa'l: 'a'f'ul).

6. მხოლოობითის ან მრავლობითის ტიპთა პარალელიზმი იმითაა გამოწვეული, რომ ერთ კონკრეტულ სახელს რამდენიმე აბსტრაქტული შეესატყვისება და პირიქით (მხ. fu'āl: მრ. fi'lat, 'a'f'ilat, fi'lān; მხ. fa'īl, fa'il, fa'līnu, fu'lā: მრ. fa'lā).

7. საპირისპირო ტიპთა კავშირი ზოგჯერ მეორეულია, დაფუძნებულია ფორმალურ ან ცნებით ანალოგიაზე—„მიმღ“. მხ. ḡalaq: მრ. 'aḡlāq, აქედან ასეთი მრავლობითი fa'al ტიპის ყოველგვარ არსებითთან გვხვდება; სხვადასხვა ტიპის ცხოველთა სახელებს შეიძლება ერთი მრავლობითი ჰქონდეს.

8. მხოლოობითისა და მრავლობითის ურთიერთობას განსაზღვრავს „სათანადო“ ზმნის გარდამავლობა-გარდუვალობა. ამის მიხედვით ხშირად მრავლობითის ტიპები გარეგნულადაც განსხვავდება (გარდამ. fa'l, გარდუვალი fa'lā).

9. fi'al, fu'al მრავლობითები წარმოშობით განყენებულ სახელებს არ უკავშირდება¹.

§ 71. Meinhof-ის და Worrell-ის თანახმად, შინაგანი რიცხვის ფორმათა კავშირს განსაზღვრავს პოლარიტეტის კანონი². Worrell-ი ამ კანონით ხსნის რიცხვითი და აღსარიცხავი სახელების სქესში შეუთანხმებლობას, სახელის მრავლობითის წარმოებას საპირისპირო სქესის ნიშნით (მხ. მ.: მრ. მდ., მხ. მდ.: მრ. მ.) და სხვ. იგი გამოყოფს შინაგანი რიცხვის ფორმათა 8 ჯგუფს:

მხოლოობითი: მრავლობითი

1. მოკლე ხმოვანი	გრძელი ხმოვანი	kalb : kilāb
2. გრძელი ხმოვანი	მოკლე ხმოვანი	kitāb : kutub
3. a	u	falak : fuluk
i	ā	šarīf : širāf
ā	i	ḥimār : ḥamīr
4. I ā	II ā	šāḥib : šihāb
5. 0	ინტენს. 'a-	baḥr : 'aḥur

¹ NB, §§ 262—8.

² Meinhof, ZDMG 65. SS. 201—2, Hamit., § 11; Worrell, pp. 179—182; შერ. Matouš, S. 626; Petráček, AOr 30, SS. 372—4.

6. ინტ. აა-	0	აazraq : zuuq
7. .0	-at, -ა, -ა	qird : qiradat
8. -at, -ა, -ა	0	halqat : halaq

პოლარიტეტის თეორიის არსი, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთიმეორისაგან არ განარჩევს მოვლენის საფუძველსა და შედეგს.

პოლარიტეტი განსხვავებულ ფორმათა კავშირის შედეგია, მისი მიზეზი კი საძიებელია.

§ 72. Matouš-მა წინასწარ მოხსენებაში წამოაყენა რამდენიმე პრინციპული ხასიათის თეზისი:

1. მსხვრეულ მრავლობითს არაფერი აქვს საერთო პოლარიტეტთან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხოლოდობითი და მრავლობითი სქესის მაწარმოებლით განსხვავდება—მხ. qird 'მაიმუნი': მრ. qiradat, halqat 'წრე': halaq.

2. იმ პრინციპის ძიება, რომლის მიხედვითაც მსხვრეული მრავლობითი ცალკეული მხოლოდობითისათვის იწარმოება, მართალია, სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი მოიწვევებითაა. მხოლოდობითის ერთ კლასს მრავლობითის გარკვეული კლასი შეესატყვისება.

3. მსხვრეული მრავლობითის წარმოების წესების დასადგენად აუცილებელია გარჩეულ იქნეს პირველადი სუბსტანტივი ნაზმნარი სახელისაგან. ცალკე უნდა გამოიყოს ანალოგიის საფუძველზე წარმოშობილი ფორმები.

4. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ოთხთანხმოვნიან სახელთა მრავლობითი უფრო გვიანდელია, ვიდრე სამთანხმოვნიანთა.

5. სამთანხმ. მრავლობითის განვითარების ორი საფეხური გამოიყოფა: ა) პრასემიტური, როდესაც იგი კრებითს წარმოადგენდა (Matouš-ის თვალსაზრისის თანახმად, აბსტრაქტული სახელის შინაარსი კრებითისაგანაა განვითარებული); ბ) სამხრეთ-სემიტური.

6. მსხვრეული მრავლობითის საწყისები უნდა ვეძიოთ კრებითის გამომხატველ არსებით სახელებში — šabāb 'ახალგაზრდობა' და სხვ.¹

§ 73. Kuryłowicz-ის წიგნში L'apophonie en sémetique სრულიად ახლებურადაა განხილული სემიტურ ენათა მორფოლოგიის კარდინალურ საკითხებთან ერთად ჩვენთვის საინტერესო პრობლემა.

¹ AOr 24 (1956), SS. 626—30.

Kuryłowicz-ის სიტყვით, შინაგანი მრავლობითის პრობლემა განეკუთვნება დენომინატიურ აპოფონიას, თუმცა, მისი დაკავშირება ზმნასთან უფრო ადვილია. ვიდრე სახელთან. იგი qatal, qital, qutal ტიპებს თვლის ნასახელარ აბსტრაქტულ ფორმებად, რომელთაც უპირისპირდება გარკვეული მხოლოობითები, როგორც კრებითს კერძობითი — qital (მზ., კრებ.) : qitlat (კერძ.) > qitlat (მზ.) : qital (მრ.). ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული K(ommasu)-საც¹.

დანარჩენ ტიპებს, ავტორის აზრით, წარმოშობით ნაზმნარი სახელები შეადგენს. იგი მიუთითებს ფრანგულში ნაზმნარი აბსტრაქტული სახელების სუფიქსებს, რომლებმაც კრებითის მნიშვნელობა მიიღეს და ამტკიცებს, რომ სამხრეთსემიტურში უმთავრესად ნასახელარი ზმნიდან (qatala, qatila, qatula) ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები იქცა შესატყვის სახელთა (nom-s-hases) კრებითებად.

ყოველი აბსტრაქტული სახელი ზნასთან ერთად მის მიმღობასა და გასუბსტანტივებულ ზედსართავებსაც უპირისპირდება. ხოლო როდესაც ზმნა ნასახელარია, ამას ერთვის ოპონიკია ფუძე-სახელთან. qatīl ორმაგ როლს ასრულებს, აქედან პირველია ნაზმნარი აბსტრაქტული სახელი, რომელიც პირიან ზმნას უპირისპირდება, მეორეული — ნასახელარი სიტყვა, დაპირისპირებული qatīl მიმღობასთან. გასუბსტანტივებულ ნაზმნარ ზედსართავსა და ნასახელარი ზმნის ფუძე-სიტყვასთან. როგორც Kuryłowicz-ი აღნიშნავს, ფორმებმა, რომელთაც ახასიათებს აპოფონია, კრებითის ფუნქცია შეიძინეს მას შემდეგ, რაც ნასახელარი ზმნის ფილტრში გაიარეს, რადგანაც ნასახელარი სუბსტანტივისათვის დასაწყისში უცხო იყო თვისობრივი აპოფონია; -at, -ān, -ā და -ā? სახელური ელემენტებით დაბოლოებული ტიპები ნასახელარი წარმოშობისაა (ზედსართავი, აბსტრაქტული სახელი). ისინი საერთოსემიტურში ნაზმნარ სახელებად იქცნენ, ხოლო სამხრეთსემიტურში კვლავ დენომინატივებად.

ა- პრეფიქსიანი ფორმები ʔaqtāl, ʔaqtul (ʔaqtəl), ʔaqtūl, ʔaqtəlt, ʔaqtilat და ʔaqtīl? ხმარებიდან გამოსული აბსტრაქტული სახელებია (IV კლასი). რომლებიც შეესატყვისებიან ძირითად კლასს qatāl, qutul, qutūl, qatīl. როდესაც მათ შეეცვალეს პრეფიქსიანი ფორმები, ამ უკანასკნელებმა მიიღეს ნასახელარი ზმნის ფუძე-სახელის აბსტრაქტული ფორმის (შემდეგ კრებითის) ფუნქცია. ნაზმნარი და ნასახელარი აბსტრაქტული სახელების

¹ Зигадка, стр. 158.

დიფერენციაციის შედეგად კრებითების დამოუკიდებელი ჯგუფი შექმნა შემდეგმა ფორმებმა: *ʔaqtāl, ʔaqtul, ʔaqtilat, ʔaqtilāʔ, qatālā, qitalat, quttal, quttāl, qutalat, qutalāʔ*. *qātil, qatāli, qatil*: მრ. *qatal* (ი) დაპირისპირებას წინ უძღოდა *qatal* (ზმნური ზედსართავი და მოქმედის სახელი): *qatal(a)t, qātil, qatāli* და *qatil* ტიპების მიერ *qatal*-ის გამოდევნამ გამოიწვია ახალი ოპოზიციები.

ოთხთანხმოვნიან სახელთა მრავლობითი *qatālib* წარმოშობით ნაზმნარი სახელია (*jaqti/nu : qatāl = *jaqatlibu : qatālib* პრეფიქსის ხმოვნის შეცვლის შედეგად (*ja > ju*)).

ზმნური აბსტრაქტული სახელის აღსანიშნავად *qatālib* გამოდევნა *qatāli*-ს ვარიანტმა; პირველი კი ვახდა ნასახელარი ზმნის ჟუსეს-სახელისა და ნაზმნარი სახელის აბსტრაქტული ფორმა (აქედან კრებითი).

ნაზმნარ სახელებში მრავლობითის ფართოდ გავრცელების ერთ-ერთ ძირითად პირობას ქმნის *qātil*, რომლის ხმარების არეც გაცილებით მეტია, ვიდრე მოქმედის აღმნიშვნელი ყველა სხვა სახელისა.

Kurylowicz-ი Barth-ს დამსახურებად უთვლის მსხვერველ მრავლობითსა და საპირისპირო ნაზმნარ სახელს შორის კოორდინაციის დამყარების ცდას. როგორც მოსალოდნელი იყო, წერს იგი, მხოლოდობითის რომელიმე ტიპი და სათანადო მრავლობითი ერთსა და იმავე უღლებას განეკუთვნება. კლასიკურ არაბულში გვაქვს უძველესი ასოციაციების კვალი.

მდგომარეობის გამომხატველი *qātil* ტიპის ნაზმნარი სახელის მრავლობითი ინფინიტივს ემთხვევა (*qā'id*: მრ., ინფ. *qu'id*).

რადგანაც გარკვეული ფორმები საერთოა ორივე უღლებისათვის, *qatila*-საგან ნაწარმოები სახელები შეიქრა *qatala*-ს არეში, ზმნურ სახელსა (მხ. რ.) და აბსტრაქტულს (კრებ.) შორის პირველადი მიმართებანი საგრძნობლად შეიცვალა და წარისოცა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ფორმალურმა და სემანტიკურმა ფაქტორებმაც (მსგავსი გახმოვნების მხოლოდობითებს ერთნაირი მრავლობითები აქვს).

სემანტიკური ჯგუფები იჩენს მიდრეკილებას საერთო ფორმებისადმი¹.

დასასრულ, Kurylowicz-ი განიხილავს მსხვერველი და სუფიქსიანი მრავლობითის ურთიერთობის საკითხს (იხ. ქვემოთ).

შინაგანი მდებრობითის შესახებ ავტორი ასეთი აზრისაა: წარმოშობით ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები *qatil* და *qatāl* სამხრეთსემიტურში გამოიყენებოდა როგორც დანართი (სქესისა და რიცხვის მიხედვით უცვლელი); *qatil* ზედსართავმა შეზღუდა

¹ L'apophonie, §§ 270—285, შდრ. BSL 53. fasc. 1, pp. 33—8.

მხ. I:მრ. ა სამხრეთარაბულში გავრცელდა სხვა მხოლოდობითებზედაც (ვანსაკუთრებით ოთხთანხმოვნის ტიპებზე¹, რომელთაც ბოლო თანხმოვნის წინ i აქვთ.

4. შინაგანი გახმოვნების დაპირისპირებით სქესის გამოხატვა სამხრეთსემიტური მოვლენაა; იგი ამ ენათა ერთიანობის დროინდელია. qatīl და qatāl წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ ლექსიკურ ელემენტს.

5. სქესი და რიცხვი გარკვეულ შემთხვევებში ერთი და იმავე წესით გამოხატება — ა) სუფიქსაცია (-at მდ. სქ. და კრებითი); ბ) შინაგანი ფლექსია (qatīl: qatāl მდ., მრ.); გ) სუფიქსთა მონაცვლეობა (qatlānu: qatlā მდ., მრ.).

6. შინაგანი ფლექსია (რიცხვის, სქესის) მეორეული მოვლენაა (შდრ. Torczyner, Bergsträsser, Landsberger, Meinhof)¹.

7. ოთხთანხმოვნიან სახელთა მრავლობითის სისტემა, შესაძლებელია, აღმოცენებულია სემიტურ-ქამიტურ გაორკეცებული მრავლობითის საფუძველზე².

8. გაორკეცებული მრავლობითი საერთოა სემიტურ-ქამიტურისათვის. ამ შემთხვევაში Petráček-მა დაუშვა სამხრეთსემიტურზე კუ-შიტური ენების გავლენის შესაძლებლობა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს Leslau³ (შდრ. Bittner-ი, Höfner-ი)⁴.

§ 75. შინაგანი სქესი ჩვეულებრივ მრავლობითისაგან დამოუკიდებლად განიხილებოდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია Bittner-ისა და Petráček-ის მოსაზრება qatīl: qatāl მხოლოდობით-მრავლობითისა და მამრობით-მდედრობითის კავშირის შესახებ (იხ. ზემოთ). შინაგანი მდედრობითისა და მრავლობითის ნათესაობის საკითხი საფუძვლიანად აქვს განხილული Petráček-ს⁵.

qatāl მდედრობითის გენეზისს სხვადასხვაგვარად ხსნიან⁶. Dillmann-ს იგი გამოყავს სუფიქსიანი ფორმისაგან — „მდედრობითის მაწარმოებელი -ā მოქცეულია ფუძეში“⁷. იგი უპასუხოდ ტოვებს კითხვას — რატონაა, რომ qatāl სწორედ qatīl-ს შეესატყვისება?

¹ Petráček, AOr 22, SS. 576—80.

² Petráček, AOr 30, SS. 395—6.

³ Word 1, № 1, § 10.

⁴ AOr 29, SS. 529 ff.

⁵ შდრ. Лоханово множественное и арабском. стр. 6; Petráček, AOr 30, SS. 381 ff.

⁶ Petráček, op. cit. SS. 386 ff.; Leslau, *Language* 28, N 1, § 7.

⁷ Dillmann, pp. 370—80; შდრ. Leslau, *То.* § 33.

Pratorius-ი არ ეთანხმება Dillmann-ს; მისი აზრით, დაპირისპირება მ. qatil:მდ. qat(t)āl შედეგია qat(t)āl ტიპის მდედრობითად დიფერენციაციისა¹.

Barth-ი თავის ცნობილ შრომაში არაერთხელ ეხება ამ საკითხს. იგი ამტკიცებს, რომ qatil და qatāl სუბსტანტიური წარმოშობისაა, რაზედაც მიგვითითებს, ერთი მხრივ, მათი უცვლელობა სქესის (და რიცხვის) მიხედვით, მეორე მხრივ, qatāl-ის გამოყენება მდედრობითისათვის. „...qatāl მისი პარალელის qatil-ის მდედრობითადაა დიფერენცირებული“². Barth-ი გრძელბმოვნიან ფუძეთა პარალელიზმზე სხვა შემთხვევაშიც მსჯელობს: „qatil მ. qatāl მდ., qatil მხ., qitāl მრავლობითი აშკარად მეტყველებს qatil და qatāl (qitāl, qutāl) ფუძეთა პარალელიზმზე“³.

Brockelmanu-ის აზრით, qatāl ტიპს შემდეგი ცვლილებები უნდა განეცადა: qatilt > qatal > qatāl⁴. მასთან ჩვენ სრულიად სხვა ახსნასაც ვხვდებით: qatil და qatāl ხშირად იხმარება ერთიმეორის გვერდით (šahīḥ/šahāḥ); ენამ ეს „სიქარბე“ ნაწილობრივ იმაში გამოიყენა, რომ qatāl-ს მდედრობითის მნიშვნელობა მიანიჭა (სახელდობრ იმ ზედსართავეებთან, რომელთაც აბსტრაქტული წარმოშობის გამო მდედრობითის მაწარმოებელი არ აქვთ)⁵.

Leslau შესაძლებლად თელის, რომ qat(t)āl წარმოადგენდეს მდედრობითის არქაულ წარმოებას სემიტურში. ამავე დროს იგი მიუთითებს აგაუ-ენაზე (აგაუ სუბსტრატია გეეზის, ტიგრესა და ტიგრინასათვის), რომელშიც სქესი სისტემატურად გამოიხატება i-a ხმოვნების მონაცვლეობით; მაგ., მ. dāḡi:მდ. dāḡa ‘ღარიბი’⁶.

Kurylowicz-ისა და Petráček-ის მოსაზრებები იხ. ზემოთ.

ჩვენ შევეცდებით იმის ჩვენებას, რომ qatil-qatāl უნდა იყოს განხილული, როგორც შინაგან მრავლობითთან⁷, ასევე ḡatā-qatāl⁸, qutlā, qatlān-qatlā ტიპებსა და სოკოტრის შინაგან მდედრობითთან კავშირში.

§ 76. სოკოტრიში დამოწმებული კომბინაციები a-e, a-i, e-i საფუძვლიანად შეისწავლა Müller-მა. მოგვეყავს მის მიერ მიღებული მთავარი დასკვნები:

¹ Petráček, *ibid.*

² NB, §§ 26, 27 b, 28 d, e, 108 d, 124 a, 129 f.

³ „ S. 473, Anm. 1.

⁴ GVG I, § 132 a.

⁵ „ § 131 b.

⁶ Language 28, N 1, § 7.

⁷ შდრ. Petráček, *op. cit.*, SS. 386, 389.

1. ფერისა და ფიზიკური ნაკლის ზედსართავთა უმეტეს ნაწილში გაორკეცებულია III ძირეული (qɑtlɑl-qɑtlil), დანარჩენები იღებენ ჰ- პრეფიქსს (sɑqɑl-sɑqtil), ანდა ბოლოში დაირთავენ თანხმოვანს (qɑtlɑm-qɑtlim).

2. სოკოტრის qɑtlɑl qɑtlil უკავშირდება არაბულ *ʔɑqtal-qatliʔ*-ს არა მარტო ფუნქციით, არამედ მორფოლოგიურადაც.

3. შინაგანი სქესი განვითარებულია სუფიქსალური ტიპისაგან. ხსენებული ზედსართავების მდებარეობითი დასაწყისში იწარმოებოდა -j სუფიქსით (ისევე როგორც არაბული qatliʔ, qutliʔ), რომელიც დროთა განმავლობაში დაიკარგა და გამოიწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი: qɑtlɑl : მდ. *ʔɑtlɑli > qɑtlɑl : qɑtlil*.

4. qɑtlɑl-qɑtlɑli ამოსავალია არა მარტო სოკოტრის ფორმებისათვის, არამედ არაბული *ʔɑqtal-qatliʔ* ტიპის ზედსართავისათვისაც¹.

არაბულ *ʔɑqtal (qatliʔ)* ზედსართავს, მართალია, ზმნის გაორკეცებული თემები შეესატყვისება (*iqtalla, iqtalla*); უფრო მეტიც, მონათესავე ენებში მსგავსი შინაარსი მარცელის ან თანხმოვნის გემინაციით გადმოიცემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაორკეცებული თანხმოვნის არსებობას ხსენებული ზედსართავის აღრინდელ ფორმაში.

ʔɑqtal (qatliʔ) ინტენსივის შესატყვისად სოკოტრიში დასტურდება qɑtlɑl (qɑtlil), sɑqɑl (sɑqtil), qɑtlɑm (qɑtlim). ორივე რიგისათვის საერთოა qtl. მას, ერთი მხრივ, სხვადასხვა ელემენტები ახლავს (მაგ., *ʔa-*), მეორე მხრივ, გაორკეცებულია ბოლო ძირეული. Müller-ი მამრობით-მდებარეობაში *a : i* დაპირისპირებას ხსნას მ. *ʔɑqtal* : მდ. *qatliʔ, qutliʔ*-ს საშუალებით; მაშინ, როდესაც ამ ფორმათა კავშირი მეორეული უნდა იყოს. *qatli/i* მდებარეობითი მამრობითისაგან მხოლოდ *-iʔ, -i* „სუფიქსებით“ კი არ განიჩნევა, არამედ ფუძეებითაც *ʔɑqtal : qatliʔ, qutliʔ* (იხ. ქვემოთ).

2. დაპირისპირებას წამართა შრთიერთოზა

§ 77. ძველმა კონცეფციამ მხოლოდობითის ფუძისაგან „მსხვრეული“ მრავლობითის წარმოების შესახებ ვერ გაუძლო სერიოზულ კრიტიკას. იგი შეცვალა აბსტრაქტების (კრებითების) თეორიამ, რომელმაც თითქმის საყოველთაო აღიარება ჰპოვა². ამ თეორიის

¹ Müller, *Qatli*, SS. 445–55.

² NB, SS. 417–19, Petráček, *op. cit.*, SS. 365 ff.

მიხედვით, აღნიშნული ფორმები წარმოშობით აბსტრაქტული სახელის (კრებითის) ტიპებია. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ Barth-ის სიტყვები: გარკვეული აბსტრაქტული ფორმები ჩვევის გზით უკავშირდებოდა სათანადო კონკრეტულის გარკვეულ ტიპებს და ამგვარად იქმნებოდა მხოლოდობით-მრავლობითის წყვილები; მაგ., fā'alat აბსტრ.: მხ. fā'il კონკრეტული¹.

შინაგანი მრავლობითი აბსტრაქტულ სახელთა სისტემასთანაა დაკავშირებული აპოფონიის თეორიაშიც (Kurylowicz).

მკვლევართა უმეტესობა მხოლოდობითისა და შინაგანი მრავლობითის ფორმათა შორის გულისხმობს ისეთ ურთიერთობას, რაც დამახასიათებელია კონკრეტული და აბსტრაქტული სახელებისათვის. ამ მომენტს გარკვევით აღნიშნავს Barth-ი (იხ. ზემოთ), განსაკუთრებით კი Kurylowicz-ი.

Kurylowicz-ს Barth-ის პიპოთეზა არ მიაჩნია დამაჯერებლად იმ მიზეზით, რომ იგი გულისხმობს ორ ნაზმნარ სახელს შორის არსებული აპოფონიური მიმართების შემდგომ გავრცელებას პირველად სიტყვებზე. Kurylowicz-ი იშველიებს ფრანგული ნაზმნარი სახელების სუფიქსთა ერთ წყებას იმის ნათელსაყოფად, თუ რა როლს ასრულებს ზმნა კრებითების განვითარებაში. იგი ასკვნის, რომ „კავშირი fer:ferrement(s) სიტყვათა შორის დამყარებულია ნასახელარი ზმნის საშუალებით (ferrum „fer“ > ferrare „ferrer“ > ferramentum „ferrement“). სახელი, რომელიც საფუძვლად უძევს ზმნას, შეიძლება აღნიშნავდეს მოქმედების რეზულტატს, ინსტრუმენტს, ადგილს და სხვ. ხოლო ნაზმნარი სახელი, წარმოშობით აბსტრაქტული, თავის მხრივ, შეიცავს სხვადასხვა კონკრეტულ მნიშვნელობებს, რის გამოც მას ეძლევა ფუძე-სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან თანაარსებობის საშუალება“.

ასეა განვითარებული გარკვეული კრებითები (მსხერეული მრავლობითი) სამხრეთსემიტურში².

ისმის კითხვა: არის თუ არა საფუძველი იმისათვის, რომ სემიტურ ენათა განვითარების რომელსამე ეტაპზე შინაგან ფორმებთან ვალიაროთ აბსტრაქტული და კონკრეტული სახელების ისეთი ურთიერთობა, როგორსაც ზემოხსენებული ავტორები ამტკიცებენ?

§ 78. მხოლოდობით-მრავლობითის კავშირი მართლაც Barth-ისა და Kurylowicz-ის მიერ მითითებულ ნიშნებს რომ ემყარებოდეს, მაშინ დაპირისპირებებში მონაწილეობას უნდა იღებდეს ამ ნიშნების მქონე ყოველი ტიპი და არა მათი გარკვეული ნაწილი.

¹ NB, § 264 a, b.

² L'apophonie, §§ 272—3. შდრ. BSL 53, fasc. 1, pp. 34—5.

Barth-ის ცდა, აეხსნა მოცემული სისტემის თავისებურების მიზეზი, უშედეგო აღმოჩნდა. მისი აზრით, აბსტრაქტების განაწილება მხოლოდ ზოგიერთ კონკრეტებზე იმითაა გამოწვეული, რომ ენა მისიწრაფის დაპირისპირების წვერებად შეარჩიოს შინაგანი სტრუქტურით რაც შეიძლება მეტად განსხვავებული ტიპები — გრძელხმოვნიან ფუძეს შეესატყვისება მოკლელხმოვნიანი, ერთმარცვლიანს — ორმარცვლიანი და ა. შ. მაგრამ ვარკვეული შეზღუდვა ხომ ამ შემთხვევაშიც დასტურდება?

იგივე ეხება ავტორის კონცეფციას იმის შესახებ, რომ მხოლოდობითისა და მრავლობითის კავშირს განსაზღვრავს იმ ზმნათა გარდამავლობა-გარდუვალობა, რომლებმაც, თითქოს, დასაბამი მისცეს შინაგან რიცხვს. ასე მაგალითად, qitāl ფორმასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ შესატყვისი მხოლოდობითის ტიპებს აერთიანებს „გარდუვალობა“. ამ შემთხვევაში ანგარიში არ ეწევა იმ ფაქტს, რომ მოცემულ ფუძესთან მხოლოდობითის ფუნქციით ვამოდის „სათანადო გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები“ არა ყოველი ტიპი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი.

§ 79. მართალია, შინაგანი მრავლობითის ერთსა და იმავე ტიპთან სხვადასხვა მხოლოდობითი გვაქვს და პირიქით, მხოლოდობითს რამდენიმე მრავლობითი შეესატყვისება, მაგრამ ვერ უარეყოფთ იმას, რომ მათი განაწილება რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება; qital მრავლობითს წარმოადგენს მხოლოდ qital და qatlat სახელებთან; qatal — მხ. qatlat, qatlā, qatlat, qitlat, quttal, quttāl: qātil(at); qutāl-ს რამდენიმე მხოლოდობითი უპირისპირდება, მაგრამ მასთან არასოდეს არ გვხვდება qatāl, qitāl, qutāl, qatūl (qatūl კი მეტად იზვიათია) და ა. შ. გარდა ამისა, კარგადაა ცნობილი, რომ ამ სახის მრავლობითი ინტენსივისა და არსებითი სახელისათვის (გასუბსტანტივებული ზედსართავი) არის დამახასიათებელი; (შინაგანი მდებრობითი მხოლოდ ინტენსივისათვის). ზოგ ენაში ამას ემატება სხვა პირობაც (შინაგანი და სუფიქსალური ფორმები პიროვნებისა და არაპიროვნების სახელთა შორის ნაწილდება).

განხილულ თეორიებში ყურადღება ექცევა მხოლოდობითისა და მრავლობითის კავშირს საერთოდ, კონკრეტული ოპოზიციები კი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია შინაგანი სქესი და რიცხვი, უკანა პლანზეა გადაწეული.

§ 80. ხსენებული ფორმების შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ სემიოტურ ენათა მორფოლოგიის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის, სქემა გამოხატავს როგორც აბსტრაქტულ სახელს ან კრებითს,

ასევე კონკრეტულს და კერძობითს¹. ასე მაგალითად, qitl—აბსტრ. 'ilm 'ცოდნა', კონკრ. hi'r 'ჭა'; qutl—usr 'სიძნელე', 'uḏl 'ყური'; qital—kibar 'სიდიდე', 'inab 'ყურძენი'; qitāl—hi'sāb 'ალრიცხვა, ანგარიში', lisān 'ენა' და ა. შ.

როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამით ხასიათდება შინაგანი სქესი და რიცხვი (მაგ., qitāl მრავლობითია, როდესაც მას უპირისპირდება qatīl, qatīn, qutlān და სხვ., ხოლო qitlān-თან იგი გაგებულია მხოლოდობითად; qatāl მდებრობითსაც გამოხატავს და მამრობითსაც—მდ. qatāl:მ. qatīl; მ. qatāl:მდ. qatālat). აღნიშნული მიზეზის გამო სახელის ერთი და იგივე ტიპები ზოგჯერ ორმაგ ოპოზიციებს ქმნის:

მხოლოდობითი	მრავლობითი
qatīl	qitāl
qitāl	qatīl
(kabīr : kibār,	himār : ḥawīr)
qitāl	qutlān
qutlān	qitāl
(ṣihāb : ṣuhbān,	ḥumṣān : ḥimāṣ)

დაპირისპირების წევრები უფრო ხშირად შეცვლილია მონათესავე ვარიანტებით:

	qutul	ʾaqtāl (<ʾa + qitāl)
	qitāl	qutul
Aḥṣuḥ	ʾaḥṣāḥ,	dilāḥ : dulusḥ)
qutāl	(/qitāl)	qitlat (<qatīl + at)
	qatīl	qitāl
(gulām : ḡilmat,		kabīr : kibār).
qatīl	(/qitlān)	qutlān
qutāl	(/qutlān):	qitlān
(baʿīd : buʿdān,	ḡurāb :	ḡirbān) ²

საპირისპირო მორფემათა ურთიერთობა შეიძლება გამოიხატოს ასეთი ფორმულით:

A კონკრ., კერძ., მხ. : B აბსტრ., კრებ., მრ.
 B " " " A " "

A-ს და B-ს გრამატიკული ფუნქციები იდენტური ჩანს.

¹ GVG I, §§ 116 ff.

² Derenbourg, pp. 462—4.

შინაგანი სქესისა და რიცხვის ოპოზიციებში უმთავრესად გარკვეული ტიპებია დაჯგუფებული; ერთსა და იმავე ტიპს ზოგჯერ პოლარული ფუნქციები აქვს. ცხადია, ისინი არ ჩაითვლებიან ამ კატეგორიათა სპეციალურ ფორმებად. უფრო მეტიც, კონკრეტული და აბსტრაქტული სახელის, კერძობითისა და კრებითის ფორმებისაგან ვერ მივიღებდით ისეთ ტიპებს, რომელთაც დამოუკიდებელი გრამატიკული შინაარსი არ აქვთ. და ამა თუ იმ მორფოლოგიურ ფუნქციას იძენენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

ისიც ვასათვალისწინებელია, რომ ორი მორფემის დაპირისპირება შეუძლებელია, თუ მათ შორის არ არსებობს რაიმე კავშირი. სუფიქსაციისას დაპირისპირებულია ნულ მორფემა და სუფიქსი, ხოლო ფორმებს აკავშირებს საერთო ფუძე (— 0 : — სუფიქსი). ისმის კითხვა: რას ემყარება შინაგანი სქესისა და რიცხვის ტიპთა ურთიერთობა?

შინაგანი ფლექსიის დროს აფიქსთა როლს ასრულებს ფუძისეული ხმოვნები (სშირად ამასთანავე ფუძის მაწარმოებელი ელემენტებიც): მაგ. Ia IIi:li IIā, Ii IIo-at (qatīl: qitāl, qitlat).

დამოუკიდებელი ფუნქციის უქონლობა შინაგან დაპირისპირებათა წევრების არსებითი ნიშანია (ერთი წევრის მნიშვნელობა მეორეზეა დამოკიდებული); მაშასადამე, ფუძისეული ხმოვნებისა ან ელემენტების გამოყენება სქესისა და რიცხვის გამოსახატავად მეორეულია. ამას გარდა, ამ კატეგორიათა წარმოებისას სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა საერთოდ უცვლელია, ამდენად შინაგანი მამრობით-მდედრობითის, მხოლოობით-მრავლობითის ფორმები შეიძლებოდა მიგველო მსოლოდ ისეთი ტიპებისაგან, რომლებიც დასაწყისში მორფოლოგიურად ინდიფერენტული იყვნენ და ძირითადი მნიშვნელობა საერთო ჰქონდათ.

§ 82. სემიტურ ენებში, უმთავრესად კლასიკურ არაბულში, სახელთა გარკვეული ტიპები, რომლებიც გარეგნულად არ განსხვავდებიან შინაგან დაპირისპირებათა წევრებისაგან, პარალელებს წარმოადგენს¹:

შინაგანი ფლექსია

მ. qatīl : მდ. qatāl

(ḥaṣīn : ḥaṣān)

მხ. qatīl : მრ. qitāl

(kabīr : kibār)

ტიპთა პარალელიზმი

qatīl/qatāl—ṣaḥīḥ-ṣaḥāḥ ‘ძუნწი’;

qitāl/qatāl/qatīl/qitāl — (ṣaḥīḥ-ṣaḥāḥ), ḥabīb-ḥubāb ‘საყვარელი’, difāq-dufāq, ṣaḡāḥ-ṣuḡāḥ

¹ Лом. III. стр. 3, с.1.

ტიპთა პარალელიზმი
'მამაცი', 'ყაṛ-ყაṛ-ყაṛ' 'ნაკ-
ლი, დეფექტი'¹.

qutul : qutul
(dabn^c : dūbn^c)

qatn/qutul — ṣaduf - ṣaduf
'დაქანებული ნაწილი მთისა'².

qatāl : qatalat
(ეთ. sūrāqī : sūraqt)

qatāl/„კომპ.“ qatalat — iṣfā-
jafa^cat 'მოწიფული ყმაწვილი'³.

qatīl : qitlat
(ṣabīj : ṣibījat)

qatīl/„კომპ.“ qitlat — ḥarīm-
ḥirmat 'აკრალვა'⁴.

II ā, ī ფუძეებს ენაცვლება
II a, i + -at — qatāl, qatalat, qu-
tāl-qutalat, qatīl-qatīlat. Barth-
-at სუფიქსიან ვარიანტებს კომ-
პენსატივებად თვლის (სუფიქსი
ეწევა ხმოვნის სივრდის მაგიერო-
ბას). Bruckelmann-ს, პირიქით,
ეს ფუძეები მიიჩნია ამოსავლად
(„რადაც მიზეზების გამო დაიკარ-
გა -at და მის მაგიერად გაგრ-
ძელდა ფუძისეული ხმოვანი“)⁵.

qutāl : qutalā^ḥ
(ṣuḡā^c : ṣuḡā^cā^ḥ)

qutāl/qutalā^ḥ — ruḥāq-ruḥāqā^ḥ
'ოფლი' (წარმოშობით ნაზმნარი
ზედსართავი)⁶.

qutl : qutūl
(ḡuṣn : ḡuṣūn)

qutl/qutūl nuzl-nuzūl 'ი-
მობლობა, დაბანაკება'⁷.

qattal : quttal (?)
qattāl : quttāl (?)

qutal-qutāl ტიპთა გვერდით
დასტურდება qatal-qatāl და qat-
tāl; qatal-qatāl, qutal-qutāl
წყვილების ნათესაობა ცნობი-

¹ NB, §§ 27—3, SS. 60—61. §§ 88, 125—6, 125—9; GVG I, § 131 b; Petráček, op. cit., SS. 386—7.

² NB, § 110.

³ „ SS. 86—8: Fleisch, Esquisse, p. 73.

⁴ NB, § 62 a.

⁵ „ SS. XIII—XIV, 86—8; GVG I, §§ 42 o, 132 a. b.

⁶ NB, § 244 b.

⁷ § 75.

ლია. ლოგიკური იქნებოდა დაგვე-
კავშირებინა მათთან *quntal* და
quttāl ტიპებიც, რის შედეგადაც
მივიღებდით მონათესავე ფუძეებს,
რომელთაც პირველ მარცვალში,
ერთი მხრივ, აქვთ *a* ხმოვანი, ხო-
ლო, მეორე მხრივ, *u*: *qatal/qatāl*,
qattal/qattāl, *qutal/qutāl*, *quttal/*
quttāl.

quttal, *quttāl* ტიპების მეორე თანხმოვნის გემინაცია ჩვეულებ-
რივ რიცხვის ნიშნად ითვლება. *Meinhof*-ის მიხედვით, მსგავსი შე-
მთხვევები ადრე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო; რიცხვის ში-
ნაგან ფორმათა დიდი რაოდენობა გაორკეცებული მრავლობითი-
დან მომდინარეობს¹. უნდა ითქვას, რომ *quttal* და *quttāl* ორსავე
რიცხვს გამოხატავს—მხ. *ḥullab* 'მოჩვენებითი, მაცდუნებელი', *knb-*
bār 'დიდი'; მრ. *uuzzal* 'დაბანაკებულნი' (მხ. *nāzil*), *ḥukkām* 'მსა-
ჯულნი' (მხ. *ḥākim*)². ამრიგად, აქ გემინაცია აწარმოებს სახელის
ტიპებს და არა რიცხვს.

Meinhof-ის ვარაუდი, შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში გა-
მართლდეს, მაგრამ საერთოდ იგი არ ჩანს სავსებით პერსპექ-
ტიული.

§ 83. პარალელებს წარმოადგენს მრავლობითის რომელსამე
ტიპთან დაჯგუფებულ მხოლოობითთა უმეტესობა:

მხ. რ. (მრ. რ.)

პარალელები

qatī: (*qutal*, *qitāl*)
qatal
qatil
qatn

qatīl

qatī/qatal, — *ṭard-ṭarad* 'გა-
ძეგება, დევნა'³;

qatīl/qatn — *fariḥ-faruḥ* 'მხია-
რული'⁴.

qatīl/qatīl — *faṣīl-faṣīl* 'სუსტი,
მხდალი'⁵.

¹ Flekt. Spr., SS. 52, 81.

² NB, §§ 14, 134 a.

³ " § 19.

⁴ " § 6 a.

⁵ " 28 b; Fleisch, Esquisse, p. 44.

qatāl : (qutul)

qitāl
qutāl
qatāl
qatīl
qatul

qitl : (qitāl)

qatīl
qatīl

qatāl : (qutl, qutalā?)

qatāl
qutāl

იგივე შეინიშნება მხოლოდითის ერთ რომელსავე ფორმასთან დაპირისპირებულ მრავლობითებშიც:

მ რ. რ. (მ მ. რ.)

qitāl (qatl, qitl, qutl,
qitalat qatal, qatīl)

quttal : qātīl
quttāl

qitlat (qatīl, qatal, qatāl,
qitlān qutāl, qatīl)

qitlān (qatl, qitl, qatal,
qutlān qitāl, qatīl, qutāl)

qutul-^აqatul

qitāl-^აqatāl

qitlat-^აqatīlat

qutalā-^აqatīlā^ა

qatāl/qitāl/qutāl ('iyār-‘ayār-‘ayār), qatul/qatūl — faruq-farūq 'მზიზარა', qatīl/qatīl — ḍarīb-ḍarīb 'მცემელი' ¹.

qitl/qatīl — šifr-šafir 'ცარიელი' ², qatīl/qatīl (fašīl-fašīl)

qatīl/qatāl/qutāl (šahīh-šahīh, šagħā^c - šuḡā^c)

პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი

II ā/II a-at (იხ. ზემოთ)

quttal/quttāl (იხ. ზემოთ)

qitlat/qitlān — kitmat - kitmān 'დაფარვა, დამალვა' ³.

qitlān/qutlān -- ḥisban-ḥusban 'აღრიცხვა, ანგარიში' ⁴.

(იხ. გვ. 88—90)

§ 84. შინაგანი სქესისა და რიცხვის ფორმები წარმოშობით უკავშირდება სახელთა იმ ტიპებს, რომელთაც მიუხედავად ფუძისეულ ხმოვანთა სხვაობისა მნიშვნელობა საერთო აქვთ (არც აბსტრაქტულ სახელებს წარმოადგენენ და არც კონკრეტულს). რად-

¹ NB, § 122 a.

² „ § 21.

³ „ §§ 198, 202.

⁴ „ § 202 a.

განაც ეს ნიშნები ახასიათებს ინტენსივსა და მოქმედის სახელს, სხენებულ ფორმათა საწყისები მათთან უნდა ვეძიოთ. არსებით სახელებში მსხვრეული მრავლობითი მეორეული ჩანს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმ სუბსტანტივებს, რომლებიც წარმოშობით ინტენსივები ან მოქმედის სახელებია (როგორც, მაგალითად, მრავალი იარაღის, ცხოველთა და სხვ. სახელწოდებანი).

განხილული ფაქტების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სქესისა და რიცხვის შინაგანი ფლექსიის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხის დაზუსტება. ვეხებით რა ფორმათა ძირითად ჯგუფებს, უმთავრესად კლასიკური არაბულის მონაცემებს მივმართავთ.

§ 85. *qatīl/qatāl/qitāl* პარალელები საფუძველად უძველეს შინაგან ფორმებს—ა) მ. სქ. *qatīl*:მდ. *qatāl* (ჩრდ. ეთიოპურში შუა ძირეულის გემინაციათ *qāt(t)īl*:*qāttāl*)¹; ბ) მხ. *qatīl*:მრ. *qitāl*: გ) მრ. *qitāl*: მხ. *qatīl*. უკანასკნელი ოპოზიცია იშვიათად გვხვდება. *qatīl* არ უკავშირდება გარკვეულ მხოლოობითებს. იგი გავრცელებულია ცხოველთა კრებითებში—*baḡīr* 'ნახირი', *da'īm* 'ცხვრის ფარა'. *ma'iz* 'თხები' და სხვ.² საფიქრებელია, *qatīl* დასაწყისში მხოლოდ იმ ცხოველთა რიცხვს ვამოხატავდა. რომელთა სახელებიც იწარმოებოდა მისი პარალელების საშუალებით (*qutāl*, *qitāl*, *qatāl*).

სათანადო ოპოზიციების წვერთა კავშირის დარღვევა იმით უნდა იყოს შეპირობებული, რომ *qatīl* კრებითის ფუნქციით განზოგადდა და გავრცელდა ამ სემანტიკურ ჯგუფში შემავალ სხვა სტრუქტურის სახელებზედაც (იხ. ქვემოთ).

qat(t)āl მდებარებითი ზოგჯერ აღნიშნავს ქალისთვის სპეციალურ თვისებებს და საპირისპირო *qatīl*-ის გარეშე გვხვდება: მაგ., არაბ. *ka'āl* 'მკერდსავე ქალიშვილი' და სხვ. ამ ფორმაზეა დაფუძნებული ქალის საძაგებელი სიტყვები: *ḥabā'ī* ('უკეთურო!'), *lakā'ī* ('საძაგელო!'); ტნა, ამჟ. *mākaw* 'უნაყოფო ქალი'; საერთოსემიტური *ḡaw* ('დედალი ვირი')³.

საკითხის ისტორია შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: ინდიფერენტული *qatīl* და *qat(t)āl* დაუპირისპირდა ურთიერთს როგორც მამრობითი მდებარებითს. შემდგომში ზოგ ენაში (მაგ., არაბულში) *qatīl*:*qatāl* შინაგანი ფლექსია შეიცვალა სუფიქსაციით (*qatīl*:*qatīlat*, *qatāl*:*qatālat*); ამრიგად, მდებარებითის რიგში აღმოჩნდა სუფიქსიანი ფორმები. რადგანაც ის ზედსართავები, რომ-

¹ გვეხში გემინაცია მეორეული უნდა იყოს: შდრ. GVG I, 131 b.

² NB, S. 446.

³ „ § 129 f; GVG I, § 131. b; Leslau, tna, § 38; Petráček, AO r 23, SS. 590 ff; 30, SS. 365 ff.

ლებიც მხოლოდ ქალისათვის დამახასიათებელ ნიშნებს გადმოსცემენ, დაპირისპირების გარეშე არიან, მათ დაუკავთ უძველესი ფორმა (qatāl მდ. სქესი: შდრ. hāmīl 'ფესბიმე' და მისთ.)¹. ისეთი სიტყვების მიხედვით, როგორცაა ʾu, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მ. qatīl: მდ. qatāl სამხრეთსემიტურს გარდა სხვა მონათესავე ენებშიც გვექონდა.

§ 86. ზემოხსენებულ ტიპთა „კომპენსაციებს“ qatalat (qatāl), qitalat (qitāl), qitlat (qatīl), qutalāʾ (qutāl) უკავშირდება: ა) გზ მხ. qātālī: მრ. qāt(t)ālt; ბ) ჩრდ. არაბ. მხ. qatīl, qatāl, qitāl: მრ. qitlat; გ) მხ. qutāl, qitāl, qatāl: მრ. qutalāʾ.

§ 87. -ā, -āʾ და -āu ელემენტისანი ფუძეების ნათესაობის საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ პარალელები: qatīlāu/qatīlā/qatīlāʾ, qutīlāu/qutīlā; ესენი გამოიყენება სქესის და რიცხვის აღსანიშნავად (მ., მხ. qatīlāu: მდ., მრ. qatīlā; იშვ. მდ. qatīlāʾ). ფუნქციათა იდენტურობა, აგრეთვე მდებრობითისა და მამრობითის ერთნაირი ფორმები, ამ ტიპებთან აკავშირებს ელტივ-ინტენსივს, ʾaqtal-ს — მ. ʾaqtal: მდ. qutīlā, qatīlāʾ. მოცემული სახელების საპირისპირო ფორმებზე დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება, რომ ჩვენ წინაშეა ორი მონათესავე ჯგუფი:

- ა) qatīlān, qatīlā, qatīlāʾ, ʾaqtal (ინტენსივი);
- ბ) qutīlān, qutīlā, ʾaqtal (ალმატებითი ხარისხი).

qutīlān ტიპი მდებრობითს აფიქსაციით აწარმოებს (qutīlān: qutīlānat). სავარაუდოა, რომ ადრე ამ ფუნქციით გამოყენებული იყო qutīlā, რომელიც შემოგვრჩენია მეორე პარალელთან (მ. ʾaqtal: მდ. qutīlā). -ā ელემენტით ნაწარმოები ტიპები ორსავე რიცხვს აღნიშნავს — მხოლოდობითი (მდ.) qatīlā, qutīlā, მრავლობითი qatīlā.

ჩრდილოარაბული ʾaqtal: qatīlāʾ, qutīlā: qatīlān: qatīlā (რომლის კვალიც არამეულსა და მეპრიშიც ვვაქვს) პარალელ ფუძეთა დაპირისპირებაა და, მაშასადამე, შინაგანი ფლექსიის ერთ-ერთი სახეობა.

f'leisch-ი qitlān ფორმაში აღნიშნავს ხმოვანთა დისიმილაციას (ā-ს მეზობლობაში a > i); მაგ., ʾiḥyāu 'მეგობრები' < ʾaḥyān². qitlān უფრო მკიდრო კავშირს იჩენს საპირისპირო მხოლოდობითებთან, ვიდრე qatīlān. რაც მთავარია, qatīlān მრავლობითი არ გვხვდება³. ამის გამო, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი საეჭვო გვეგონია.

¹ იხ. გვ. 69, ზნ. 3.

² Esquisse. p. 19.

³ შდრ. Derenbourg, p. 463.

Derebnorg-ი, ხაზს უსვამს რა qitlān, qutlān მრავლობითის ტიპ-
თა დაბოლოების ნათესაობას ეთიოპურში რიცხვის -ān სუფიქსთან
(აგრეთვე არაბულსა და სირიულში აბსტრაქტული სახელებისა და
ზედსართავების მაწარმოებელთან), აღნიშნულ ფორმებს სუფიქ-
სალურ მრავლობითთან აკავშირებს.

Troupeau სამართლიანად შენიშნავს, რომ არაბულში -ān მრავ-
ლობითის სუფიქსი არ დასტურდება. ამასთანავე ეთიოპურში შინა-
განი ფორმების გვერდით გარეგანიც გვხვდება, ოღონდ მათი და-
კავშირება რაიმე გარდამავალი სქემის საშუალებით არ სერსდებაო¹.
Cohen-ს შესაძლებლად მიაჩნია, რომ -ān აბსტრაქტული სახელე-
ბის სუფიქსი და -ān მრავლობითის ნიშანი სხვადასხვა წარმოშობის
იყოს². ამასთან დაკავშირებით შემდეგი უნდა ითქვას: მართალია,
-ān საკმაოდ ხშირად გვხვდება აბსტრაქტულ სახელებში, მაგრამ
ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამ ფორმის მაწარმოე-
ბელია. ასეთ ფუნქციას ასრულებს სახელის ტიპი, რომელიც შეიძ-
ლება -ān ელემენტით იყოს გავრცობილი (იხ. ქვემოთ). ზუსტად
ასეთსავე მდგომარეობაშია შინაგანი მრავლობითის qitlān და qut-
lān ფორმები. ძნელია იმის უარყოფა, რომ აქ გვაქვს წარმოშო-
ბით ერთი და იმავე ელემენტით ნაწარმოები ფუძეები, რომელნიც
სხვადასხვა კატეგორიების გამოსახატავადაა გამოყენებული. სრუ-
ლიად სხვა მორფოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს ეთიოპურში
მრავლობითის სუფიქსი -ān (თუმცა, შესაძლებელია, იგი გენეტურ
კავშირში იყოს ზემოხსენებულ ელემენტთან),

§ 88. qutul/qutlān მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებუ-
ლი. qutul არ იცვლება სქესის მიხედვით; ინდიფერენტული უნდა
ყოფილიყო აგრეთვე qutlān ინტენსივიც. მრავლობითის ფუნქციით
ეს ტიპები ხშირად მონაცვლეობენ. გარდა ამისა, qutul სქემას ზოგ-
ჯერ qutl ენაცვლება, კერძოდ „სუსტ“ ფუძეებში (II უ); მაგ., მრ.
“uyū>“ūn; ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ qutl, რომელიც
qutlān-თან ერთად აღნიშნავს ობიექტის ინტენსივის მრავლობითს³,
მომდინარეობს qutul ტიპისაგან (ობიექტის: მრ. qutlān, qutl<qutul).
ჩვენის აზრით, ცვლილება qutul>qutl ხსენებულ სუსტ ფუძეებში
(II უ) უნდა მომხდარიყო.

§ 89. ო- პრეფიქსიანი ტიპები—ჩრდ. არაბ. ოaqtul, ოaqtāl, ოaqtī-
lat, ოaqtīlā, სამხრ. არაბ. ოqtl, ოqtlt, ოqtly და გეეზის ოaqtāl, ოaqtālt,

¹ GLECS VII, pp. 65—6.

² „ „ p. 66.

³ NB, SS. 456, 459—61.

აღტს, ააღტლ და ააღტლტ შინაგან ფორმათა მეტი წილისაგან განსხვავებით მხოლოდ მრავლობითს აღნიშნავს. Bartls-ის აზრით, აქ აა- მეორეული პრეფიქსია, რომელიც ისტორიულ პერიოდში, განარჩევს რა მრავლობითს აბსტრაქტულისაგან, რიცხვის წარმოების სპეციფიკური საშუალებაა. ავტორი ფიქრობს, რომ აა- ენათესავება არსებით სახელთა ერთ ჯგუფში დამოწმებულ მსგავს მორფემას¹.

Fleisch-ი იმ მოტივით, რომ კლ. არაბულში ააღტს, ააღტლ, ააღტლტ სიმციროს მრავლობითთა, ამტკიცებს, რომ აა- დიმინუტივს, ე. ი. მცირე რაოდენობას გამოხატავს. იგი აღადგენს აღრინდელ ვარიანტებს: *ა+qutul>ააღტს, *ა+qitāl>ააღტლ, *ა+qitil>*ააღტლ>ააღტლტ².

Kurylowicz ს პრეფიქსიანი მრავლობითები მიაჩნია ხმარებიდან გამოსული აბსტრაქტების ერთ-ერთ კლასად³.

აღნიშნულ ფორმებს და მათ უპრეფიქსო ვარიანტებს ჩვეულებრივ ერთნაირი მხოლოდობითები აქვს, რაც მათ გენეტურ კავშირს გვაფიქრებინებს:

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი
qutul } ააღტს }	qatl, qatāl, qitāl, qutāl
qitāl } ააღტლ }	qatl, qitl, qutl, qatal qatil, qatul, qatil, qātīl
·qitlat ააღტლტ (<*ააღტლტ და არა *ააღტლ, როგორც Fleisch-ი ფიქრობს)	} qatl, qatal, qatīl qatāl, qutāl
qutalā? ააღტლā (<*ააღტლā?)	

კლასიკურ არაბულში ფიქსირებულია ერთი და იმავე ფუძის პრეფიქსიანი (აა-, აი-, აა-) და მარტივი ვარიანტების მაგალითები — dībārat/ʾadbārat, ʾidbārat ‘შეკრა ქალაღის, წიგნების’, ააḡḡubāt/ʾaḡībāt (*aḡḡubāt) ‘საოცრება’, ḥadūr/ʾuḥdūr ‘ცოცაბო’⁴ და სხვ.

¹ NB, § 264 d.

² Esquisse, pp. 33, 65; შდრ. Singer, S. 168.

³ L'apophonie, § 276.

⁴ NB, §§ 83, 148, 153.

ანალოგიური ხასიათის ჩანს qitāl-²aqṭāl და სხვა მრავლობითების მონაცვლეობაც¹.

qutul, qitāl, qitlat და qutalā² ინტენსივის ტიპებს უნდა ჰქონოდა პარალელები ²aqṭul, ²aqṭal, ²aqṭilat, ²aqṭilā³. როგორც ჩანს, მათი განაწილება რამდენადმე დამოკიდებული იყო ფუძისეულ თანხმოვანთა ხასიათზე (მრ. qitāl გვხვდება qatīl ტიპის „სწორ“ ფუძეებთან, ხოლო პრეფიქსიანი მრავლობითები—სუსტ და გემინირებულ ფუძიან ტიპებთან; ²aqṭāl I უ და II უ, j; ²aqṭilat—გემინირებული ან III უ, j; ²aqṭilā³—II, III უ, j).

შინაგანი რიცხვის ჩამოყალიბებისას ა- პრეფიქსიან ფორმებს მიუღია მრავლობითის მნიშვნელობა (შესატყვისი ტიპები კი ორსავე რიცხვს აღნიშნავს). ნაწილობრივი დიფერენციაცია ამ ორი ვარიანტის ფუნქციებს შორის, ალბათ, განვითარების შედეგია.

მრ. qutul იზვიათია qatīl ტიპთან, ²aqṭul კი საკმაოდ გავრცელებულია. qatul მხოლოდობითან გვხვდება მრ. qutul და არა ²aqṭul; qatīlუ ინტენსივთან არაა დადასტურებული ²aqṭāl მრავლობითი, მაშინ, როდესაც მას ხშირად უპირისპირდება მრ. qitāl და ა. შ.

გეგზში qatul, qatāl თითქმის მთლიანადაა გამოდევნილი ²aqṭāl, ²aqṭul პარალელთა მიერ.

§ 90. qitlat: qital: qutlat: qutal; (qatlat: qatal)—ამ წესით რიცხვი გამოიხატება მხოლოდ არსებით სახელებში. Greenberg-ი ასეთ ფორმებს a-მრავლობითს განაკუთვნებს (იხ. ზემოთ). Barth-ი qital და qutal ტიპებში მეორე ხმოვნის არსებობას ხსნის სწორი მრავლობითის (qitalāt, qutalāt) გავლენით². Kuryłowicz-ს II a ტიპები, qital-qutal, შიაჩნია კრებითებად, ხოლო qitlat-qutlat სათანადო კერძობითის ფორმებად³.

ვიზიარებთ რა ასეთ ახსნას, აღვნიშნავთ შემდეგს: qitlat და qital, qutlat და qutal (აგრეთვე qatlat-qatal) ტიპთა მჭიდრო კავშირი საფუძველს გვაძლევს დავუშვათ პარალელთა („კომპენსატივთა“) არსებობა ისეთ ფუძეებთანაც, რომელთაც მეორე მარცვალში მოკლე ხმოვანი აქვთ:

qital	} qitlat	qutal	} qutlat	qatal	qatlat
qitil		qutul		qatil	qitlat, qatlat
				qatul	qutlat, qatlat

(II a, i, u/II 0 + at; შდრ. ზემოთ II ā, ī/II a, i, + at)

¹ შდრ. NB. § 261 d.

² იქვე, SS. 434—6.

³ იხ. გვ. 73.

რიცხვის ოპოზიციებში „კომპენსაციებთან“ ყველა „პირველადი“ ფორმა კი არ გვაქვს, არამედ შედარებით უფრო გავრცელებული, II a სმოენიანი (a- plural – Greenberg). როდესაც დაპირისპირებები qitlat:qital, qutlat:qutal განიმარტება როგორც ადრინდელი კერძობითი-კრებითი, უნდა გვახსოვდეს, რომ მოცემული კატეგორია აქ გარკვეული აგებულების ფუძეთა დაპირისპირებით ანუ შინაგანი ფლექსიით იყო გამოხატული (შინაგანი მხოლოობითი-მრავლობითი < შინაგანი კერძობითი-კრებითი) ¹.

qatlat:qatal მეტად იშვიათია. „სუსტ“ ფუძეებთან მრავლობითის როლში qital და qutal გამოდის hāyat:hīyam, daylat:duyal, qarjat:qurā (შდრ. badrat:bidar) ², ხოლო სწორი ფუძე სხვა საშუალებებს მიმართავს.

Greenberg-ი ფიქრობს, რომ duyal მიღებულია diyal ფორმისაგან ასიმილაციის შედეგად. მაგრამ რადგანაც qatlat მხოლოობითთან qital საერთოდ იშვიათია, და ისიც უმთავრესად II i ფუძეებთან (hāyat:hīyam). უფრო სწორი იქნებოდა, თუ duyal ფორმის ადრინდელ ვარიანტად dayal-ს ჩავთვლიდით ³.

გეესში qatāl (<qital) მრავლობითს ერთმარცვლიანი მარტივი ფორმა შეესატყვისება (ʔay:ʔāy). შესაძლებელია, ასეთ ტიპსაც ჰქონდა ორმარცვლიანი პარალელები, რომელთაგანაც II a-ს დაეკისრა მრავლობითის წარმოება (შდრ. კლ. არაბ., qatl:qatal, qutl/qutul...). Greenberg-ი ვარაუდს გამოთქვამს არაბულში სუფიქსიანი ფორმების (qitlat, qutlat, qatlat) სიახლის შესახებ და qital, qutal, qatal-ს აკავშირებს ეთიოპიურ qatāl-თან და ებრ.-არამ. სელოლატ სახელთა სუფიქსიანი მრავლობითის ფუძესთან ⁴.

§ 91. qatālil/qatālil—Bartl-ი მათ აკავშირებს ზედსართავის qatālil ტიპთან: „I u, II ā ახასიათებდა ზედსართავს, ხოლო I a. II ā—კრებითს. ეს უკანასკნელი ანალოგიის საფუძველზე მრავალთანხმოვნიან სახელთა რიცხვის ფორმად ჩამოყალიბდა“. Prätorius-ი ამ ფორმას თვლის qatāl მრავლობითის სახეცვლილებად—qatālā-საგან ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მივიღეთ qatālī, რომელიც ჯერ III u, i სახელთა მრავლობითის აღნიშნავდა (ḡarijat:ḡayārī), შემდეგ გადატანილ იქნა სხვა ოთხთანხმოვნიან ფუძეებზე (manzilat:manāzil) ⁵.

¹ შდრ. Јом. му. прил. 33.

² NB, S. 434.

³ Greenberg, p. 200, rem. 6: შდრ. NB, S. 436.

⁴ Greenberg, p. 195; შდრ. NB, SS. 434–6.

⁵ NB, S. 480; Prätorius, ZDMG 56, SS. 694–6; GVG I, § 237.

qatālā, qatāli ტიპებისათვის საერთოა -ā და -ā² „სუფიქსიანი“ მხოლოებითები (qatlā, qatlā², qitlā). ამ მრავლობითების კავშირი აიხსნება qatāli ფორმის საშუალებით. qatlā, qatlā², qitlā ტიპთა მრავლობითი იწარმოება a—ā—i სქემის მიხედვით, ერთი მხრივ, -ā დაბოლოება მეოთხე თანხმოვნის მაგიერობას ასრულებს და ამრიგად, ვიღებთ qatālā-ს, მეორე მხრივ, მრავლობითს ბოლოში უჩნდება გრძელი i, რაც მხოლოებითის გრძელ ხმოვანს შეესატყვისება (qatlāl, qitlāl qutlāl...:qatāli) ¹. სავსებით გასაგებია, რომ qatālā გვხვდება III ა, i ფუძეებთან (qatīlat, qatālat, qitālat, qutālat, qātilat); აქ -ā უ-სა და i-ს „კომპენსატივია“. qatīl, qatīl და qatīli მხოლოებითთან qatālā უნდა წარმოადგენდეს მრავლობითის მრავლობითს:

qatīl

qatīl მრ. qatlā : მრ. მრ. qatālā ²

qatlān

მრავლობითის მრავლობითი არც თუ იშვიათია; მაგ., makān : ²am-ākiu (<მრ. მრ.) : მრ. amkiuat, qayl : ²aqāyil (<მრ. მრ.) : მრ. ²aqāyil.

Юшманов-ის აზრით, qatāli წარმოადგენს მრავლობითის qatlā ფორმას, შეხამებულს ოთხთანხმოვიან სახელებთან. მესამე მარცვალში i უდრის კინიობითში დამოწმებულ ასეთსავე ხმოვანსო (x^ha l-i-b) ³. მოსაზრება qatāli მრავლობითისა და qatāli კინიობითის ნათესაობის შესახებ არაა მოკლებული საფუძველს, ოღონდ საექვოა, რომ qatāli უფრო გვიან განვითარებულყო, ვიდრე qatlā (შდრ. ზემოთ Matouš-ი, Petráček-ი). Kuryłowicz-ი qatāli ტიპსა და სათანადო მხოლოებითს შორის ვარაუდობს კავშირს ნაწმნარი სახელების ან ნასახელარი ზმნის ფუძე-სიტყვასა და აბსტრაქტულ ფორმას (კრებითს) შორის ⁴.

Petráček-ი, ეკამათება რა Bartl-ს, რომელიც ოთხთანხმოვიან მრავლობითს სათანადო მხოლოებითისაგან დამოუკიდებელ ფორმად განიხილავს, გეთავაზობს ასეთ შესაძლებლობას: ეს სისტემა. როგორც მხოლოებითითა შეპირობებულნი, განვითარდა სემიტურ-ქამიტური გაორკეცებული მრავლობითისაგან. ოთხთანხმოვიანი (აგრეთვე ზოგიერთი სამთანხმოვიანი) მრავლობითის სიძველის ნიშნად იგი სახავს „ორბრუნვიანობას“ ⁵.

¹ შდრ. NB, SS. 476, 482.

² შდრ. Fleischer. SS. 289 ff.

³ Зара, (ка, стр. 158.

⁴ L'apophonie, § 277.

⁵ AOr 30, SS. 379—80, 385—8.

რამდენადაც შინაგანი ფორმები მოქმედის სახელისა და ინტენსივისთვისაა დამახასიათებელი, ბუნებრივია, აღნიშნული სისტემის გენეზისის შესახებ მსჯელობისას პირველ რიგში ასეთ სახელებს მივმართოთ.

არაბულში *qatā'il* (*qantalil*) მოქმედის სახელსა და ზედსართავს (ინტენსივს) აღნიშნავს (*ʿadāfir*, *duḥāmiz/duḥamiz* 'ძლიერი')¹. იგი წარმოადგენს ოთხთანხმოვნიან სახელთა კნინობით-აუგმენტაციასაც (*budḥud*:*ḥudāhid*). სემიტურ ენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე მას რიცხვის (და სქესის) ფორმები არ უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია, რომ მას მოგვიანებით დაუპირისპირდა *qatā'il* პარალელი; *la-u* ხმოვანთა პარალელიზმი, რაც ფაროლდაა გავრცელებული სამთანხმოვნიან ფუძეებში, აქაც უნდა დავუშვათ. შემდეგში *qatā'il*:*qatā'il* დაპირისპირების პირველი წევრი უნდა შეცვლილიყო მონათესავე ფუნქციის ფორმებით (*qatā'il* > *qatqil*, *qatqul*, *qatqāl*, *qilqil* და სხვა ინტენსივებით, შდრ. კლ. არაბ. *šimlāl* და *riʿdīd*)², დასასრულ, ანალოგიური სტრუქტურის მქონე არსებითი სახელებით.

§ 92. შინაგანი სქესი სოკოტრიში: *qitlal*:*qitlil*; *qātlal*:*qātlal*, *qātlil*—ეს დაპირისპირებები მხოლოდ ინტენსივებში დასტურდება. რადგანაც ინტენსივებთან კანონზომიერია შინაგანი სქესი (<საერთო სქესი), სხვა ენათა გავლენა გამორიცხული თუ არა, მეორეხარისხოვანია. აქაც ვვარაუდობთ *a-i*, *a-e*, *e-i*/ ხმოვნიან პარალელებს (*qātlal*/*qātlil*). რომლებიც ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ სქესის გარჩევის მიზნით (შდრ. სამხრ. არაბ. მხ. *qatīl*:მრ. *qatīlī*).

§ 93. ჩვენ განვიხილეთ ისეთი დაპირისპირებები, რომლებიც წარმოშობით პარალელებს წარმოადგენენ. გაცილებით უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მხოლოდობითი და მრავლობითი პარალელებს კი არ უკავშირდება, არამედ მსგავსი ფუნქციის მქონე ტიპებს (ინტენსივი, მოქმედის სახელი, მიმღებობა); გარდა ამისა, ზოგჯერ ამ ფორმებს აკავშირებს ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის პარალელი:

მხ. *qatīl* მრ. *qitāl* >
qatīl
qitl(at)

¹ NB, §§ 139—40.

² Fleisch, Esquisse, p. 61.

(მბ. qatil : მრ. qitāl >)	qatil : qitlān >
qatl(at)	qatūl
qntl(at)	qatāl
qatul	qitāl
*qatāl : quttāl >	qutal
qātīl :	qitl
qatīl : qitlat >	qutl
qatal	qatl
qutāl	qatal
*qatāl : qatlat >	*qutāl : qutalā' >
qatīl	qatal
qātīl	qatīl
qatlān : qatlā >	qātīl
qatil	
qatīl	

§ 94. qutul/qutūl—qutl-ის მხოლოდობითში გარდა საკუთარი პარალელებისა უპირისპირდება მეორე ფორმასთან დაკავშირებული ტიპები, და პირიქით. qutūl-თან ძირითადად qutul-ის პარალელები გვხვდება

მრ. qutul : მბ.. qatl, qatal, qatil, qatul, qatāl, qitāl, qutāl, qatīl, qatūl.

მრ. qutūl : მბ. qatl(at), qitl(at), qntl(at), qatal(at), qatil

ამრიგად, qutul მრავლობითია იმ შემთხვევაში. როდესაც qutūl-ის პარალელები მხოლოდობითს წარმოადგენს: qutūl მაშინ აღნიშნავს მრავლობითს, როდესაც მას უპირისპირდება qutul ტიპის მონათესავე ფუძეები. ვფიქრობთ. ეს ფაქტი შემდგენაირად აიხსნება: qutul-qutūl (ინტენსივი, მოქმედის სახელი) აღრე ინდიფერენტული სახელები იყო. რიცხვია კატეგორიის განვითარებისას ფორმათა ამ ორი რიგის ფუნქციები მონაცვლეობდა—მბ./მრ. qutul, qatal, qatl qatil, qatul : მრ./მბ. qutūl, qatāl, qitāl, qatīl, qatūl. შემდეგში მრავლობითის ფუნქციით მხოლოდ qutul და qutūl ტიპები შემოავრჩა (მრ. qutul : მბ. qatāl, qitāl, qatīl, qatūl; მრ. qutūl : მბ. qatl, qatal, qatil). ამავე დროს qutul საკუთარ პარალელებსაც უპირისპირდება.

§ 95. ფორმათა გადანაცვლება განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც საქმე ეხება qātīl მიმლეობას. ყოველი მორფემა, რო-

¹ ზღრ. ზემოთ. გვ. 82—3.

მელიც ამ სახელის მრავლობითადაა გამოყენებული, მოკმედის სხვა სახელთა აარაღელია; ასე მაგალითად, qatalat/qatāl; qit-talā/qitāl; quttāl/qattāl; qutl (<qutl?)/qutl; qatlā/qatlān, qat-til; qitāl/qatāl, qitāl და ა. შ. ამის გამო, Kurylowicz-ისაგან განსხვავებით მეორეულად ვთვლით იმ ოპოზიციებს, რომლებშიც მონაწილეობს qātīl:

qatalat/qatāl (/qātīl) > qatalat : qātīl
 qutalā/qutāl „ > qutālā :
 quttāl/qattāl > quttāl და სხვ.

მეორეული ოპოზიციების განვითარებაში ერთგვარ როლს ასრულებს პოლარიტეტი; ასე მაგალითად, quttāl უპირისპირდება არა უშუალო პარალელს qattāl-ს, არამედ qātīl-ს, რომელიც გარეგნულად უფრო მეტად განირჩევა მისგან.

§ 96. Barth-ი არაერთხელ აღნიშნავს მრავლობითის ფორმათა ვადანაცვლებას ცხოველთა სახელებში ანალოგიის ნიადაგზე¹.

Kurylowicz-ი ამ შემთხვევაში გამოყოფს ფორმათა ორ ფენას:

ა) უძველესი qutāl : *aqtilat, qitlān

ბ) მეორეული qatūl }
 qatal } *aqtilat, qitlān²
 qutal }
 qatāl }
 qatalān }

ამ სახელთა რიცხვის ძირითადი ტიპები უკავშირდება qatīl და qitāl ფუძეებს:

მხ. qatāl } : მრ. qitlān
 qatāl } *aqtilat
 qatūl } qitalat
 qitlat

qatīl qitāl

დანარჩენ შემთხვევათა განვითარება აიხსნება არა მარტო ანალოგიით (სემანტიკური ან სტრუქტურული ჯგუფი: მრავლობითის ერთნაირი მორფემები)³, არამედ მხოლოობითისა და მრავლობითისათვის საერთო პარალელების არსებობითაც (qitl, qatīl, qatal და სხვ. /qatīl, qatūl, qatāl, *aqtilat, qitlat და ა. შ.).

¹ NB, SS. 444—6, 448—50.

² L'apophonie, § 285.

³ შტრ. იქვე, § 284.

§ 97. სქესისა და რიცხვის შინაგანი ფლექსია, როგორც ითქვამს ინტენსივებსა და მოქმედის სახელებშია ჩასახული. ხსენებული ფლექსიის ჩამოყალიბების დასაწყის პერიოდში „ფორმებთან“ პოლარული ფუნქციები ივარაუდება. კლასიკურ არაბულში ფიქსირებულია ინტენსივისა და მოქმედის სახელის ფლექსიის განვითარების თითქმის ყველა ძირითადი ეტაპი:

1) ფორმაუცვლელობა (qatīl, qatīl და სხვ.).

2) შინაგანი ფლექსია—ა) ფუნქციათა მონაცვლეობა ერთსა და იმავე ტიპთან (A მხ./მრ.: B მრ./მხ.); ბ) კონკრეტული ფორმების ჩამოყალიბება (qatīl m. სქ., qatīl m., qatīl m.: qatīl m. qatīl m.; qatīl m. და ა. შ.). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ ფორმასთან ერთ-ერთ ფუნქციას ეძლევა უპირატესობა, თუმცა ამის მიზეზების დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. საერთო შთაბეჭდილება ასეთია: მარტივი და უფრო გავრცელებული ტიპები მამრობითს და მხოლოდობითს აღნიშნავს (მაგალითად: I a, qatīl), ხოლო „კომპენსატივები“ ანდა იშვიათი ფორმები—მდედრობითს და მრავლობითს (I u, qatīl, „კომპ.“ qatalat და სხვ.), შდრ. „კომპენსატივი“ და I u მხოლოდობითისათვის (qatīl. qatīl). qatīl, რომელიც უფრო გავრცელებულია, ვიდრე მისი საპირისპირო ტიპები (qatīl, qatīl, qatīl, qatīl), ისტორიულ პერიოდში ძირითადად მხოლოდობითია; გვხვდება მრავლობითის ან კრებითის შინაარსითაც (ცხოველთა სახელები და ისეთი სიტყვები, როგორიცაა ḡabīd, ḡamīr და სხვ.).

§ 98. ჩრდილოარაბულში შინაგან მრავლობითს განაკუთვნიებენ qatīl, qatal*, qatīl, qatīlat, qatīlat და maqtīlā ტიპებს. ზოგი ავტორი ამას არ იზიარებს. Fleischer-ი, ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ამ ტიპთაგან კრებითია, მათ გამორიცხავს შინაგანი მრავლობითის სისტემიდან¹. Barth-ი შენიშნავს, რომ qatīl, qatal* კრებითებს უახლოვდება². მაგრამ მთავარი ის კი არაა, ეს ფორმები კრებითს აღნიშნავს თუ მრავლობითს, არამედ ის, თუ რა მიმართებაში არიან ისინი შინაგან ფლექსიასთან. მოცემულ ტიპთაგან მხოლოდ ერთი qatīl არის წარმოშობით შინაგანი მრავლობითი (resp. შინაგანი კრებითი). სხვადასხვა მიზეზების გამო მას კავშირი გაუწყვეტია სათანადო ფორმის მხოლოდობითებთან და ჩვეულებრივ კრებითად ქცეულა (იხ. ზემოთ).

¹ Fleischer, SS. 293 ff.

² NB, SS. 432—3, 440, 446, 464—5; შდრ. Nöldeke, BSS, S. 60; Fleisch, Esquisse, p. 34.

qatl, qatal*, maqtūlā, qitālat, qutūlat არ ქმნიან წყვილებს გარკვეულ მხოლოობითებთან და იმ საგანთა „სიმრავლეს“ აღნიშნავენ, რომლებიც ბუნებაში ჯგუფურად გვხვდებიან. ესენი კრებითს წარმოადგენენ. „სიმრავლე“ მარტივი ან დერივატიული ელემენტებით გავრცობილი ლექსიკური მორფემითაა გამოხატული (qatl, qatal*, maqtūlā), ანდა სუფიქსაციით (qitāl-at, qutūl-at). qitālat და qutūlat შინაგანი მრავლობითისაგან იწარმოება. ასეთივე წარმოშობისა ხომ არაა qatātilat, რომელიც ოთხთანხმოვნია-ნი სახელის qatātil მრავლობითის „კომპენსაცივად“¹ ითვლება?

qatātil უპირისპირდება ოთხთანხმოვნიან სახელთა მხოლოობითს, რომელსაც ბოლო მარცვალში გრძელი ხმოვანი აქვს (qitlāl, qutlūl და სხვ.). იგი იწვეითად ენაცვლება qatātil-ს (dirham: მრ. darāhim/darāhīm). რაც შეეხება qatātilat ტიპს, იგი არაა მკიდროდ დაკავშირებული რომელსამე მხოლოობითთან (ზემოხსენებული სახელების გარდა ნისბასთანაც გვხვდება). მისთვის დამახასიათებელია ცოცხალ არსებათა სუბსტანტივები. იგი უნდა იყოს -at სუფიქსიანი კრებითი, რომელსაც საფუძვლად უძევს qatātil (qatātil?) მრავლობითი. ნისბასთან ასეთი ფორმის ხმარება საესებით გასაგებია (მხ. maḡribīj ‘მალრიბელი’: კრებ. maḡāribat < მრ. maḡārib: მხ. maḡrib ‘მალრიბი’; ქვეყნის სახელისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ ფორმას აქვს მცხოვრებთა ჯგუფის შინაარსი; შდრ. baḡriyat ‘მეზღვაურები’ წარმოშობით აბსტრაქტული სახელი).

-at სუფიქსის გვერდით კრებითის მნიშვნელობით ზოგჯერ -āt დასტურდება, მაგალითად, „ნარევ“ მრავლობითში—qitāl-at/qitāl-āt (<qitāl), qutūl-at/qutūl-āt (<qutūl)².

§ 99. გაორკეცებულ მრავლობითს განსაკუთრებული ადგილი უკავია სემიტური სახელის მორფოლოგიაში. შესაძლებელია, სუფიქსალური სახეობა უძველესი წარმოების გადმონაშთი იყოს (Brockelmann, Moscati). Petráček-ი ამტკიცებს, რომ გაორკეცებული მრავლობითი გამოდგება სემიტურ-ქამიტური ენების ერთიანობის პერიოდში შინაგან მორფემათა არსებობის საბუთად³. მაგრამ რადგანაც ეს ფორმა ყველაზე ხშირად თავისებურ (ორთანხმოვნიან და „სუსტ“) სახელებში გვაქვს, იბადება კითხვა: ამ შემთხვევაში გემინაცია მრავლობითის ფუნქციას ასრულებს, თუ ანომალიურ ფუძეს „აძლიერებს“?

¹ NB, S. 483; GVG I, S. 495.

² Wright I, p. 232.

³ GVG I, § 240; Moscati, Lezioni, § 255; Petráček, AOR 29, SS. 529—37.

გემინირებული მრავლობითის მეორე სახეობის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იგი შეინიშნება სამხრეთარაბულსა და ეთიოპურში, რომლებზედაც გავლენა მოუხდენია კუშიტურს. Leslau-ს აზრით, სემიტურში ფორმათა ეს ტიპი ხსენებული ენების ზემოქმედების შედეგადაა ვაჩენილი¹.

§ 100. შინაგანი ფლექსია ჩვეულებრივ სუფიქსაციაზე გვიანდელად ითვლება. აღსანიშნავია, რომ ეს შეხედულება არაა შემუშავებული ფაქტების შესწავლის შედეგად. ამ შემთხვევაში აშკარად იგრძნობა „მსხვრეული მრავლობითის“ თეორიის გავლენა, რომლის ძირითადი თეზისიც შეიცავს ასეთ გაგებას (შინაგანი მრავლობითი განვითარებულია სუფიქსალური ფორმისაგან სათანადო მაწარმოებელთა მიერ სიტყვის ფუძეში გამოწვეული ცვლილებების ნიდაგზე)². ზოგ ავტორს „ახალი“ ფლექსიის წარმოშობა ვადააქვს პრასემიტურ ეპოქაში. უფრო კი, სამხრეთსემიტურის ერთიანობის პერიოდში³. Moscati უარყოფს პრასემიტურში ასეთი ფორმების არსებობას. მისი აზრით, ისინი ვაჩენილია არა უადრეს პირველი ათასეულისა (ძვ. წ.)⁴. ორიგინალური თეზისი წამოაყენა Dietrich-მა — შინაგანი ფორმები სუფიქსალურზე ადრინდელია⁵. Brockelmann-ი იცავს დებულებას პრასემიტურში მრავლობითის ორი სისტემის არსებობის შესახებ. შდრ. Kurylowicz-ის სიტყვები—შინაგან ფორმათა მრავალფეროვნება იმის შედეგია, რომ ისინი პრეისტორიულ ეპოქაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდნენ სწორი მრავლობითის გვერდით, როგორც დერივატიული (და არა ფლექსიური) ფორმები⁶.

ისმის კითხვა: რა დასკვნის გამოტანა ხერხდება სუფიქსაციასა და შინაგან ფლექსიას შორის ქრონოლოგიური მიმართების შესახებ; თუ გავითვალისწინებთ სათანადო ფაქტებს?

პირველ რიგში ხაზი უნდა გავსვას მოცემულ ფორმათა სისტემების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს.

შინაგანი ფლექსიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ „ფორმას“ არ აქვს გრამატიკული ფუნქცია (ძხ./მრ. qatil : მრ./მხ.

¹ Word J, № 1. § 10; შდრ. Petráček, op. cit., S. 533, Anm. 21.

² Dillmann, p. 299; შდრ. Petráček, AOr 30, SS. 365—6.

³ Petráček, ibid.

⁴ Moscati, RSO 29, p. 43, შდრ. Plural, p. 113.

⁵ GVG I, S. 149.

⁶ L'apophonie, § 290; საკითხის ისტორია დაწვრილებით აქვს განხილული Petráček-ს, იხ. AOr 30, SS. 371—2.

qitāl). მოგვიანებით სახელის ტიპთაგან მხოლოდ ნაწილი იძენს ერთ-ერთ მნიშვნელობას (მხ. qitlat, qutlat: მრ. qitāl და ა. შ.).

რაც შეეხება სუფიქსაციას, აქ ფორმა კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს. ნულ მორფემა მხოლოდითი ან მამრობითია, ხოლო $-(a)t$ სუფიქსიანი — მრავლობითი ან მდედრობითი. აქვე უნდა შევეხოთ $-(a)t$ ელემენტის ორმაგ ბუნებას. იგი გამოხატავს როგორც აბსტრაქტულ სახელს და კოეზიტს, ასევე კონკრეტულს და კერძობითს: ასე მაგალითად, კლ. არაბ. baqar 'ზროხა': კერძ. baqarat 'ხარი, ფური'; tīn: tīnat 'ლეღვი': ებრ. კრებ. tār: კერძ. tārā 'თმა'. ცნობილია საწინააღმდეგო ფაქტებიც; მაგ., კლ. არაბ. კერძ. kam: კრებ. kam'at 'სოკო'; ებრ. კერძ. dāg: კრებ. dāgā 'თევზი' და სხვ. საინტერესოა, რომ $-(a)t$ სუფიქსს 'ოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვასთან აქვს ორივე მნიშვნელობა; მაგ., კლ. არაბ. šar'at 'თმა' საერთოდ კერძობითია, მაგრამ კრებითის ფუნქციითაც გვხვდება. ებრ. dāgā ერთ თევზსაც აღნიშნავს და მრავალსაც².

ამრიგად, კერძობითი სახელის ნულ მორფემას უპირისპირდება კრებითის $-(a)t$ სუფიქსი და პირიქით (მდრ. მხ./მრ. qaril: მრ./მხ. qitāl).

კერძ., კრებ. 0: კრებ., კერძ. $-(a)t$

კერძობითისა და მდედრობითი სქესის ფორმათა ურთიერთობის შესახებ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ლიტერატურაში. Soden-ის მითითებით, Landsberger-ი კერძობითის წარმოებას მდედრობითის სუფიქსის საშუალებით იმას მიაწერს, რომ ჯოგში მრავალ დედალ ცხოველთან გვხვდება ერთი მამალი³. ასეთივე აზრია გატარებული Collin-ის გამოკვლევაშიც. ავტორს სინგულატივის დაბოლოება მიაჩნია მდედრობითის ნიშნად, რომელიც ახალ ოპოზიციას ქმნის:

კოლექტიურობა დედალი: სინგულატივი დედალი
ცხოველების ცხოველის

შემდეგ ანალოგიის გზით ეს მოვლენა ვრცელდება მცირე ცხოველებსა და მცენარეებზე⁴. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ $-(a)t$ გარდა კერძობითისა კრებითსაც ახასიათებს. ორივე ფორმა თანაბრად უკავშირდება მდედრობით სქესს. ამიტომ, ზემოთწარმო-დგენილი ახსნა სავსებით დამაჯერებლად არ ჩაითვლება. ისიც უნ-

¹ GVG I, S. 427.

² Gesenius-Kautzsch, S. 391 s, t.

³ Soden, § 60 a.

⁴ GLECS III, pp. 41-2.

და ითქვას, რომ კერძობითი ყოველთვის დედალ ცხოველს კი არ აღნიშნავს, არამედ მამალსაც (მაგალითად, baqarat 'ბროხა' და 'ხარი').

§ 101. -(a)t სუფიქსს გარკვეულ შემთხვევებში პოლარული ფუნქციები აქვს სქესის აღნიშვნის დროსაც; რიცხვით სახელებში (3—10) მ. -(a)t: მდ. 0. სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ ხსენებული ფორმატივის უფრო ზუსტი დახასიათება, ვიდრე F'eghali-მ და Cuny-მ მოგვცეს, ძნელია „...-(a)t დასაწყისში იყო ფორმათა დამაიორისაირებელი ელემენტი“¹.

Bartli-ი კატეგორიულად უარყოფს კავშირს მდ. სქესის -(a)t მორფემასა და რიცხვით სახელთა მსგავს დაბოლოებას შორის. იგი რიცხვითი სახელების ფორმაში ხედავს მამრობითი სქესის დემონსტრირებული ელემენტის t-ს ნაშთს, რასაც ეთიოპურსა და აქადურში მდ. სქ. t-მ შეესატყვისება². მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სახელებში სქესში შეთანხმება პოლარულია, ფლექსია არსებითად ისეთივეა, როგორც ზედსართავებში—ნულ სუფიქსი: -(a)t. Bartli-ი იმას ეყრდნობა, რომ ეს მორფემა საერთოდ მდებარეობს სქესს აწარმოებს. თუმცა შემოაღნიშნულ შემთხვევებში მას ისევე ახასიათებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა, როგორც კრებითისა და კერძობითის ფორმებში.

§ 102. რაოდენობით რიცხვ. სახელებისა და ზოგჯერ კრებით-კერძობითის ოპოზიციითა წევრებს შორის ურთიერთობა იმავე ფორმულით გამოიხატება, რაც შინაგანი ფლექსიის დროს მივიღეთ:

A კონკრ., კერძ., მხ., მამრ. : B აბსტრ., კრებ., მრ., მდ.

B " " " " : A " "

სემიტური სახელის ფლექსიის განხილვისას აღსანიშნავია ორი არსებითი მომენტი:

1. სქესისა და რიცხვის კატეგორია გამოხატულია ორი განსხვავებული სიტყვის დაპირისპირებით, ცალკე სიტყვას არ აქვს რაიმე გრამატიკული მნიშვნელობა. ეს ეხება შინაგან ფლექსიას და ნაწილობრივ სუფიქსაციას (-at კერძ./კრებ., მამრ./მდებარ.).

2. ხსენებულ კატეგორიებს აქვს საკუთარი ექსპონენტები. ძირითადად ეს სუფიქსაციას ახასიათებს (ნულ მორფემა მამრობითი და მხოლოდობითია, ხოლო -(a)t, -ū, -ān და სხვ. მდებარეობითი, მრავლო-

¹ Feghali-Cuny, p. 17; შტრ. Schandé, S. 186. ავტორი ასეთ კვალიფიკაციას რატომღაც ეჭვის თვალთ უყურებს.

² Sprw. Untsch., SS. 2 ff.

ბითი), თუმცა, ზოგჯერ შინაგანი ფლექსიის დროსაც შეინიშნება (მამრ. qatlān: მდედრ. qatlā; მხ. qitlat: მრ. qital და სხვ.).

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მარტივი ან დერივატიული ტიპების დაპირისპირებასთან. მათ არ აქვთ გარკვეული გრამატიკული ფუნქცია. რაც, რა თქმა უნდა, იმაზე მიგვითითებს, რომ სათანადო კატეგორიები ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. მეორე შემთხვევაში დასტურდება ტიპებისა ან ფორმების განზოგადება; სქესსა და რიცხვს თავისი ნიშნები მოეპოვება.

ცხადია, ტიპებისა და ფორმების მონაცვლეობა, ვარკვეულ ტიპთა დაჯგუფება უნდა მივიჩნიოთ პირველად მორფოლოგიურ საშუალებად. მასზე გაცილებით გვიანდელია მორფემათა განზოგადება¹.

შინაგანი ფლექსიის გაბატონება სამხრეთსემიტურში (არაბულსა და ჩრდილოეთისაურში), ხოლო სუფიქსაციისა დანარჩენ ენებში შემდგომში უნდა განხორციელებულიყო. მოქმედის სახელისა და ინტენსივისათვის დამახასიათებელი შინაგანი ფორმები ისტორიულად არაბულსა და ჩრდილოეთისაურშია დამოწმებული. სხვაგან მხოლოდ ცალკეული შემთხვევები შეინიშნება. ასეთი მაგალითები ადრე, ალბათ, გაცილებით მეტი იყო, თუმცა, საფიქრებელია, რომ მათ ამ ენებში (შესაძლებელია, მათ შორის სამხრეთეთისაურშიც) ისეთი ხედრითი წონა არასოდეს არ ჰქონიათ, როგორც, მაგალითად, გეეზში (რომ არაფერი ვთქვათ კლასიკური არაბულის შესახებ).

§ 103. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ზოგადად უნდა შევეხოთ -ā, -āʔ, -ān და -(a)t ფორმატივებს.

კარგადაა ცნობილი, რომ ჩრდ. არაბულში -ā, -āʔ და -ān მხოლოდ გარკვეულ ფუნქციებთან „აღნიშნავენ“ მდედრობითს და მრავლობითს. მიუხედავად ამისა, მათ ათავსებენ ამ კატეგორიათა მაწარმოებლების გვერდით და ეძებენ შესატყვისებს მონათესავე ენებში. ეთიოპურში მიუთითებენ -ā და -ē დაბოლოებებს აბსტრაქტულ სახელებსა და ცხოველთა ლექსიკაში, -ān სუფიქსს, რომელიც მ. სქ. სწორი მრავლობითის მორფემაა; ებრაულსა, არამეულში -aj და -e ელემენტებს აბსტრაქტულ ფორმაში, კრებითებსა და ინფინიტივებში, აგრეთვე რიცხვით სახელში ešrē ('ათი') და სხვ².

Brockelmann-მა შინაგანი და სუფიქსალური მრავლობითის ფორმანტთა მსგავსებაზე დაყრდნობით წამოაყენა მეტად ორიგინა-

¹ როდესაც საკითხი ეხება საერთოდ სახელის ფლექსიის ისტორიას, სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს სემიტურ ენათა ამ მონაცემებს.

² GVG I, §§ 225, 242; Nöldeke, SG, § 83, ZDMG 40, S. 183.

ლური თეზისი, რომლის თანახმადაც, ფორმათა ეს ორი სახეობა. თავისი ბუნებითა და წარმოშობით იდენტურია¹.

ყოველ ელემენტს, რომელიც ამა თუ იმ კატეგორიის გამომხატველი სახელის ტიპში გვხვდება, რა თქმა უნდა, ვერ განვიხილავთ, როგორც ამ კატეგორიის ექსპონენტს. -ā, -ā² და -ān ფორმატივანი ფუძეები ჩვეულებრივ ან განცალკევებით დგას, „აფიქსი“ და ფუფე ერთად წარმოადგენს ტიპს (მაგ., მდ. სქ. qatlā, qatlā², qatlā; მრ qatlān, qatlān...), ანდა ამ დაბოლოებებს ენაცვლება (და არ უბირისპირდება) ნულ შორფემა, აგრეთვე სხვა რომელიმე ფორმატივი; მაგ., qatlān-qatl (ruhbān-ruhḥ ‘შიში’), qatalān-qatal rahabān-rahab ‘შიში’), qatlā-qatl (sukūā-sukū ‘მოსვენება’), qitlān-qitlat (gidū-ān/at)³ და სხვ. მითითებული ელემენტები არ ჩაითვლება კატეგორიის ნიშნებად. იგივე ეხება -(a)t დაბოლოებას, რომელიც დასტურდება შინაგანი მრავლობითის ტიპებში (qitlat, qatlat და მისთ.). ამ მაგალითებს შევეთრად უსირისპირდება ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ -(a)t² და -ān სუფიქსებით იწარმოება (al და -ān ფორმანტთა ფუნქციების სრული დახასიათება ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება).

ა) -(a)t : ნულ შორფემა
მდებრობითი : მამრობითი
კოძობითი : კრებითი (და სხვ.)

-(a)t სისტემატურია მხოლოდ სქესის გამოხატვისას).

ბ) -ān : ნულ შორფემა
მრავლობითი : მხოლოდ ბიპი (ეთიოპურში)

შესაძლებელია, -ān რიცხვის ნიშანი ეთიოპურში იმავე წარმოშობისა იყოს, რაც სახელის ტიპებში (კრებითი, შინაგანი მრავლობითი და სხვ.) დამოწმებული -ān.

სემიტურში მდებრობითი სქესის მაწარმოებელს მხოლოდ -(a)t წარმოადგენს. აშკარა შეცდომაა -ā, ā² და -ān ფორმატივების მასთან გატოლება. ამის შესაბამისად გულდასმით გადასინჯვას მოითხოვს სემიტურ ენებში სქესისა და რიცხვის აფიქსთა საკითხი (ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ საექვოა ებრ.-არამ. ʿesrē სი-

¹ Sem. Sprw., SS. 108 ff; შინაგან ფლექსიასა და სუფიქსაციას შორის გვიდრო კავშირის არსებობა უდაოა. გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება ერთი სისტემიდან მეორეისაკენ გარდამავალი „ფორმებიც“ (ამ საკითხს წინამდებარე ნაშრომში არ ვეხებით).

² NB, §§ 198-9, 203, 233, 244.

ტყვის დაბოლოების ტრადიციული ახსნა). -ā. -ā̄, და -ān, ხშირად აგრეთვე -(a)ტ სახელის ტიპთა მაწარმოებლებია. სხვადასხვა კატეგორიები დაკავშირებულია არა ამ ფორმატივებთან, არამედ სახელის სქემასთან საერთოდ; ასე მაგალითად, მდ. სქ. a-0-ā̄ (šaf-rā̄), u-0-ā (al-kubrā); მ. სქ. a-0-ān (sagrān); მრ., რ. i-0-ān, u 0-ān (šibjān, rukbān). რა თქმა უნდა, აქ მოცემულ -ān დაბოლოებასა და ეთიოპურში რიცხვის სუფიქსს შორის პრინციპული სხვაობაა. ხსენებული ფორმატივები არ არიან სიტყვათწარმოებელი ელემენტებად კი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით (ურთიერთს უპირისპირდება არა მარტივი და სუფიქსალური ფორმა, არამედ ორი განსხვავებული სქემა); მათი შედარება არ შეიძლება, მაგალითად, ნისბის მაჩვენებელთან (- 0 : -- ī). ისიც უნდა ითქვას, რომ -(a)ტ. -ān გარკვეულ შემთხვევებში დერივატივის როლში გამოდიან (შდრ. კინ., კერძ. 0 : -(a)ტ. -ān აბსტრაქტული, კრებითი 0 : -(a)ტ — qitāl : qitālat, qattāl : qattālat და სხვ.).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, სემიტური სახელის ფლექსიის განხილვისას უნდა გავარჩიოთ ორი მოვლენა:

I. სუფიქსაცია, სუფიქსალური II. შინაგანი სიტყვათწარმოება, სიტყვათწარმოება შინაგანი ფლექსია¹

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ Kuryłowicz-ი მკაცრად მიჯნავს -(a)ტ სუფიქსის დერივატიულ და ფლექსიურ ფუნქციებს².

§ 104. კლასიკურ არაბულში შინაგანი მრავლობითი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნებას აღნიშნავს, კრებითის მსგავსად ჩვეულებრივ გაგებულია მხოლოდობითად (მდ. სქ.): ეს წესი ზოგჯერ პიროვნების გამომხატველ ფორმაზეც ვრცელდება³.

კრებითისა და შინაგანი მრავლობითის გენეტური კავშირი არ მტკიცდება. მათი სინტაქსური ფუნქციების იდენტურობა იმით აიხსნება, რომ ორსავე შემთხვევაში სიმრავლე გამოხატულია სახელის ტიპების საშუალებით და არა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებით.

რამდენადაც პიროვნების სახელთა კრებითში უფრო მეტად იგრძნობა ინდივიდები (ვიდრე საგანთა ან ცხოველთა სახელებში), იგი შინაგანი ფორმის მსგავსად ჩვეულებრივ განიხილება როგორც სათანადო სქესის მრავლობითი. ძველ სამხრეთარაბულში ში-

¹ შდრ. გვ. 16, 32.

² L'apophonie. § 219.

³ იხ. გვ. 62—64; საკითხი შესასწავლია ქრონოლოგიის თვალსაზრისით.

ნაგანი მრავლობითი ისეთსავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სუფიქსიანი¹. გეეზში იგი ხშირად მხოლოდითადაა (მ., მდ.) გაგებული².

შეიძლება დაეასკვნათ:

1. შინაგანი სქესისა და რიცხვის ფორმათა სისტემას ახასიათებს ისეთი დაპირისპირებები, რომლებშიც ერთი მორფემის რაობას მეორე განაპირობებს (მდრ. Petriček-ის მოსაზრება ოთხთანხმონიანი სახელების მრავლობითის შესახებ).

კრებითების (აბსტრაქტული ფორმების) თეორიის წარმომადგენლებმა სამართლიანად უარყვეს დებულება, რომლის თანახმადაც, შინაგანი მრავლობითის ტიპები სუფიქსალურ ფორმათა სახეცვლილებაა; ამავე დროს მათ დაუშვეს სერიოზული შეცდომა, მიიჩნიეს რა, შინაგანი მორფემები (მხოლოდითი და მრავლობითი) ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად.

2. დაპირისპირების წევრთა დაკავშირება არ შეიძლება როგორც მამრობითისა და მდედრობითის, ასევე კერძობითისა და კრებითის (აბსტრაქტული სახელის) ფორმებთან.

შინაგანი ფორმები წარმოშობით ინტენსივისა და ნაზმნარი სახელების პარალელი ფუძეებია, რომელთაც თავის დროზე ფორმაუცვლელობა ახასიათებდა. სქესისა და რიცხვის შინაგანი ფლექსია ფორმაუცვლელობისაგანაა განვითარებული.

3. პოლარიტეტი განსხვავებული სტრუქტურის მქონე მონათესავე ტიპების ურთიერთობის შედეგია და არა შინაგანი ფლექსიის საფუძველი.

4. მრავლობითის ერთ ტიპთან რამდენიმე მხოლოდობითის არსებობა ანდა მრავლობითის მორფემათა პარალელიზმი აიხსნება სახელის ერთსა და იმავე ტიპთან სხვადასხვა პარალელების არსებობით, აგრეთვე მორფოლოგიური და სემანტიკური ანალოგიით.

5. ჩრდილო-დასავლურ ენებში შინაგანი მრავლობითი მხოლოდ მაშინ ვგაქვს, როდესაც დაწყვილებულია გარკვეული ტიპები— სირ. *h'mārā : h'mrā*, *q'riṭā : quriā*; მზნ *qatil : qatūlīn* (<**qatil : qatūl*, Petriček). ამ შემთხვევაში გამორიცხული არაა სამხრეთსემიტურის გავლენა (Moscatti). შესაძლებელია, სელოლიანი სახელების „წწორი“ მრავლობითი შინაგან ფორმაზე იყოს დაფუძნებული (Greenberg).

6. შინაგანი მორფემების (ზოგჯერ სუფიქსალური ფორმების (A მ. : B მდ.; A მდ. : B მ.)) დაპირისპირება ჩასახულია პრასემიტურ-

¹ Höfner, Semitistik 3, S. 326.

² Dillmann, §§ 189, 195.

ში მაშინ, როდესაც სქესისა და რიცხვის კატეგორიათა ჩამოყალიბება იწყებოდა. ამ პერიოდში ერთსა და იმავე მორფემას პოლარული ფუნქციები ჰქონდა. საპირისპირო მნიშვნელობის სუფიქსიანი მორფემები (მ./მდ.; კერძ./კრებ. — ს : მდ./მ.; კრებ./კერძ. აქ) მიღებულია მარტივი და -(ა)ქ ელემენტის ინდიფერენტული ტიპებისაგან, ე. ი. შინაგანი ფორმებისაგან.

სქესისა და რიცხვის შინაგანი ფლექსია საბოლოოდ უფრო აღრინდელია, ვიდრე სუფიქსაცია.

7. შინაგანი რიცხვის გავრცელება არსებით სახელებსა და გასუბსტანტივებულ მიმღებებში, მდებრობითისა და მრავლობითის სპეციალური მორფემები, სიმცირისა და სამრავლის ტიპები და სხვ. შედარებით გვიანაა განვითარებული.

8. ისტორიულ ეპოქაში შინაგანი რიცხვის ოპოზიციებს (ხმოვანთა და დერივატიულ ელემენტთა დაპირისპირებას) ძირითადად სიტყვის გარეგანი მხარე განსაზღვრავს.

სამეცნიერო და რიტორიკის დიპლომისპირებათა განაწილების
ისტორიისათვის

1. სუფიქსალური ტიპის ფუნქციონირება იტალია¹

ა) — 0 : — (a)t

§ 105. არსებითი სახელების კლასიფიკაციის, აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულისა და ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერობის საკითხის შესახებ მსჯელობისას გამოტანილი დასკვნის მიხედვით, სახელის სქესის ფორმები სემიტური ენების განვითარების ადრეულ პერიოდში აღნიშნავდა ჯერ ინდივიდს და ჯგუფს, შემდეგ პიროვნებას და არაპიროვნებას. -(a)t სუფიქსი, წარმოშობით კრებითის ექსპონენტი, შემდეგში გამოყენებული ყოფილა მდებარებითი სქესის პიროვნების, მოგვიანებით დედალი ცხოველის, და დასასრულს, „მდებარებითი სქესის“ საგნის სახელის მსაზღვრელთა ნიშნად. ზედსართავთა ანალოგიით დაპირისპირება 0:-(a)t ნაწილობრივ არსებით სახელებშიც გაჩენილა (kall: kalbat). ამ დაპირისპირების ფუნქციონირება განვითარებას ვეარაუდობთ. შემდეგი ქრონოლოგიური საფეხურების მიხედვით:

— 0 — (a)t

- | | | | |
|-----------------------|--------|---|---------------------------|
| ა
ვ
ე
ს
ბ | ა) I | ინდივიდი | ჯგუფი |
| | | (პიროვნება) | (პიროვნება, არაპიროვნება) |
| | ბ) II | პიროვნება | არაპიროვნება |
| | გ) III | მამრობითი | მდებარებითი |
| | | (1. პიროვნება;
2. ცხოველი;
3. საგანი) | |

ბ) მამრობითი მდებარებითი

- | | |
|--------------------|----------------|
| არსებითი
სახელი | (1. პიროვნება; |
| | 2. ცხოველი; |
| | 3. საგანი) |

¹ შინაგანი ფორმების შესახებ იხ. გვ. 85—6, 104—5.

ბ) — 0 : — ო, -აი, -აი...

— (a)t : — აი...

§ 106. რიცხვის ფორმათა განაწილების ისტორიის პრობლემიდან ბოლო დრომდის მსოლოდ სუფიქსალური და შინაგანი ტიპის ურთიერთობის საკითხი იწვევდა ინტერესს. უდაოდ ითვლებოდა, რომ მრავლობითის მაწარმოებლები სქესის მიხედვითაა განლაგებული—მ. ო, -აი... : მდ. -აი...

ამ სქემას უფარდებდნენ ყველა ენის მონაცემს. ფაქტები, რომლებიც მას არ შეესატყვისებოდნენ, განიხილებოდნენ, როგორც პირვანდელი წესის დარღვევის შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ მრავლობითის ფორმათა განაწილების ისტორიის პირველად Kuryłowicz-ი შეეხო.

მისი ამოსავალი დებულების თანახმად, -ი(ია) პრეისტორიულ ეპოქაში დაერთოდა მამრ. სქესის პიროვნებათა ან ცოცხალ არსებებათა ზედსართავებს, ხოლო -აი საკუთრივ მდედრ. სქესის სახელებს გარდა საგანთა სუბსტანტივებსაც.

ასეთი ფუნქციის კვალს Kuryłowicz-ი ხედავს მრავალ ფორმაში. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ზედსართავის სწორი მრავლობითი -აი სუფიქსით იწარმოება, როდესაც საქმე საგნებს ეხება; მაგ., al-ḥusanātu 'კეთილი საქმეები', al-maḥṣūnāt 'ქმნილებანი, არსებები', al-muḥkināt 'შესაძლებელი საქმეები'. აქვე დასძინს, რომ ებრაულში -ot სუფიქსიანი ზედსართავი და მიმღობა (მხ. ან მრ. რ.) შეიძლება იხმარებოდეს უპიროვნოდ (საშუალო სქ.); მაგ., ḥēnēt 'კარგი საქმეები, სიტყვები' და სხვ. ამას მოსდევს სათანადო ფორმები აქადურიდან. დასასრულ განხილულია -აი სუფიქსიანი ნაცვალსახელები აქადურში. ავტორის აზრით, ეს ფაქტები მიგვითითებს მამრობითსა და არამამრობითს შორის უძველესი ოპოზიციის არსებობაზე:

არამამრ. (საგანი ან არაპიროვნება; საკუთრივ მდედრ.) მრ. -აი

მამრ. (პიროვნება, უკიდურეს შემთხვევაში ცოცხალი არსება) -ია და სხვ.

მსხვერულ მრავლობითს დაეკისრა საგნის ან არაპიროვნების რიცხვის აღნიშვნა, რის გამოც -აი საკუთრივ მდედრობითთან შემოგვრჩა:

არაპიროვნება (ან საგანი)	ნული ან -at	მსხვერუელი
პიროვნება	მამრობითი ნული	-ūna
	მდედრობითი -at	·āt ¹

§ 107. ისტორიულ პერიოდში -ū და -āt სუფიქსების განაწილება სქესის გარდა სხვა მომენტებიც განსაზღვრავს:²

0, -(a)t: -ū -āu...	-(a)t, 0: -āt...	
ა) მ. სქ. ზედსართავი	მდ. სქ. ზედსართავი	
ბ) არსებითი	„ არსებითი	
გ) მამაკაცის საქ. სახ., კნინობითი	მდ. სქ. პიროვნ. და საგნის სახელის კნინ.; ქალის და მამაკაცის საქ. სახელი.	
დ) მდ. სქესის არსებითი და სხვ.	საგანთა არსებითი, (პირ). პროფესიის, საქმიანობის სახელი და ა. შ.	მამრობითი სქესი

სქესისა და რიცხვის გარჩევა პიროვნებათა სახელებში უნდა ჩასახულიყო³, ე. ი. დასაწყისში -ū და -āt სუფიქსებს შორის პიროვნება-არაპიროვნების ოპონიციებზე საუბარი გაუმართლებელი ჩანს. საგანთა სუბსტანტივები, იმ დროს რიცხვს არ აწარმოებდა. ისინი წარმოშობით კრებითებია და, რა თქმა უნდა, მათთან 0: -āt დაპირისპირება უადგილო იქნებოდა. მტკიცებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ -āt ელემენტს თუ საგნების ან მდ. სქესის ნიშნად მივიჩნევთ, ვერ ავხსნით მის ხმარებას მ. სქესის პროვნებებთან (საქმიანობის სახელები აქადურსა და გეეზში, მამაკაცის საკუთარი სახელები გეეზსა და ზოგ არაბულ დიალექტში).

ორივე სქესის სახელებში შეიძლება გვეკონოდა მხოლოდ ის მორფემა, რომლისთვისაც უცხოა სქესის კატეგორია. უნდა ვიფიქროთ, რომ -āt თავდაპირველად არ აღნიშნავდა სქესს, მასთან მდ. სქესის ზედსართავები მოგვიანებითაა დაკავშირებული; მისი აღრინდელი ფუნქცია პიროვნების სუბსტანტივის რიცხვის წარმოება

¹ L'apophonie, §§ 286 ად.

² იხ. გვ. 67.

³ იხ. გვ. 21 და შემდეგ.

ჩანს. ამის მიხედვით ერთგვარი წარმოდგენა გვექმნება -*ū* (-*ān*) სუფიქსის ისტორიაზეც. როგორც აღნიშნული იყო, იგი მ. სქესის პიროვნების სუბსტანტივსაც დაერთვის და ზედსართავსაც. სუბსტანტივებთან შეიძლებოდა გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც მათ განიცადეს დიფერენციაცია სქესის მხრივ. გასაკვევია ზედსართავების საკითხი. -*ān* მდ. სქესის ზედსართავთან მეორეული ჩანს; ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ -*ū* დაბოლოება იმ დროს, როდესაც -*ān* ორივე სქესის არსებით სახელებს დაერთოდა, წარმოდგენდა პიროვნების აღმნიშვნელ ზედსართავთა რიცხვის საერთო მაწარმოებელს. სემიტურ ენათა ისტორიაში ვვარაუდობთ ისეთ პერიოდს, როდესაც მრავლობითში პიროვნების ზედსართავი და არსებითი სახელი იყო დაპირისპირებული:

ზედსართავი -*ū* : არსებითი -*ān*¹

ამ სქემას განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომელთა წარმოდგენა მხოლოდ ზოგად ხაზებშია შესაძლებელი.

მხოლოდობითი რიცხვის გავლენით სქესი განვითარებულა მრავლობითშიც (რასაც, ალბათ ხელი შეუწყო ორი განსხვავებული ფორმანტის არსებობამ — -*ū*, -*ān*). დაწყებული მამრობითი სქესის არსებითი სახელების გადასვლა პირველ რიგში (-*ū*), ხოლო მდედრობითი სქესის ზედსართავებისა — მეორეში (-*ān*). ეს პროცესი ზედსართავებთან ყველა ენაში ბოლომდისაა გატარებული (მდ. სქესი დაჯგუფებულია -*ān* სუფიქსთან). რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაშია არსებითი სახელები. ჩრდილოდასავლურსა და უგარიტულში, როგორც ჩანს, მ. სქესის სუბსტანტივებს შეუცვლია ადრინდელი მაწარმოებელი -*ū* სუფიქსით. აქადურში მხოლოდ პროფესიის ზოგ სახელშია დაცული -*ān*. ჩრდილოაზიურულში მამაკაცის საკ. სახელებსა და კნინობითს მიუღია -*ū*. უცვლელადაა დარჩენილი პროფესიისა და მამაკაცის საკ. სახელები გენში (ეს უკანასკნელები ზოგ არაბულ დიალექტშიც).

-*ū* და -*ān* ფორმანტების მიხედვით ზოგჯერ საგნის სახელებიც ნაწილდება. კლასიკური არაბული მამაკაცისა და ქალის მსაზღვრელები რიცხვს და სქესს განარჩევს, მაშინ როდესაც, არააბიროვნების (ნაწილობრივ ქალის) აღმნიშვნელ ზედსართავებში ეს კატეგო-

¹ ვერ დაუუპეროთ მხარს მოსახრებას, რომ მდედრობითი სქესის მრავლობითი განვითარებულია მხოლოდობითი რიცხვის სათანადო ფორმისაგან სუფიქსის ხმოვნის გაგრძელებით (*qatīlat* > *qatīlāt*; იხ. GVG I, § 241 a; Spoiser, p. 41; Moscati, RSO 29, pp. 50—1, შდრ. Plural, p. 112—3). ოღონდ, ამით სრულიადაც არ უარყოფთ -(a)n და -ān სუფიქსების კავშირს.

რიები არაა ჩამოყალიბებული. ამის გამო, ეფიქრობთ, აღნიშნულ სახელებს (ზედსართავს, არსებითს) რიცხვის ფორმები გაუჩნდა მრავლობითში პიროვნების სქესის კატეგორიის განვითარების შემდეგ.

საგნების სუბსტანტივთა უდიდესი ნაწილი -აქ სუფიქსით აწარმოებს რიცხვს (თითქმის ყველა ენაში). გვიანდელი უნდა იყოს ის ფორმები, რომლებშიც მას -მ უპირისპირდება; აქ სქესს იგივე მომენტები განსაზღვრავს, რაც მხოლოდობითში¹. ჩრდილოარაბული და გეეზი სხვა ენებთან შედარებით ამ შემთხვევაშიც მეტ არკაულობას იჩენს. არაპიროვნებათა სუბსტანტივების გაცილებით მეტ ჯგუფში გვაქვს -აქ.

§ 108. აქადურში მ. სქესის სუბსტანტივებისა და ზედსართავების დაყოფა მეორეული ჩანს. მისი განხორციელება უნდა მომხდარიყო სუბსტანტივებში -მ-ს მიერ -აქ სუფიქსის შეცვლის შემდეგ.

რიცხვის სუფიქსალური ტიპის ფუნქციითა
ცვლილების სქემა

0, -(a)t: -მ... 0: -აქ...

I ზედსართავი არსებითი

(პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა)

II მამრობითი მდედრობითი

(პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა

ა რ ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა)

ზედსართავი,
არსებითი

აქადური გვიჩვენებს აქ აღდგენილი სურათის შემდგომ განვითარებას:

მამრობითი მდედრობითი

0: -მ არსებითი | -(a)t, 0: -აქ

0: -მ ზედსართავი |

Kurylowicz-ის აზრით, -მ აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელს აქადურში დაეკისრა -აქ სუფიქსის მეორეული ფუნქცია (საშუალო სქესის ზედსართავის მრავლობითი); -მ ჯერ არაპიროვნებათა სახელებს ჰქონდა, შემდეგ მექანიკურად გავრცელდა მ. სქესის პიროვნების ყველა სახელზე².

¹ იხ. გვ. 58—9.

² J'apophonie, pp. 190—91, rem. 9.

§ 109. სამხრეთსემიტურში მრავლობითის ფორმანტაგან ყველაზე პროდუქტიულია -*āt*. ბუნებრივია, რომ მან ზოგან თითქმის მთლიანად განდევნა სხვა ელემენტები (შხავრიში, ტიგრიანაში და სხვ.). დასავლეთეურაგეში რიცხვის ფორმათა უქონლობა, როგორც Leslau ფიქრობს, სიღამოსთან კონტაქტით აიხსნება¹.

§ 110. ჩვენთვის გაუგებარია ენათა უმრავლესობაში საგანთა მდებარეობა. სქესის სუბსტანტივთან -*ī* სუფიქსის არსებობის მიზეზი. აქ ხომ არ გვაქვს საკუთრივ მრავლობითი, რაც სპეციფიკურია აღნიშნული მორფემისათვის? (მდებრობითი სქესის სახელების რიცხვის ნიშანი -*āt*, როგორც ცნობილია, გარდა მრავლობითისა აწარმოებს კრებითსა და აბსტრაქტულ სახელებს).

§ 111. ახალ არამეულსა და რამდენსამე არაბულ დიალექტში ფიქსირებულია ფაქტები, რომლებიც ერთის შეხედვით პრეისტორიულ მდგომარეობას მოგვაგონებენ; -*ī* აღნიშნავს ორივე სქესის ზედსართავის მრავლობითს². -*ī* ზედსართავის რიცხვის ერთადერთი მაწარმოებელი იმ პერიოდში ივარაუდება, როდესაც მრავლობითში სქესი საერთო იყო, ამასთანავე, იგი მხოლოდ პიროვნებათა ზედსართავთან უნდა გვექონოდა. დასახელებულ ენებში სხვა ვითარებაა: ჯერ ერთი, -*ī* სუფიქსით ყოველგვარი სახელი ფორმდება (პიროვნების, არაპიროვნების, ზედსართავი, არსებითი); გარდა ამისა, სუბსტანტივებში სქესი გარჩეულია. მამრ. სქესის არსებით სახელებში აღნიშნული ფორმანტის გაჩენას, ცხადია, წინ უსწრებდა სქესის დიფერენციაცია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს სიახლესთან.

2. შინაგანი და სუფიქსალური მორფემების ურთიერთობა

ა) სქესი

§ 112. წარმოშობით ფორმაუცვლელი ინტენსივისა და ნაზმნარი სახელის სქესის წარმოებისას კლ. არაბული, სოკოტრი და ჩრდილოეთიოპური შინაგან ფლექსიას იყენებს (პარალელი ტიპების დაპირისპირებას). ხოლო სხვა ენები—სუფიქსაციას.

სამხრეთსემიტურში ერთი და იმავე ტიპის სახელს ზოგჯერ ორივე ფლექსია აქვს. ისმის კითხვა: რა მიმართებაა მათ შორის? სუფიქსიანი ფორმები გავრცელებულია თანამედროვე არაბულ დიალექტებში. იგი ძველ ენაში თენვენიან სახელთან გვხვდება (დღეს

¹ Language 26, N 1, § 3.

² მდრ. გვ. 23, 27.

უკვე აღარ დაობენ იმის შესახებ, რომ ეს ვარიანტი უფრო ახალია, ვიდრე უთენფინო).

არაბულსა და ეთიოპურში დასტურდება ფაქტები, რომლებიც აშკარად მოწმობენ საერთო ან შინაგანი სქესის შეცვლას სუფიქსაციით.

ა) qatil და qatīl კლ. არაბულში განსაზღვრულ შემთხვევებშია საერთო სქესის. პირველი უმთავრესად მაშინ, როდესაც ვნებითი გვარის ფუნქციას ასრულებს, მეორე იმ პირობით, თუ მოკმედებითი გვარის მიმღეობის შინაარსი აქვს. ისიც ფაქტია, რომ qatīl იშვიათად არ აწარმოებს სუფიქსიან მდებრობითს. შინაგანი ფორმები მ. qatīl: მდ. qatīl კლ. არაბულში სულ რამდენიმეჯერ გვხვდება, იგი უცხოა დიალექტებისათვის. მის ადგილას ჯერ კიდევ ძველად გავრცელებულა qatīl: qatīlat და qatāil: qatāilat¹.

qatīl ტიპი ეთიოპურში სუფიქსით აწარმოებს სქესს²; ეს წესი გაბატონებულია არაბულ დიალექტებშიც. სუფიქსიანი ფორმა ახასიათებს ვნებითი გვარის ფუნქციით ხმარებულ qatīl-საც.

ბ) qatīn და qatīn პარალელები კლასიკურ არაბულში მაშინ აღნიშნავს სქესს, როდესაც qatīn უთენფინოა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სუფიქსი დაერთვის; მაგ. nadmanun: nadmanatun 'მომნანიებელი'. ეს ახალი ფორმა თითქმის ერთადერთია დიალექტებში³.

გ) -at სუფიქსი კლ. არაბულში ფიქსირებულია ʔaqtal ინტენსივის თენფინიან ფორმასთანაც; მაგ., ʔarmal: ʔarmal-at ('ქერივი')⁴. ზოგ დიალექტში ასეა გაფორმებული ʔaḡḡal და ʔāḡḡar სიტყვათა მდებრობითი.

დ) qutīn ინტენსივს ისტორიულ პერიოდში მხოლოდ სუფიქსიანი მდებრობითი აქვს; მაგ., ʔurjān: ʔurjānat ('შიშველი'). მისი პარალელი qutīn აღმატებითი ხარისხის მდებრობითს წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ qutīn: qutīn დაპირისპირების შეცვლა ახალი წარმოებით გამოწვეულია მოცემულ ინტენსივში თენფინის გაჩენით⁵.

qatīn და ʔaqtal ტიპები ძველად ცალკე სისტემას ქმნიდა; მათ ზოგჯერ ძველი ფლექსია შემოუნახავთ.

¹ იხ. გვ. 86—7.

² Dillmann, § 129.

³ იხ. გვ. 30.

⁴ NB, § 151; Юшманов, Загадка, стр. 155.

⁵ შდრ. გვ. 87.

ბ) რიცხვი

§ 113. შინაგანი მრავლობითი სუფიქსალური ტიპის მექვიდრედ ითვლება. Müller-მა სცადა გამოერკვია ის მიზეზები, რომელთა გამოც არაბულსა და ეთიოპურში სახელის ზოგიერთ ტიპებთან დაცულია, მისი აზრით, აღრინდელი ფლექსია (სუფიქსაცია). როგორც იგი ამტკიცებს, სუფიქსიანი მრავლობითი გარდა უძველესი საერთოსემიტური სიტყვებისა (ʔarḏ, ʔahl..., ათეული რიცხვითი სახელები, წინდებულები) შემორჩენილია იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვრეული მრავლობითისათვის ხმოვანთა ცვლა არ ხერხდება (ორთანხმოვანი სახელები)¹. ნაწარმოებ თემათა მიმღეობებისაგან „ახალი“ ფორმების წარმოებას ხსენებულ მომენტთან ერთად ისიც უშლის ხელს, რომ კრებითის შინაარსი, რაც მსხვრეულ მრავლობითს ახასიათებს, უცხოა მიმღეობებისათვის². სინამდვილეში ეს ფაქტები პარალელ ტიპთა უქონლობით აიხსნება.

შინაგანი მრავლობითი სუფიქსალური ფორმების შემცვლელად მიაჩნია აგრეთვე Kurylowicz-ს. იგი აღნიშნავს: ახლად წარმოშობილ შინაგან მრავლობითს დაეკისრა არაპიროვნების ზედსართავის რიცხვის ფუნქცია (ʔaḥṣadāʔid); ამ შემთხვევაში მან შეზღუდა -āt მორფემა, რომელიც მდ. სქესის სახელთა მრავლობითის მაწარმოებლად იქცა³.

მრავლობითის ორი ტიპის ურთიერთობის შესახებ ხსენებული მოსაზრების მომხრეები გულისხმობენ, რომ თავის დროზე ყოველგვარ სახელს ჰქონდა სუფიქსიანი ფორმები.

მართალია, ჩვენთვის საინტერესო ფორმები არსებით სახელებში (გასუბსტანტივებულ მიმღეობებსა და ზედსართავებში) სუფიქსიანი მრავლობითს ენაცვლება, მაგრამ არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როდესაც სუფიქსაცია უფრო გვიანდელია, ვიდრე შინაგანი ფლექსია; ანდა ეს უკანასკნელი განვითარებულია მისგან დამოუკიდებლად.

კლასიკურ არაბულში ზემოხსენებულ სახელთაგან სწორ მრავლობითს აწარმოებს ა) qatīl (qitīl) ინტენსივი. რომლის ორგანიული შინაგანი ფორმა qattīl გვხვდება qātīl მიმღეობასთან; ბ) ʔaqtal ინტენსივი (რომელსაც არ აქვს ფერისა და ფიზ. ნაკლის მნიშვნელობა), პიროვნების რიცხვითი და ნაცვალსახელები ʔaḥṣal,

¹ Actes, SS. 445—56.

² „ SS. 457 ff.

³ L'apophonie, § 286.

აქჲარ და სხვ. მოცემული სახელები პიროვნებას, ე. ი. ინდივიდს აღნიშნავს. რამდენადაც სუფიქსიან ფორმაში უფრო კარგად იგრძნობა ინდივიდთა სიმრავლე (ვიდრე შინაგან მრავლობითში, რომელიც კრებითს უახლოვდება), ამდენად, ამ შემთხვევაში მას ენიჭება უპირატესობა.

მსგავსი ფაქტები, ალბათ, სხვა მიზეზებითაცაა შეპირობებული: ანგარიში უნდა გაეწიოს Miller-ის მოსაზრებას ორთანხმოენიანი სახელების შესახებ.

§ 114. რიცხვის შინაგანი ფორმებისადმი განსაკუთრებით ძლიერ ტენდენციას იჩენს არსებითი სახელები და გასუბსტანტივებული ზედსართაეები, მიმღობები; შინაგანი მრავლობითი კი ისეთი ბუნებისაა, რომ იგი ამ სახელებთან არ უნდა გვეკონოდა დასაბამიდან¹. რათა გავერკვეთ ამ მოვლენის მიზეზში, ურთიერთს შევეუპირისპიროთ სათანადო ფორმები:

ს ქ ე ს ი	რ ი ც ხ ვ ი
სუფიქსაცია	სუფიქსაცია
0 : -(a)t	0, (-at) : - ū, -ān -(a)t, 0 : - āt
შინაგანი ფლექსია	შინაგანი ფლექსია
qatīl : qatāl	qatīl : qitāl
ʔaqtal : qatlāʔ	ʔaqtal : qntl
ʔaqtal : qutlā	qutlā : qutal
qutlān : qatlā	qatlān : qatlā
საერთო სქესი	საერთო რიცხვი, შინაგანი
qatīl	qatīl (მხ./მრ.) qatīl : qitāl
qatū	qatū : qutū

როგორც ვხედავთ, სქესისა და რიცხვის წარმოების პრინციპები ერთნაირია. სახელთა ერთი ჯგუფი, როგორც წესი, ორსავე კატეგორიას სუფიქსაციით გამოხატავს, დანარჩენი კი შინაგანი ფლექსიით. შინაგანი მრავლობითი შინაგანი მდებრობითის გარდა შეიძლება შეესატყვისებოდეს საერთო სქესს.

სუფიქსიანი ფორმების ისტორიის განხილვისას აღნიშნული იყო, რომ გარკვეული ცვლილებების შედეგად ზედსართავის მდებრობითის ფორმას მრავლობითში უჩნდება -āt სუფიქსი.

¹ იხ. გვ. 85—6.

სუბსტანტივებთან სქესისა და რიცხვის ფორმებს შორის პროპორციის უქონლობა, ალბათ, იმის მანიშნებელია, რომ რიცხვის ფორმები მათთვის არაა ორგანიული და რომ თავის დროზე ისინი სქესთან ერთად რიცხვსაც არ აწარმოებდნენ (მხ.—მრ., მ.—მდ.). თუ ეს სწორია, მაშინ პრეისტორიულ პერიოდში უნდა ვიგულისხმობთ სახელთა ორი ჯგუფი: ფლექსიური (ზედსართავი) და უფლექსიო (ინტ., მოქმ. სახ., არს.); მოვიგონოთ ზოგი აფრიკული ენა, რომელშიაც სუბსტანტივი არ იცვლება რიცხვის მიხედვით¹.

§ 117. მდედრობითისა და მრავლობითის მაწარმოებლები წესისამებრ ერთად არ თავსდება (თუ კი მდედრობითის ნიშანი ფუძესთან არაა შეხორცებული), ამის გამო, ვფიქრობთ, ორობითი რიცხვის მდედრობითის ფორმა, რომელშიც $-(a)t$ და $-\bar{a}/a\bar{i}$ ერთიმეორის მიყოლებითაა², უფრო გვიანდელია, ვიდრე მამრობითის მორფემა (ე. ი. მარტივი ფუძე $+ \bar{a}/a\bar{i}$ თავის დროზე ორივე სქესისათვის ივარაუდება). ანდა, შესაძლებელია, აღნიშნული თავისებურება იმის მაჩვენებელია, რომ ორობითი საერთოდ რიცხვისა და სქესის სხვა ფორმებთან შედარებით გვიანაა განვითარებული.

¹ Westermann, SS. 4—5.

² შდრ. გვ. 50.

ОБРАЗОВАНИЕ ФОРМ РОДА И ЧИСЛА ИМЕН В СЕМИТСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

Несколько лет тому назад, изучая структуру имен в семитских языках, мы рассмотрели типы имен, выполняющие две полярные функции в зависимости от противопоставляемых им морфем (А ед. ч.: В мн.; В ед.: А мн.). В связи с этим был затронут вопрос о природе женского рода и множественного числа внутреннего образования. Исходя из того, что типы имен выражают род и число лишь в конкретных случаях, было поставлено под сомнение основное положение теории «абстрактных имен», согласно которому, типы внутреннего множественного восходят к специальным формам собирательного (абстрактного).

Г. В. Церетели, обратив особое внимание на указанные выше факты, отмечал, что исследование в этом направлении проблемы флексии имен семитских языков может привести к важным результатам.

Поскольку система внутренних морфем тесно связана с суффиксальным типом, в процессе разработки означенных вопросов для нас стало полностью очевидной необходимостью изучения принципов выражения рода и числа имен.

Список сокращений

аккад.	аккадский	новоарам.	новоарамейский
амх.	амхарский	норв.	норвежский
араб.	арабский	обш. сем.	общесемитский
(кл.	классический	рус.	русский
магриб.	магрибский	сир.	сирийский
сев.	североарабский)	те	тигре
гв	геез	тви	тигринья
дат.	датский	франц.	французский
евр.	еврейский	швед.	шведский
мх	мехри	шх.	шхаури
нем.	немецкий	эфиоп.	эфиопский

ВВЕДЕНИЕ

В семитских языках род и число имен главным образом выражаются путем противопоставления простых и суффиксальных форм. В северо- и южноарабском, а также и в североэфиопском объем применения суффиксальных форм значительно ограничен; здесь с целью обозначения числа (реже рода) противопоставляются различные по внутренней огласовке (часто вместе с этим и по аффиксации) типы имен (араб., эфиоп. qatīl : ж. qat(t)āl; араб. ед. ч. qatīl : мн. qitāl; эфиоп. ед. qətl : мн. qətāl).

В некоторых языках (преимущественно в нопарамейском) наблюдается удвоенное множественное, обычно сопровождаемое суффиксацией.

Проблема рода и числа семитского имени является предметом исключительного интереса специалистов. В разработке целого ряда вопросов, входящих в эту проблему, ими достигнуты весьма значительные результаты. Но следует подчеркнуть то обстоятельство, что, как правило, внимание уделялось явлениям, получившим широкое распространение в исторически засвидетельствованных памятниках; сравнительно редкие факты, однако в определенных случаях имеющие решающее значение, оставались вне поля зрения исследователей.

Данные отдельных языков рассматривались согласно „общесемитским схемам“, поэтому позитивная сторона проблемы не всегда была представлена надлежащим образом (не говоря уже о достоверности интерпретации).

В настоящей работе мы ограничиваемся вопросом о принципах выражения означенных категорий и о системах соответствующих форм.

Конкретные морфемы и типы нас интересуют лишь с точки зрения места, занимаемого ими в той или иной системе.

ИМЕНА ОБЩЕГО РОДА И ЧИСЛА

При рассмотрении затронутых в работе попросов нам значительную помощь оказывают имена общего рода и числа, зафиксированные в североарабском, геэзе и тигрийца, а в отдельных случаях в еврейском.

Позитивная сторона вопроса изучена довольно хорошо арабскими филологами и семитологами—Nöldeke, Fleischer, Barth, Dillmann, Leslau, Feghali, Суну, Fleisch и Wensink на основе анализа прилагательных общего рода выдвинули оригинальные положения о развитии этой категории в семитских языках.

§ 1. Классический арабский: а) *qatl*—*ʿadl* ‘справедливый, правдивый’, *safr* ‘путешественник’ (*raḡlun*, *imraʿatun ʿadlun*, *safran*); ср. ж. р. *qatlat*, мн. ч. *qatlūna* (*qanātun ṣadqatun*, *qarṣun ṣadqūna*); б) *qutl*—*bust* ‘целый’ (*jadun bustun*); в) *qutul*—*ṭuluq* ‘отпущенный на свободу’ (*uḡqatun ṭuluqun*); г) *qatīl* ‘причастие’ в функции страдательного залога, в единичных случаях со значением действит. залога; страд. *ḡariḥ* ‘раненый’ (*raḡulun*, *imraʿatun ḡariḥun*); об исключениях см. у Nöldeke; действ. *kaʿīb* ‘печальный, грустный’ (*fa-qāmat kaʿīban*); д) *qatūl* без исключения ‘прич.’ со значением действительного залога; сравнительно редко в значении страд. залога; действ. *ṣabūr* ‘долготерпеливый’ (*raḡulun*, *imraʿatun ṣabūrun*); е) типы, *qitāl*, *qutāl*—*difāq* ‘быстрый’, *ḥunām* ‘великодушный’: ж) имена с префиксом *mī-*: *miqtal*—*miḡṣam* ‘своеравный’; *miqtāl*—*miḡʿān* ‘послушный’ (*nāqatun miḡʿānun*); *miqtīl*—*miskīn* ‘бедный’ (*imraʿatun miskīnun*; ср. *miskīnat*, которой отдается преимущество); з) типы усиительного прилагательного с элементом *-at*: *qatalat*—*suʿalat* ‘просящий, нищий’, *qatūlat*—*kaḏūbat* ‘прежливый’, *qattālat*—*ʿallāmat* ‘выдающийся ученый’; и) *ʾaqtal*—сравнительная степень (часто превосходная); к) отдельные имена:

причастия I породы—‘āšif ‘сильный ветер’ (rīḥun ‘āšifun. ср. ‘āšifatun); makḥūl ‘насурьяленный’ (‘aḥḥun makḥūlun); qatāl—ḡabān ‘трусливый’.

В классическом арабском типы qatī и qatīl в некоторых случаях не изменяются и по числу. У прилагательного сравнительной степени (ʔaqtal) и интенсива на -at эти формы вообще отсутствуют.

§ 2. Арабские диалекты — во многих случаях остается неизменяемым ʔaqtal в функции сравнительной степени (иногда и превосходной степени; м. р. = ж. р., ед. ч. = мн. ч.); в единичных случаях — а) прилагательные типа qatīl (м. р. = ж. р.); б) иноязычные прилагательные; в) имена относительные.

§ 3. Гезе — а) отглагольные образования с префиксом шй-, не имеющие значения собственно прилагательного; б) тип qəṭāl—pəqāh ‘бодрый’; в) многобуквенное прилагательное—šaʔadā ‘белый’.

§ 4. Тигринья — а) прилагательные с суффиксами -am, -āḡna, -āḡna—habtam ‘богатый’, ḥaṭiʔatāḡna ‘тремный’, təbabaḡna ‘мудрый’; б) интенсив по типу qāttal—ʔazza ‘умастый’; в) отдельные имена: ṣaʔda ‘белый’, hammaq ‘злой’ и др.

Эти типы эфиопских прилагательных не различают рода. В гезе один из них (qəṭāl) весьма редко показывает формы числа.

Varth вышеприведенные арабские слова считает первичными отглагольными абстрактными именами, сохранившими присутствующую им флексию. По мнению Feghali и Cuny, арабские имена с общим родом отражают ту эпоху, когда семитское имя не различало категории рода. Согласно Weusink, эти формы, наряду с другими фактами, указывают на вторичность суффиксов женского рода и множественного числа.

Как отмечает Fleisch, в арабском нарушение согласования в роде между определяемым и определением — это результат незаковченности грамматикализации женского рода.

§ 5. В гезе отглагольное имя является индифферентным в том случае, если оно представляет собой причастие, а не собственно прилагательное. Аналогичное явление наблюдается и в классическом арабском.

Тип *qatīl* в значении страд. залога находится в более тесной связи с причастием, чем в функции действ. залога (в таком случае он, как правило, не отличается от обычного прилагательного).

Выясняется, что эти два ряда имен находятся в различных отношениях к системе глагола. Это обстоятельство не осталось незамеченным для Barth, однако отсюда он не сделал соответствующих выводов.

Область распространения индифферентных имен в значительной мере ограничена. Они связаны с определенными глаголами. Имена, различающие род и число, в меньшей степени уязвима к глагольной системе, находят широкое распространение.

Араб. флектируемый *qatīl* (действ. зал.) — это излюбленная форма „причастия“ непереходного глагола, она часто заменяет *qatūl*. В египет же напротив, *qatūl* распространен более широко, чем *qatīl* (в качестве формы ж. рода которого выступает *qatāl*).

В арабском неизменяемые *qatīl* (страд. зал.) и *qatūl* (действ. зал.) встречаются с определенными глаголами, а противоположные им *maqūl* и *qātil* почти с любыми глаголами. В еврейском и эфиопском *qatūl* обычная форма причастия страд. залога и, как известно, этот тип имеет означенные формы. Что же касается типа *qatīl*, то в еврейском он является редким типом имени, и не случайно, что не различает рода.

Таким образом, общий род и число присущи именам, находящимся в тесной связи с глагольной системой.

Как известно, квалификатив принимает ту или иную форму под влиянием определяемого. Попятно, что отглагольное имя (имя деятеля или подвергнувшегося действию), находясь в близкой связи с глаголом и тем самым сохраняя свою независимость в предложении, показывает „первичную флексию“. С другой стороны, вполне закономерно отсутствие форм рода у субстантивированного причастия и прилагательного (эти последние всегда отличаются от имен деятеля).

Укажем также, что *qatīl*, *qatūl* и *qatī* представляют собой типы усиительного прилагательного, для которого, как мы увидим ниже, характерны общий род и число.

§ 6. В тигринья тип *qūttal* выражает усиительность или уменьшительность. Подобные функции лежат в основе форм с суф. -аш, -āṣpa, -āṣpa. Суффикс -аш образует отыменное при-

лагательное с общим значением 'полный, богатый'. -āṣṣa, -āṣṣa применяются для обозначения профессии, положения. (ср. qatāl, который в арамейском и отсюда в арабском выражает профессию; в тигривья он имеет такое же значение, что и суффикс -an). Сев. араб. qitāl, qutāl, ʔaqtal, miqtal, miqtāl, miqtīl по происхождению усилительные прилагательные (не говоря о формах с элементом -at). Прилагательные с префиксом mi- Wright толкует как имена орудия, употребляемые метафорически.

Как замечает Fleisch, miqtīl в значении орудия не встречается. Однако главное заключается в том, что интерпретация Wright оправдана лишь в определенных случаях; такие имена, как miḡṣam, miḡlām и многие другие, вообще нельзя считать названиями инструментов.

Указанные имена представляют собой типы интенсива или аугментатива и именно тут мы должны искать причину наличия у них общего рода и числа.

§ 7. В семитских языках связь между интенсивом и аугментативом несомненна. Как доказал Brockelmann, с ними увязывается также и категория уменьшительности.

Способы выражения означенных категорий следующие:

а) aqtal—инт. аугм. араб. ḡṣam 'острый, меч'; zṣal 'трусливый';

б) qutāl инт. араб. ḡṣām—'великодушный'; уменьш. ḡlām 'мальчик'; четырехбуквенный корень qutālil—ḡlāḡil 'могущественный', 'властелин';

в) quttāl инт. араб. ḡṣṣām 'красивый'; уменьш. miḡḡā 'штучка';

г) quttal—инт. араб. qṣlab 'проворный, ловкий';

д) qutaḡil специальная форма уменьшительности в арабском;

е) qutā'il инт. араб. ḡṣā'id 'крушной';

ж) qattūl инт. араб. qa'ūr 'глубокий'; уменьш. faḡḡūq 'трусливый';

з) удвоение конечного согласного или корневого элемента—инт. араб. ṣimlāl 'быстрый'; уменьш. ṣimlāl 'птица';

и) типы qatlān, qitlān, ʔaqtalān, ʔnqtulān—инт. араб. ḡaḡbān 'гневный', уменьш. fur'ulān 'детским гнева';

к) усиленное прилагательное с элементом -at—'allāṣat 'выдающийся ученик', kaḡūbat 'преджливый'.

Согласно Landberg, типы, оканчивающиеся на $\bar{a}n$, не выражают уменьшительности. Brockelmann указывает на формы $^2ulcu\bar{b}ān$, $kalbatān$, 2qurubān (: 2aqrab), опровергающие положение Landberg.

Вопрос этот требует уточнения. Необходимо различить два случая:

а) усилительная и уменьшительная формы образуются при помощи суффиксов $\bar{a}n$, $-(a)t$; напр., аккад. $umum$: уменьш. $ummatum$ 'мать'; магриб. араб. $qādūm$: $qādūma$ 'молоток'; мх $taḡr$: $taḡrēn$ 'птица'; тья $rəḡbi$: $rəḡbit$ 'голубь';

б) эти категории передаются определяемыми типами имен, снабженными элементами $\bar{a}n$, $-(a)t$ ($qatān$ и др.; данные типы противопоставляются исходной форме и по внутренней огласовке).

Рассмотренные нами формы выражают также цвета и физические недостатки.

Любопытно, что $qatān$, являющийся в арабском специальной формой уменьшительности, выражает также и цвета.

В сев. арабском этим формам обычно соответствует 2aqtal . По существу это интенсив, обозначающий ярко выраженные свойства вообще, а цвета и телесные недостатки, в частности.

Вопрос этим не исчерпывается. Большинство перечисленных здесь типов и элементов применяется для обозначения рода и числа:

а) $-at$, $\bar{a}n$ элементы типов лом. множественного в северо-арабском;

б) $qattal$, $quttāl$ лом. мн. в арабском;

в) южноарабские типы мн. ч. $qtul$, $qtīl$, которым в сев. арабском соответствуют редкие формы интенсива ($qitīal$, $qatīal$);

г) $qatānil$ мн. четырехбуквенных имен, которое отличается от уменьшительной формы лишь первым гласным;

д) удвоенное множественное и др.

Идентичность принципов образования и отчасти типов интенсива (аугментатива), рода и числа свидетельствует о родстве данных категорий. Случаи неизменяемости интенсива, по нашему мнению, указывают на наличие в определенный период развития семитских языков общей категории, включавшей в себя род, число, интенсив и др. По всей вероятности, становление указанных категорий происходило параллельно. Исходя из этого, мы вслед

за Brockelmann и Schaade не можем разделить мнения Wensink о развитии женского рода из интенсива.

§ 8. Среди форм интенсива выделяется *ʔaqtal*. По мнению Barth, причина пидифференциальности этого типа кроется в субстантивном характере элатива. Иное объяснение дает Wehr, согласно которому, *ʔaqtal* представляет собой застывшую форму, полученную от элативной конструкции. Мы не касаемся вопроса о телезисе элатива, однако, относительно его флексии считаем необходимым отметить следующее: помимо того, что *ʔaqtal* является формой интенсива, его своеобразие определяется также синтаксическими функциями (прилагательное сравнительной степени, в отличие от прилагательного превосходной, является самостоятельным членом предложения и поэтому дается в исходной форме; что же касается превосходной степени, то на нее может влиять определяемое).

